„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№6 (198)
ივნისი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

„ახალციხელობა“

30 ივნისს, წმინდანისა და ეროვნული გმირის, შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ახალციხელობა„ გაიმართა. სახალხო დღესასწაული სპორტული ღონისძიებებით გაიხსნა. გარდა სპორტული ღონისძიებებისა, ციხის ტერიტორაზე, ქართული რეწვის ნიმუშებისა და ქართული სამზარეულოს გამოფენა - გაყიდვა მოეწყო. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები და სასულიერი პირები დაესწრნენ.

ახალციხის მერმა გიორგი კოპაძემ ღონისძიების მონაწილეები მადლობის სიგელით დააჯილდოვა, ხოლო სპორტულ ღონისძიებაში გამარჯვებულებს თასები, მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა. სახალხო დღესასწაულის დასკვნითი ნაწილი ზაზა თამარაშვილის ვაჟთა ანსამბლმა „მესხეთმა„ „შავლეგოთი„ გახსნა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და სახალხო მთქმელებმა. ადგილობრივი შემსრულებლების შემდეგ სცენა ქართული ესტრადის ვარსკვლავებს დაეთმო. ღონისძიება ფეიერვერკით დასრულდა.

საზოგადოებამ გამოავლინა 2015 წლის „საპატიო ახალციხელი„. სოციალური ქსელით ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ facebook-ის გვერდზე ინტერაქტივის და ქუჩაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, სამი პიროვნება გამოვლინდა. საპატიო მოქალაქის სტატუსი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს მერაბ ბერიძეს, კულტურის განყოფილების ყოფილ გამგეს ელგუჯა კოპაძეს და სახალხო მთქმელს ვასილ კვინცხაძეს მიენიჭა.

მარინა გოგოლაძე

განცხადება

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით _ ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ სარედაქციო საბჭოს წევრებისა, თანამშრომლებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

სპეციალური პრემია _ 1000 ლარი ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;

პირველი პრემია _ 500 ლარი _ კახური მეღვინეობის განვითარების კომპანიისაგან;

ორი მეორე პრემია _ 400-400 ლარი _ ახალციხის სამედიცინო ცენტრ „უნიმედი-სამცხე„-სა და „ალდაგი„-საგან;

მესამე პრემია _ 300 ლარი _ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია _ 500 ლარი ნომინაციაში _ მესხური თემატიკა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2015 წლის სექტემბერში ვარძიაში _ „პოეზიის დღის _ შოთაობის„ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით. ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებულთა ლექსები დაიბეჭდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში„.

საკონკურსოდ უნდა გამოიგზავნოს არაუმეტეს ხუთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2015 წლის 10 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ რედაქცია.

ტელ. 599 97 95 24

რობერტ ბერიძე _ 70

ჩვენო რობერტ,

რა ჩქარა გავიდა დრო... 70 წლისა გამხდარხარ! თითქოს გუშინ იყო, პირველი ნოველა რომ მოიტანეთ რედაქციაში, აქ ნელ-ნელა აიდგი ფეხი და ქართულ მწერლობაში შეუმჩნევლად შემოაბიჯეთ. ალბათ, სხვა გარემოში რომ მოხვედრილიყავი, სხვა პირობები რომ გქონოდა, შენ უკვე ცნობილი მწერალი და ხელოვანი იქნებოდი, მაგრამ, რას იზამ. რასაც აკეთებ, ეს დიდი საქმეა, იმიტომაცაა დიდი საქმე, რომ ძნელია ერთდროულად იყო პედაგოგიც, ემსახურებოდე მომავალი თაობების აღზრდას, იყო მხატვარიც, პუბლიცისტიც, შესანიშნავი მეურნეც და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი მოქალაქე. ეს ტვირთი მამაზეციერმა იმიტომ გარგუნა ბედად, რომ ვაჟკაცურად შესძლო მისი ტარება.

ვინც კი შენს შემოქმედებას იცნობს (და არც თუ ისე ცოტა), ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ნიჭიერი ადამიანი ხარ.

მწერლობა ყველას არ ძალუძს, იგი ღვთითკურთხეული ნიჭია, რომელიც ერთეულთა ხვედრია და ჭაპანი ისე უნდა გასწიო, რომ ცხოვრებას ქედი არ მოუხარო. იმედია შენს მომავალ ცხოვრებას ასე გააგძელებ, რათა შთამომავლობას, შენს ჯიშსა და გენს დაუტოვო ის, რისი დატოვებაც ყველას არ ძალუძს.

ჯიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩვენო რობერტ, დაბადების 70 წლის იუბილეს და გვჯერა ყვლავაც ასე გააგრძელებ არჩეულ გზას და შენი შემოქმედებით მომავალში ყვლავაც გაახარებ შენი თაყვანისმცემლების გულებს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქცია

„ტუხას ნათლული“

რობერტ ბერიძე

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ჩვენს ქვეყანას „კანონიერი ქურდები„ დაეპატრონნენ.

მართლაც, გაუგონარი ამბავი იყო. სად ქურდი და სად პოლიტიკა, მაგრამ, ამ ცოდვებით დამძიმებულ ქვეყანაში, ყველაფერი ხდება. ხდება დაუჯერებელიც:

წესრიგსა და ნორმალურ ცხოვრებას მიჩვეული ქვეყანა, მტაცებელ ცხოველთაგან დანიოკებულ ცხვრის ფარას გავდა, ხოლო ყოველგვარი სახის ბრძოლა არსებობისათვის, ცხოვრების წესად იქცა. სწორედ იმ დროს, მაისში, „გავიცანი„ ქალაქში ცნობილი „კანონიერი ქურდი„ შალვოვიჩი, მეტსახელად „ტუხა„.

„ტუხა„, ქალაქის ცენტრში, ავტოინსპექციის შენობასთან, სამართალდამცავი ორგანოების სხვადასხვა რანგის თანამშრომელთა შორის ჩამდგარიყო და ვიღაცას უყვიროდა.

_ აი, „ტუხა“! _ თქვა ჩემ გვერდით მდგარმა შეშინებულმა კაცმა. შორიდან ინტერესით შეკვთვალიერე _ ის ორმოცდაათს გადაცილებული, საშუალო სიმაღლის იყო და მოზვერივით ატრიალებდა თვალებს. გაუპარსავ სახეზე სამსარის მთასავით წაგრძელებოდა ცხვირი. მეტისმეტად აღელვებული ჩანდა. პერიოდულად მრავალსართულიანი გინებით გამოხატავდა თავის მრისხანებას. გინებასთან ერთად, ბოლოს, ორი ფრაზაც გავარჩიე:

_ აუცილებლად მოძებნეთ ის არამზადა და მერე მე ვიცი, რასაც ვუზამ!

შიშმა ამიტანა. ნუთუ ასე დაუნდობელია „ტუხა„?!

მოგვიანებით გავიგე მისი განაწყენების მიზეზი _ ვიღაცას, მასზე შემომწყრალს, თავი მოუყრია 30-მდე მაწანწალა ძაღლისთვის. რამდენიმე დღე ისედაც დამშეულნი, კიდევ უფრო ეშიმშილებინა, მერე ზეთოვანი საღებავით ყველა მათგანისთვის ზურგზე „ტუხა„ დაუწერია თურმე და ისე გაეშვა. ძაღლები კი ყეფა-ყეფით მოედვნენ ქალაქს...

იდგა ერთი სანახაობა, სიცილ-ხარხარი.

_ აი, „ტუხა„, როგორ იღრინება!

_ აი, „ტუხა„, როგორ იყეფება!

_ აი, „ტუხა„, როგორ გარბის კუდამოძუებული!

სხვადასხვა ზომის, ფერის და ჯიშის ძაღლები თავს ჭრიდნენ „ტუხას„, მთელ ქურდულ სამყაროში აღიარებულ „ღირსეულ ადამიანს“!

„ტუხას„ განკარგულებით, იმ დღეებში, ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე ქუჩაზე, წარამარა ისმოდა თოფების ბათქაბუთქი და მომაკვდავი ძაღლების წკავწკავი. ერთ კვირაში კი ყველაფერი მიწყნარდა...

იმავე წლის შემოდგომაზე, ცოლეულებმა რთველში დამპატიჟეს. ქეიფი და დროსტარება არ მომკლებია, თან გადამყვნენ. წამოსვლის წინ კი „ჟიგულის„ საბარგული და სალონი ისე გამივსეს შემოდგომის ნობათით, რომ მე და ჩემი მეუღლე ლალი, ძლივს მოვთავსდით, ხოლო ბავშვები, უადგილობის გამო, რამდენიმე დღით დავტოვეთ სოფელში.

ასე დატვირთულებმა სოფლის ოღროჩოღრო, მიხვეულ-მოხვეულ და ვიწრო გზას, რის გაივაგლახით, ძლივს გამოვაღწიეთ და მთავარ გზატკეცილზე სიჩქარეს მოვუმატე. მეუღლე, ყველა „ბბგონზე„ მკაცრ მითითებეს მაძლევს: არ გაუსწრო, შეანელე, „იამკაა„...

მე კი, რობოტად ქცეული, დამფრთხალი ყანჩასავით, კისერწაგრძელებული, დაძაბული და, ხანდახან, შეშინებულიც, ვატრიალებ საჭეს მარჯვნივ თუ მარცხნივ. ვცდილობ, შეცდომა არ დავუშვა, ცალკერძ, ავტოინსპექტორს ვუფრთხი, შემთხვევით არსად გადავეყარო, ცალკერძ, ცოლის რისხვას რომ გადავურჩე, ლამის შემჭამა, მოსვენებას არ მაძლევს. ისე, ჩვენში დარჩეს და ყველა ქალი ერთნაირია, მხოლოდ სახელებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დღე არ გავა, შენიშვნა არ მომცეს. ამომივიდა ყელში ყველაფერი. რომ მცოდნოდა ასეთი ანჩხლი ცოლი შემხვდებოდა, აუცილებლად მუნჯს მოვიყვანდი.

ყოველთვის იმას ჩამჩიჩინებს, სხვის ჭკუაზე დადიხარო! ეჰ, ერთსაც ვიტყვი, გულახდილად: ამ ცხოვრების გადამკიდე, ეს მართლაც ასეა. სამსახურში დირექტორის ჭკუაზე დავდივარ, სახლში _ ცოლისა. ახლაც მის ჭკუაზე მივაქროლებ ჩემ მანქანას. მთავრია, ავტოინსპექტორს არსად გადავეყარო, არა და, ეს მამაცხონებულები, ისეთ ადგილს ჩაგისაფრდებიან და გაგაჩერებენ, შენს მტერს. არა და, იცით, როგორ მზარავს ავტოინსპექტორის სასტვენის ხმა?!..

ის იყო ქალაქს მოვუახლოვდით, რომ, უნებლიედ, ხუმრობის ხასიათზე დავდექი, ცალი ხელი საჭეს ვუშვი და ლალისკენ გავაპარე...

_ ხომ არ გაგიჟდი! _ იკივლა უცებ და ისეთი მუჯლუგუნი მითავაზა, საჭე ამითამამშდა, წინ მიმავალ მანქანას ზიგზაგებით გვერდი ავუქციე და რის ვაივაგლახით, საჭე დავიმორჩილე, მოსალოდნელ ხიფათს გადარჩენილმა, უნებლიედ, ლალის გადავხედე. მკვდრისფერი დასდებოდა სახეზე. შიშნაჭამმა, სვლა შევანელე და ის იყო ჩემ წინ დაბალი სიჩქარით მიმავალ სატვირთო ავტომანქანას გადავუსწარი, რომ, უცებ, საიდანღაც, გზისპირას ჩამალული ავტოინსპექტორი გადამიდგა. ისე დაუსტვინა, ლამის ინფარქტი დამემართა და მართვის უნარიც დავკარგე.

ავტომობილი ერთბაშად დავამუხრუჭე და ფერდაკარგულმა ლალის გადავხედე:

_ შეშინდი, ხომ? ეგეც შენ. ტალონის გახვრეტას და ჯარიმას ახლა ვეღარ გადაურჩები, _ ნიშნის მოგებით ისე გესლიანად მომაძახა, ლამის გულზე გავსკდი.

ძლივს გადმოვლასლასდი მანქანიდან და ავტოინსპექტორისკენ ფეხათრევით გავემართე.

სუსტი, აწოწილი ავტოინსპექტორი აღმოჩნდა. ნაბახუსევი ჩანდა. მუნდირის ღილები შეხსნოდა, ფეხებზე კი სამართალდამცავის უნიფორმასთან შეუსაბამო, რაღაც უცნაურად აჭრელებული ბოტასები ეცვა. ერთ მთლიანობაში ცირკის მასხარას ჩამოგავდა.

ავტოინსპექტორმა ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, უტიფრად ჩემ მანქანას და ლალის გადახედა:

_ რას ჰგავს, მოქალაქევ, შენი საქციელი: მოძრაობის წესების დარღვევა ერთი დანაშაულია, მეორე _ გადატვირთულია მანქანა და, მესამეც, კაცი ვერ გაარჩევს სანომრე ნიშანს _ ისეა გატალახიანებული, არ ჩანს. სად იარე ასე, ან ამდენი ხორაგი რომ მიგაქვს სოფლიდან ქალაქში, მუქთად, რა დაუტოვე სოფელს, ისიც, ამ გაჭირვების ჟამს?

უნებლიედ ავტოინსპექტორის მკერდზე ჩამოკონწიალებული მისი ვინაობის აღმნიშვნელი ნიშნისკენ გამექცა თვალი, _ გოგი ბოსტოღანაშვილი ამოვიკითხე.

_ საბუთები წარმოადგინეთ, მოქალაქევ! _ მკაცრი კილოთი მითხრა:

ასეთ ვითარებაში ჯარიმა ან ტალონის გახვრეტა არ ამცდება, _ გავიფიქრე და, დაბნეულმა, ლალის გადავხედე. მისმა ირონიულმა ღიმილმა კიდევ უფრო გამაღიზიანა. წარმოვიდგინე, როგორ სალაპარაკოს გამხდიდა მთელ სამეზობლოსა თუ სანათესაოში: კაცი დაბერდა და მანქანის მართვა ვერ ისწავლაო!

უცებ, თვითგადარჩენის ხმამ რაღაც იდუმალი ავანტურისაკენ მიბიძგა: ჯანდაბას ყველაფერი, დაე, მოსახდენი მოხდეს, ბედს ვცდი, იქნებ, მართლა გამიმართლოს. ერთბაშად ძაღლონე მოვიკრიბე და ავტოინსპექტორს ჯიქურ მივახალე:

_ მაშ, ასე, ამხანაგო გოგი ბოსტოღანაშვილო, საბუთებს მთხოვ, ხომ? ვერ მოგართვი! არსენა ყაჩაღივით რომ ჩამალულხარ ბუჩქებში და გამვლელ-გამომვლელს გულს უხეთქავ, ესაა შენი წესრიგის დაცვა? ან რომელ წესდებაში გიწერია, მთვრალი, აჩეჩილ-დაჩეჩილი, თავად უწესრიგო მდგომარეობაში, წესრიგისკენ რომ მომიწოდებ? მძღოლებს, იქნებ, ფულსაც ძალავთ. მე შენ გიჩვებებ სეირს!

ისეთი ხმით წამოვიძახე, ბოლო სიტყვა, რომ ავტოინსპექტორი ერთბაშად შეცბა, არ მოელოდა.

_ ვის უბედავ, მოქალაქევ, მაგას!

_ ვის და, შენ!

_ რა უფლებით? აბა, ახლავე საბუთები წარმომიდგინეთ! _ ახლა ხმას ავტოინსპექტორმა აუწია.

_ მაშ, საბუთები გინდა, არა?!

მაშინვე ჯიბეზე გავიკარი ხელი, საბუთები ამოვიღე, გავუწოდე და დავექადნე:

_ ახლა ჩემი სიტყვებიც კარგად დაიმახსოვრე, ბოსტოღანაშვილო, მანქანასაც შენი ხელით მოიყვან, ბოდიშსაც მომიხდი და საბუთებსაც დამიბრუნებ უკან!

ავტოინსპექტორი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და ეჭვიანად გადმომხედა. ინტუიციით მივხვდი, ასეთი ტონით ლაპარაკს მძღოლებისგან არ იყო მიჩვეული. ალბათ, მე ვიყავი პირველი, მაგრამ, საფუძველი...

_ იქნებ, დიდ კაცთან აქვს საქმე, მითუმეტეს, ჩაცმულობაც სხვაგვარ წარმოდგენას უქმნის _ ტყავის ლაბადა, ჰალსტუხი... ჩემი გარეგნული შეხედულებაც სხვა იერს მაძლევდა (მგონებ ამას ფიქრობდა ახლა ჩემზე),

_ თუ კაცი ხარ, მითხარი, ვინ ხარ, სად მუშაობ, ასეთი ტონით რომ მელაპარაკები?

_ ვინ ვარ? სად ვმუშაობ? არსადაც არ ვმუშაობ, უმუშევარი ვარ, „ტუხას„ ნათლული, ბესა ცერცვაძე!

„ტუხას„ ხსენებაზე ავტოინსპექტორი ერთბაშად აილეწა, ფერი ეცვალა, მის კუშტ სახეს უცებ მლიქვნელურმა ღიმილმა გადაუარა.

_ ოო, „ტუხას„ ნათლული! ასე გეთქვა, თავიდან, ჩემო ბესა, როგორ ვერ გიცანი და... დიდის ამბით ხელი გამომიწოდა:

_ თუ კაცი ხარ, ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ, _ თქვა და მეგობრულად ხელკავი გამომდო და თავისი მანქანისკენ გამიძღვა. უცებ, საბარგულიდან, ფრანგული კონიაკი და შოკოლადები ამოიღო, „კაპოტზე„ დაალაგა. ორად ორი ჭიქა შევსვით, ჯერ „ტუხასი„, მერე ჩემი.

_ აქ იმდენი ხალხი გადი-გამოდის, ძნელია გაარჩიო, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. „ტუხასნაირი„კაცები ჩვენს ქალაქში კი არა, მთელ საქართველოში არ მოიძებნება. ისეთი დიდებული კაცის ნათლულობა, უბრალო საქმე არაა!

_ ნათლულიც რომ არ ვიყო, „ტუხა„ და მამაჩემი სიყრმის მეგობრები არიან, ერთ უბანში გაიზარდნენ, უერთმანეთოდ პურს არ ტეხენ, _ წავიტრაბახე.

ჩემმა წატრაბახებამ კიდევ ერთხელ შეაწრიალა ბოსტოღანაშვილი.

_ აუ, რა კაცი ყოფილხარ, ჩემო ბესა, რა კაცი! დღეს შენი გაცნობით ერთი კარგი ძმა და მეგობარი შევიძინე. იმედია, ერთმანეთს არ დავკარგავთ, ათას ბოდიშს გიხდით წყენისთვის!..

ცოტა ხნის შემდეგ დიდი ამბით მიმაცილა ჩემ ავტომანქანამდე და ისე დამემშვიდობა, თქვენი მოწონებული. უფრო მეტიც, გამომშვიდობებისას, როგორც ჭეშმარიტ რაინდებს სჩვევიათ, ლალის ხელზე ეამბორა და ისევ ბოდიშობით ფრანგული „ბამბანერკით„ დაასაჩუქრა.

ჩავჯექი თუ არა ავტომანქანაში და ადგილიდან დავძარი, ლალის პირველივე კითხვა იყო:

_ ვინ იყო ის კაცი, ძველი ნაცნობი, მეგობარი?

_ არა, დღეს პირველად გავიცანი!

_ ნუ მატყუებ, ახლად გაცნობილებს ასე არ ემშვიდობებიან!

_ არ გატყუებ, ლალი, _ დაბეჯითებით გავუმეორე.

_ მატყუებ და ეგაა!

_ შვილების თავს ვფიცავ!

_ შვილებს ნუ იფიცებ, მართალი მითხარი, ვინ იყო?

_ ვინ იყო და ავტოინსპექტორი გოგი ბოსტოღანაშვილი!

_ დამცინი?

_ არა!

_ ჩვენი სიყვარული და შვილები დაიფიცე ერთხელ კიდევ!

_ დამიჯერებ თუ არა, ეს შენი საქმეა!

_ სერიოზულად მითხარი, _ ლამის ხვეწნაზე გადავიდა ლალი.

_შენი აზრით, რას ვეტყოდი?

_ რაიმე სისულელეს!

_ და იმ სისულელით ასე მომექცეოდა?

_ არა მგონია!

_ ჰოდა, სჯობს ჩუმად იყო, დანარჩენი მე და გიგო ბოსტოღანაშვილმა ვიცით, ეს ჩვენი საიდუმლოებაა.

ამ ამბის შემდეგ ჩემი ტყუილით წითელი „ჟიგულით„ ისე დავგრიალებდი მთელ ქალაქში, ხმის გამცემი არავინ იყო. გზაზე გადმომდგარ ყველა უცნობ ავტოინსპექტორს მხოლოდ ერთსა და იმავეს გადავძახებდი _ „ტუხას„ ნათლული, ბესა ვარ! ბევრი უკვე კარგად მცნობდა და ხელსაც შინაურულიად მიქნევდა. უფრო მეტიც, ზოგნი თავიანთ სამსახურსაც მთავაზობდა, დახმარება ხომ არ გინდა, ბესა ბატონო?!

ეს ამბავი, ერთხელ, ჩემი სიყრმის მეგობარს, ენაკვიმატ თამაზიას გავუმხილე, საიდუმლოდ. ბევრი იცინა, მაგრამ არ დამიჯერა, მერე ლალიმ სამუზეუმე ექსპონატივით შემონახული „ბამბანერკა„ რომ უჩვენა და იმ დღის ამბავს მოყვა, მერეღა დაიჯერა.

სხვათა შორის, თამაზიას ერთი მოძველებული „მოსკვიჩი„ ყავს. კვირა არ გავა, არ შეაკეთოს, „გაიკების„ ნაცვლად, მავთულებით აქვს დამაგრებული. ქალაქში გასული კი ყველას თვალში ეჩხირება.

ღმერთს სულ იმას ეხვეწება, ისე გამატარე გზაში, ავტოინსპექტორმა არ გამაჩეროსო, მაგრამ, ეჰ, სადაა ღმერთი! ღმერთი რომ იყოს, თამაზიას ახალი გამოშვების „ვოლგა„ არ უნდა ჰქონოდა?

როგორც გითხარით, ხუმრობა უყვარს თამაზიას. შინ რომ გვესტუმრება, პირველი სიტყვა ესაა: ჯერ დამალევინეთ და ახალ ამბებს მერე გეტყვითო. პირველ რიგში ცოლის მზითვებში მოყოლილ სიდედრს გაიხსენებს ხოლმე:

_გაგიგონია, კაცო, ასეთი რამ, წელებზე ფეხს ვიდგამ, ვცდილობ, ყოველთვის სიდედრს ვასიამოვნო. ცოლსაც უხარია, მაგრამ, შინ დაბრუნებულს, მეტ წილად, კარებში სიდედრი მხვდება და ჩემ ცოლს ეჩხუბება: ვინაა ეს კაცი, ყოველდღე შენთან რომ დაიარებაო.

ძაღლი მყავს, ჩუმად იცის მიპარვა და კბენაც. ამას ნინათ, ჩემი კარის მეზობელი, მარუსა დაკბინა. შეეწუხდი. თავიდან მოცილება გადავწყვიტე, ვერ შეელია სიდედრი. აქეთ ჭკუის დარიგება დამიწყო:

_ ძაღლი იმისაა, რომ ვიღაცა უნდა დაკბინოსო. კარგმა ძაღლმა უნდა დაგლიჯოს და, ხანდახან, ქათამსაც უნდა გაჰკრას კბილი, ისე თავს ვერ გაიტანსო.

სკლეოროზიანია და რას იზამ. თუმცა ცოტა რომ გადაუვლის, იცით, რა მოსიყვარულე ხდება? ყოველდღე, შინიდან გასვლისას, კიბეებამდე მიმაცილებს ხოლმე და დამარიგებს ხოლმე:

_ თამაზია, ფრთხილად ჩადი, მოაჯირს კარგად მოკიდე ხელი, ჯერ მარცხენა ფეხი გადადგი, მერე მარჯვენა. ქუჩაში შავმა კატამ თუ გადაგირბინოს, იმ გზაზე არ გადახვიდე. შორიდან მოუარე! ქუჩაში მიმავალმა, ფრთხილად იარე, ქვას ფეხი არ წამოჰკრა. მოკლედ, დედაჩემი ისე არ მიფრთხილდებოდა, როგორც სიდედრი მიფრთხილდება.

თამაზიას თავგადასავლებსა და ხუმრობებს, ხშირად ვისმენთ, ბევრჯერ გვიფიქრია, საიდან ამ კაცს ასეთი იუმორი?

ავტოინსპექტორზე, ჩემ მიერ მოყოლილი ამბის შემდეგ, იმდენი იცინა, ძლივს ვაჩერებდით. მერე დაფიქრდა და დაიქადნა:

_ ახლა მე ვიცი, მაგათ რა ოინი მოვუწყოო.

ერთი თვე ისე გავიდა, თამაზია არ გამოჩენილა. გული გაგვიწვრილდა მის ლოდინში. ერთ შაბათს კი თამაზია სახედალილავებული, უმანქანოდ მოვიდა.

_ ეს რა მოგსვლია, თამაზია, უმანქანოდ რატომ დადიხარ, _ ვკითხე დანანებით.

_ ეჰ, მოგჭამა ჭირი მანქანამ და თამაზიას ხუმრობებმა!

_ რა მოხდა, ასეთი, თამაზია, გამაგებინე!

_ შავი ჭირი და გადაშენება შენს ნათლია „ტუხას“!

_ არ იტყვი, კაცო, მაინც რა მოხდა ასეთი?

_ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

_ მთელი კვირა ვიგრიალე შენსავით „ტუხას„ ნათლიობის ძახილით. ხმა არც ერთ ძაღლსა და მამაძაღლს არ გაუცია, პირიქით, „ტუხას„ სახელით მანქანის საბურავები და ზოგიერთი დეფიციტური ნაწილებიც შევაცვლევინე, მუქთად, მაგრამ, ბოლოს არ გამიმართლა. ამ რამდენიმე დღის უკან ქალაქგარეთ, რესტორან „კიკოსთან„ გავიარე. ვიღაც ავტოინსპექტორმა შემაჩერა:

_ „ტუხას„ ნათლული ვარ, მეჩქარება-მეთქი! _ აგდებით გავძახე.

_ ჰოდა, „ტუხას„ ნათლული თუ ხართ, უპატივცემლოდ როგორ გაგიშვებთ, ბატონო, თავაზიანად მიპასუხა. _ გადმობრძანდით, შალვოვიჩიც აქ ბრძანდება. თითო ჭიქა დაგვილიეთ!..

ვიფიქრე, ხუმრობდა...

_ მეჩქარება, დიდი მადლობელი ვარ! _ ისევ გავუმეორე...

_ თქვენი აქ ყოფნა რომ გაიგოს, შალვოვიჩმა, გაგვინაწყენდება. ხომ იცით, ახლობლების როგორი მოსიყვარულეა, მითუმეტეს, დაპატიჟებაზე თუ უარს იტყვი, ძალიან გაანაწყენებ. ვიფიქრე, ავტოინსპექტორი მეხუმრებამეთქი.

არ გასჭრა ჩემმა სიტყვებმა და მანქანიდან ფეხათრევით გადმოვედი. ავტოინსპექტორი მოწინწებით შემიძღვა რესტორანში და საკმაოდ მდიდრულად გაშლილ მაგიდასთან აღმოვჩნდი. სუფრას ათიოდე შეზარხოშებული მამაკაცი უჯდა. ავტოინსპექტორმა მაგიდის წევრებთან თამამად წარმადგინა:

_ შალვოვიჩ, ბოდიშს გიხდით, აგერ, თქვენი ნათლული მოგიყვანეთ!

სუფრის თავში მოკალათებული, ერთი კარგად ჩასუქებული მამაკაცი ფეხზე წამოდგა, ბაჯბაჯით მომიახლოვდა და დაკვირვებით ამხედ-დამხედა, თვალი თვალში გამიყარა... ენაწართმეული მთელი ტანით ავკანკალდი. ვაი, შენს თამაზიას, _ გავიფიქრე და...

_ ვინ ხარ, შენ?! _ მკაცრად მომახალა „ტუხამ'.

ხმა ვერ ამოვიღე.

_ შენ ხარ ჩემი ნათლული?!

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

_ რა გქვია და ვინ ხარ შენ?

_ თამაზია ვარ, თამაზია!

_მაშ, თამაზია ხარ, ხომ, ჩემი ნათლული? როდის მოგნათლე!

შიშით თავი დავხარე და გავიტრუნე.

_ აბა, ბიჭებო, ჩემ ნათლულს სათანადო პატივი ეცით. აღრიალდა „ტუხა„ და ისეთი ბათქაბუთქი ამიყენეს, შენი მოწონებული.

_ ასეთები გვჭრიან თავს, ასეთები! ამის დედაც! ასეთებმა ამოსვარეს ჩემი სახელი ტალახში... დასცხეთ ამ არაკაცს, _ უფრო აღრიალდა „ტუხა„ და ჩემ თავზე მოქნეული ყოველი მუშტი სიკვდილს მაახლოებდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო და „ტუხას„ ერთი კვირა ვყავდი მილიციის საკანში გამოკეტილი. მოწმეც გამოჩნდა საბურავების საქმეზე. დაკითხვას თვითონ ესწრებოდა. სხვათა შორის, ძაღლების საქმეც ლამის მე ამკიდეს, მაგრამ, გადავრჩი.

მანქანამ და მართვის მოწმობამ სამუდამოდ მოგჭამა ჭირი.

თამაზიას თავზე დატეხილი უბედურების შემდეგ კარგა ხანი მანქანით ვეღარც მე ვბედავდი ქალაქში გასვლას, სულ იმას ვფიქობდი, თამაზიას ბედი მეც არ გამეზიარებინა.

ПРОЗА

უშანგი ჯანგირაშვილი _ 65



საიუბილეო თარიღი, დაბადებიდან 65 წელი, შეუსრულდა ჩვენს უშანგი ჯანგირაშვილს, კაცს, რომელმაც ალალად, კაცურად განვლო ჭირ-ვარამით ნაზიარები ცხოვრება და თავისი კვალი დაამჩნია მის მიერ გავლილ აღმართსა თუ დაღმართს.

დღესაც კარგად მახსოვს, მისი პირველი შემოსვლა გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქციაში, შავი თმებითა და სქელი ულვაშით დამშვენებული, საოცრად მორიდებული, დაიმედებული გამოვიდა რედაქტორის, ბატონ ოთარ სტაჟაძის კაბინეტიდან. არავის იცნობდა, სულ რაღაც რამდენიმე დღის დაოჯახებული იყო. ბატონმა ოთარმა წესიერ, ზრდილ ახალგაზრდას კოჭებშივე შეატყო, ნიჭიერ კაცთან რომ ჰქონდა საქმე და ბევრი აღარ უყოყმანია, სამსახურში მიიღო.

ახალმოსული, დამწყები ჟურნალისტი, კარგახანს ვერ გაუშინაურდა რედაქციის სტაჟიან მუშაკებს, ყოველთვის დინსტანციას იცავდა. უაღრესად კულტურული, ზრდილობიანი და მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი პირველი დღეებიდანვე შეიყვარა კოლექტივმა, შემდეგ კი, მისი ნაწერების გამო, რაიონის მთელმა მკითხველმა საზოგადოებამ და არა მარტო მათ...

გულახდილად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალმხრივ ნიჭიერი შემოქმედის ბატონი უშანგი ჯანგირაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი მთლიანობაა, რომელიც ორი საწყისის _ ნიჭის და ბედის ამ ცხოვრებასთან ჭიდილითაა განპირობებული. მასში ყოველთვის მღვიძარებს სინდისი _ მამხილებელი გონება, რომელიც იძლევა საფანელს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის.

ბატონმა უშანგიმ, სულით ხორცამდე ამ ფშაველმა კაცმა, დიდი ვაჟას კუთხიდან ბორჯომში დასახლებულმა, თავისი საოცრად თბილი და მორიდებული ცხოვრებით და ნიჭიერებით ბევრი გულშემატკივარი გაიჩინა.

უშანგის მართლაც, რომ გაუმართლა. რედაქტორი არ ბოჭავდა მის კალამს, ყოველ მომზადებულ წერილში, ინტერვიუსა თუ ინფორმაციაში იგრძნობოდა გულიანი კაცის ფიქრები, შეუვალი პრინციპები, რომლის მთავარი პოსტულატები ყოველთვის იყო ზნეობა, მორალი, ჭეშმარიტება.

მისი მორიდებულობის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ რედაქციაში მუშაობის რამდენიმე წლის შემდეგ, გავიგეთ, ჩვენი უჩა ლექსების წერასთან მწყრალად არ ყოფილა, პირიქით, თურმე, ჯერ კიდევ სკოლაში უცდია თავისი შესაძლებლობები (ფშაველი კაცისგან მართლაც რომ არ უნდა გაგვიკვირდეს ლექსებთან ურთიერთობა)! შემდეგ კი საქართველოს უპირველეს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, უნივერსიტეტის ალმანახ ,,პირველ სხივში" აქვეყნებს სამ ლექსს: ,,სამშობლო", ,,კონსტანტინე გამსახურდია" და ,,ღამე". შემდეგ ქვეყნდება მისი არაერთი ლიტერატურული წერილი საკმაოდ აქტუალური თემატიკით.

თუ არ ვცდები, გაზეთ ,,ბორჯომში" მისი მხატვრული შემოქმედებიდან ძალზე ცოტა რამ დაბეჭდილა, რაც ძალზე სამწუხაროა, მაგრამ ამ დანაკლისს მისი მშვენიერი წერილები, სიუჟეტები, ნარკვევები, ინტერვიუები ავსებენ და რაიონის მკითხველი საზოგადოება აქტიურად ეხმაურება მის ბრძოლას, შემართებას, ჭიდილს ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

30 წელზე მეტია, რაც ჩვენი მეგობარი, ნიჭიერი ჟურნალისტი, პოეტი, ნოველისტი, პუბლიცისტი და კვალიფიციური მოჭადრაკე ამშვენებს და ამდიდრებს ჩვენ ქალაქს, ხელს უწყობს მის ინტელექტუალურ განვითარებას, აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, საგანმანათლებლო, სპორტულ ცხოვრებაში და ყველაფერ ამას უანგაროდ, მორიდებულად აკეთებს. არასოდეს არ უსვამს ხაზს თავის შესაძლებლობებს, უნარებს, ნიჭიერებას, რაც მის დიდ ადამიანურ თვისებებს უსვამს ხაზს. დიახ, თვითრეკლამა არაფრის მომტანია, ეს კარგად იცის Uუშანგიმ და არაერთხელ უთქვამს: „თუ ვინმეს უნდა რომ გაღიაროს, დაე, ეს თვითონ გააკეთოს ყოველგვარი კარნახისა და მითითების გარეშეო„.

ვეთანხმები ჩემს უმცროს, მაგრამ ძალზე ნიჭიერ კოლეგას და რადგან გაზეთის ფორმატი არ იძლევა ვრცელი მასალის გამოქვეყნების საშუალებას, მინდა ბატონი უშანგის ცხოვრებისეული კრედო ცოტა სხვა კუთხითაც წარმოვაჩინო.

ზემოთ აღვნიშნე, რომ იგი თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად შესანიშნავი მოჭადრაკეცაა. უშანგი რაიონის და სამცხე-ჯავახეთის მხარის პირველობის არაერთგზის გამარჯვებული და პრიზიორია. შესანიშნავად ფლობს მაგიდის ჩოგბურთის ჩოგანს, შეუძლია სპორტის სხვა სახეობებშიც წარმოაჩინოს თავი. მაგრამ მთავარი ეს არაა.

ყველაზე მთავარი მისი კეთილი გულია, მას ყოველთვის უჭირდა კრიტიკული მასალის მომზადება, არ უყვარს ადამიანის გაკრიტიკება. მისგან ვერასდროს გაიგებთ სხვის მიმართ სიძულვილს, პირიქით, თავისი ხავერდოვანი თვისებებით ცდილობს ერთმანეთზე განაწყენებულ ადამიანებს შორის შემრიგებლის როლი იტვირთოს, დაათბოს ურთიერთობები. ახლა როგორი პურმარილიანი კაცია?! მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედი ადამიანები, მით უმეტეს ჟურნალისტები, ჭარბი შემოსავლებით არასოდეს გამოვირჩევით, ყოველთვის ცდილობს, რაიმე ღირშესანიშნავი დღე მცირედით მაინც აღნიშნოს ხოლმე.

ასეთი შეხვედრების მთავარი ღირსება ხომ ადამიანების სიახლოვეა, თავისი გულისნადების გაზიარებაა, სწორედ ამას ახერხებს ჩვენი უშანგი და იმ სიყვარულს და ავტორიტეტს, რაც მას მისმა შემოქმედებამ მოუტანა, პურმარილიანი კაცის სახელიც შესანიშნავად შეითვისა და ასე ტაატით გავლიეთ ეს წუთისოფელი.

ბატონ უშანგი ჯანგირაშვილს, თავისი განვლილი მოკრძალებული ცხოვრებით ნამდვილად შეუძლია ამაყად თქვას, რომ შემოქმედება მარტო კალმის მოსმა არაა, იგი ომია, ომი ზნეობის, მორალის დროშით და ამ ომში მან, ერთ-ერთმა რიგითმა ქართველმა, თავისი ტვირთი ღირსეულად ზიდა.

აღნიშნულს ადასტურებს მისი წიგნები: ,,არაგვის ხეობიდან ბორჯომის ხეობამდე", ,,ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში" და ,,სველი მზე". (ლექსების ორი კრებული) ამ წიგნებში ჩვეული სიდინჯით თავისი ,,სულიერი ნაღვაწი" მთელი სისავსით და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით აქვს გადმოცემული.

ჩემო ძმაო და მეგობარო! _ სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, ამჯერად ეს ვიკმაროთ შენს საიუბილეო სუფრაზე, სხვა მეგობრებთან ერთად, უფრო მეტს ვიტყვით. გისურვებ ყოველივეს საუკეთესოს, ჯანმრთელობას და, რაც მთავარია, შენი მოსმული კალამი ყოველთვის სიხარულს ანიჭებდეს შენს ერთგულ მკითხველს.

თემურ ხუხუნაიშვილი

ზნეობით „ძლიერი" ნიჭიერი შემოქმედი

ჟანგი არ მოკიდებოდეს შენს კალამს!

ცნობილი მეცნიერები და ანალიტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ მეშახტის პროფესიის შემდეგ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ურთულესი პროფესია ჟურნალისტობაა.

ჭეშმარიტს ღაღადებენ მეცნიერები. ყოველ შემთხვევაში, ასე შეიძლება შეფასდეს ჩვენი ერთგული და უღალატო, თხემით ტერფამდე ინტელიგენტის, პატიოსნების და კეთილსინდისიერების სანიმუშო წარმომადგენლის ბატონ უშანგი ჯანგირაშვილის ყოველდღიური შრომა. სიზიფეს შრომის ტოლფასია სხვადასხვა ჟანრის წერილების თემატიკაზე ჯერ ფიქრი და შემდეგ მისი საგაზეთოდ მომზადება.

ბატონ უშანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე იგი ღირსეულად ემსახურება ჩვენს გაზეთს და მის ერთგულ მკითხველებს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, ჟურნალისტი თავისი ნაღვაწით, გაზეთში გამოქვეყნებული წერილების შინაარსით, ლიტერატურული ენით, ფაქტების სიზუსტით, შეუპოვრობით ფასდება. ეს დაფასება კი ნამდვილად არ აკლია ჩვენს უჩას.

65 წელი ადამიანების დაღვინებისა და დაბრძენების ასაკია. გულწრფელად გვინდა დიდხანს სიცოცხლე და შემოქმედებითი წინსვლა ვუსურვოთ ჩვენს უფროს მეგობარს, რომელთანაც ერთად წლების მანძილზე, ხშირად უხელფასოდ, მცირე ანაზღაურების ფასად, ერთგულად ვეწევით მეტად მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობას, ერთგულ მკითხველს ვაწვდით სულიერ და ზნეობრივ საზრდოს.

რომ არა ბატონი უშანგის მსგავსი, პროფესიაზე შეყვარებული ადამიანები, ალბათ, გაზეთი ,,ბორჯომიც"დიდი ხნის დახურული იქნებოდა.

რედაქციის მცირერიცხოვანი კოლექტივი გულწრფელად ულოცავს ბატონ უშანგი (უჩა) ჯანგირაშვილს დაბადების 65 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს შერჩენოდეს მომავლის ოპტიმიზმი, ჟანგი არ მოკიდებოდეს მის კალამს, კვლავაც ერთგულად, უღალატოდ ემსახუროს საყვარელ სამშობლოს.

მრავალჟამიერ მის სიცოცხლეს და შემოქმედებას!.

გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქციის კოლექტივი

უშანგ ჯანგირაშვილი

პოეტის ტკივილი

,,ასეთი დარი თუ იდგა მაშინ,
როცა თბილისი აიკლეს სპარსთა„
ანა კალანდაძე

დარი? _ რის დარი! რომელი დარი!
ამოვარდნილა ცოდვის გრიგალი.....
მხოლოდ თბილისში გაწვიმებულა,
მხოლოდ თბილისში ადიდებულა,
მხოლოდ თბილისში გაწითლებულა
მაშინ კამკამად მდინარი მტკვარი...
მერე რა, დარი თუნდ ყოფილიყო,
მზე იყო მწყრალი,
მზე იყო მთვრალი,
იდგა ღვთის რისხვა, მეხი, გრიგალი,
ფარი ხმალს ლეწდა, ფარს ლეწდა ხმალი...
დარი? რის დარი, დიდო პოეტო,
შენ ის გაოცებს, მიტომ ხარ მკრთალი, _
ადამის ძემან ადამის ძეზე
როგორ აღმართა კაენის ხმალი,
ბუნების ტურფა სილამაზეში
რატომ ჩამოდგა სისხლ-წვიმის ჯარი,
ბოროტმა რატომ სძლია სიკეთეს,
ყოველთვის რატომ არ დარობს დარი:
განსაკუთრებით გტკივა, პოეტო,
და გლოვობს შენი ლამაზი ქნარი, _
ასეთ დარში და ასეთ ამინდში, _
საქართველოში რომ იცის მხოლოდ, _
საქართველოში, თავის მამულში,
რატომ აღმართეს ქართველზე ხმალი!
სად იყო მაშინ ღვთის სამართალი!
თბილისი რატომ დააკლეს მტკვარს და
თბილისს კი რატომ დააკლეს მტკვარი...

გოგიას ცრეხე

უქონგურებო გოგიას ციხე
მაგონებს უძლურ, უკბილო ბებერს;
ახლა მის დაღლილ ქვიტკირის
ძარღვში
აწმყო-წარსული გვერდიგვერდ
თვლემენ.
ჩაიჩიფჩიფებს ქარზე და შფოთავს, _
ისევ აწუხებს ბორჯომზე ფიქრი...
ხოლო, ვით სუნთქვა გარდასულ
დროთა,
ნაპრალ-ნაბზარში მიძვრება ხვლიკი...

ცხინვალის იქით

ცხინვალის იქით ყვავილი ჩამრჩა
ნამის მბრწყინავი მარგალიტებით;
ახლა ამ მთების ფიჭვნარს და
ნაძვნარს
ქარი გადუვლის მტირალი ხმებით;
ვეღარ ვაძინებ ლიახვის ტალღას
ქართულ ზღაპრით და ,,იავ-ნანათი",
და ცრემლით სავსე ჯვავის მთის
მთვარე
მიგზავნის მხოლოდ სევდის
ბარათებს...

ქარები

განგების ნებით ჩემს სულში
ქარები დაგელაობენ,
ხან ფოთლებს ფენენ უფსკრულში,
ხან ყვავილებთან დაობენ;
ხან კლდეს ფიქრს ჩააყოლებენ,
ტყეებს ხარხარით კოცნიან,
ტაძრებსაც ჩაუქროლებენ, _
ხატები მოსალოცია...
ჭიუხში რაღაც ძალამა
მზის სხივი ნისლში არია;
,,ფხიზელ რო მთვრალსა ვგევივარ",
აემ ქარების ბრალია!...

დიდება შენდა, უფალო

(ხალხურ კილოზე)

დიდება შენდა, უფალო,
უფალო უფლებათაო,
რომ სასნაული მახილვე
ამ მიწისა და ცათაო;
არარსობიდან შემქმენი,
ვერ კი გავიგე, _ რათაო?...
ალბათ ამ ლამაზ ხილვისთვის,
მზეს რო ნისლ ჩაეხლართაო!

არსებობა

ჰაერი, _ სიტკბოთი თაფლიან ფიჭის,
სურვილი, _ გატყორცნა ჩერქეზულ
ისრის,
მძლავრობა, _ ვულკანის გუგუნი
ისმის,
მე, _ ლოკომოტივი, მივქრი და ვიწვი...
ტკივილი, _ კლდეებს რომ შუაზე
ბზარავს,
რწმენა, _ აღმა რომ წაიყვანს არაგვს;
ხატება ქართული ცისა და მიწის, _
ამ ეფემერებში მივქრი და ვიწვი!..

თქვენთან ვალში ვარ, ქალბატონო

თქვენთან ვალში ვარ, ქალბატონო,
ვალში ვარ თქვენთან, _
თქვენ მე მაჩუქეთ სილამაზე,
მასწავლეთ სევდა!
როცა კი გნახეთ, შეეცვალა
ბუნებას ფერი,
და გალამაზდა ჩემს გარშემო
სუყველაფერი!
თუმც ვიღაც უცხოს უმშვენებდით
გვერდს მთავარ ბაღში,
და იქვე ბავშვი თამაშობდა,
ჰო, თქვენი ბავშვი!
გულს სევდის ნისლი მოებურა,
გახდა ავადა,
სილამაზე კი ჩემთან დარჩა
თავისთავადა..!
თქვენ არც კი იცით, ქალბატონო,
ვალში ვარ თქვენთან, _
თქვენ მე მაჩუქეთ სილამაზე,
მასწავლეთ სევდა!...

კოცნად ამისთანა მინახია

ფუტკარჩახუტებული ყვავილი
ირწევა მზეზე და ნიავზე,
აი, სიყვარული ნამდვილი,
აი, სიყვარულში სინაზე!
ალპური მდელოების ღაღანია,
დაბლა ჩანს ტყეები, ველ-მინდვრები,
ფუტკარი ამ ყვავილს, რა ხანია,
კოცნის და… მეც ცქერით ვერ
ვიღლები...
კოცნაც ამისთანა მინახია,
წუწნის და... ამოხადა სული!
ისე, ამ ყვავილზე კი ახია, _
შენსავით მშვენებაა სრული!
შენც კოცნით მომიყვანე გაზაფხული, _
მოიხსენ სიმორცხვის ჩადრი!
მაჩუქე ფუტკარ-ყვავილთ სიყვარული
თავისი ფიჭიანი თაფლით!

ნუხილი ამირანისა

სალ კლდის ნაშალზე, ლოდებზე,
მოჩქეფსო ცრემლის მდინარე,
გორმაღალაის უბიდან
მუდმივად გამომდინარე;
ყვავილებს ჟრჟოლად დაუვლის, _
ღვიძავს თუ შფოთავს მძინარე, _
კვნესა და გმინვა გულისა,
იმ კლდიდან გამომდინარე;
ეს რა ჩქამია ჯაჭვისა,
უროს გრდემლს ვინ სცემს ნეტავი,
ვის უჯავრდება ჯურღმულში
ვაჟკაცი, რკინის მკვნეტავი?
რა საყვედური ჩამესმის,
რა ხმაა, რა ლაპარაკი?..
. . . . . .
და მორაკრაკებს ლოდებზე
ცრემლის და სევდის არაკი...

ჩემს მარინას

წიგნზე ჩათვლემილს ტკბილად გეძინა,
ჩამოგვარდნოდა ფურცლებზე თავი;
პატარა თითებს წიგნი ეჭირათ,
თითქოს წაკითხულს იჭერდნენ
ძალით...
ვერ გაგაღვიძე, ღმერთს შეგავედრე,
ვერც შეგისწორე ჭრელი საბანი;
დაე, წაკითხულს შეეფერადოს
შენი სიზმრების იასამანი!..

სასჯელი

ლოგინში ყავარჯენს ვიწვენ,
ესეც დაცინვა ბედისა!_
ლაშარის ჯვრის ყმა ფშაველსა
ეს რა წაწალი მეღირსა!
აი, სასჯელი, თუ გნებავთ,
წუთისოფლის და ღმერთისა!

ბენვის ხიდი

ცდუნება იყო დიდი,
მაგრამ არ ჩატყდა ხიდი!
ეს ხიდი ბენვის ხიდია,
გამივლია და იგია!...
ცხოვრება ცოდვით სავსეა, _
წუთისოფელი ასეა!..
აჰა, გავსულვარ ბოლომდე, _
კარს მომდგომია ბოლო დღე!...
ჩემი კაცობით, რწმენით,
ტანჯვით და ცრემლთა დენით
განვლიე წუთისოფლის
ავ-კარგიანი დღენი.
და სანამ კიდევ ვღინღილებ
ამ წუთისოფლის მზეში,
ვიარო წელგამართულმა,
არსად დამიცდეს ფეხი!
ლუკმა გავუყო მოყვასს,
ვიდარდო სხვისი დარდიც,
თორემ ეშმაკი მზადაა,
იხმაროს რაღაც ფანდი!..

,,იქ„ ბენვის ხიდი სხვაცაა,
იმის ქვეშ ცეცხლის ტბაცაა,
აი, მერეა, რაცაა!!...

მეუღლეს

გთხოვ, მაპატიო, _ ღარიბად
ვცხოვრობთ,
სამაგიეროდ გისვამ უბეში,
პატარა ქალო და დიდო ცოლო,
გენიალურო სიერთგულეში!
ჩემო პატარა, ღაბუა ჩიტო,
გულის გალიის ზიხარ უბეში,
სულ მახალისებ, _ უღელი
ვზიდოთ,
როგორც ეს იყო სიჭაბუკეში.

სიღარიბეში კი ვცხოვრობთ, მაგრამ
გვიდგას მზე შინა, გვიდგას ნუგეში,
ღიმილით ვთესავთ სიკეთის
მარცვალს
და გაზაფხული ყვავის ხნულებში...
არ შეუშინდი სიკვდილის ელვას
და ორი ბარტყი ჩასვი ბუდეში,
ჩემი ბოკვრების გამჩენო დედავ,
შენ გენაცვალე სიერთგულეში!..

მეგრელ გოგონას

ნამდვილი კოლხეთის ასული ხარ,
მეტყველი,
თაფლისფერი თვალებით,
ქარაშოტი და ტანნერწეტა...
შავი ზღვის სიომ
მოგიძღვნა სინაზე,
ხოლო ეშხი, _
მანდარინებში ჩამდნარმა მზემ
და ლილისფერი მთების
ტყიანმა კულულებმა...
ხმა _ ეკლესიაში გალობენ თითქოს,
სიცილი _
ქარში ალვის ფოთლების
შემოთეთრება...
ის ცირა ხარ,
ნაწნავებიანი ცირა,
ტყვედ რომ გაგიტაცეს
მამელუქებთან...
ახლა შენ გაგიტაცია
ჩემი გული ტყვეობაში
და, გაურკვეველ ეიფორიაში
მყოფს,
ამ მარადიულ პატიმრობაში
მინდა ყოფნა!..

ბონდო არველაძე

შესავლის გარეშე ვიტყვი ჩემ სათქმელს, რომელიც იკა ქადაგიძის რომანის „ვარსკვლავმორბედის“ გაცნობის, გაცნობის კი არა, მისი სულმოუთქმელი წაკითხვის შემდეგ დამიგროვდა. განსჯისა და ფიქრის საბაბს კი რომანი უხვად იძლევა. ალბათ, არ ვცდები, ბიბლიური თემატიკის მხატვრული განსხეულება ჩვენს მწერლობაში იშვიათია. ამ იშვიათობას წარმოადგენს იკა ქადაგიძის „ვარსკვლავთმორბედი“, რომლის გმირებია ლაზარე, მისი დები მართა, მარიამი და მარიამ მაგდანილენი. გმირების მოქმედების გეოგრაფიული არეალია ბეთანია, იერუსალიმი, რომი და ა.შ.

მწერლის მხატვრული თხრობა თუ ხედვა, ფოკუსირებულია ლაზარეზე და მისი ფიზიკური ყოფისა და ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემაზე. ქრისტეს მიერ მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე „გამოქვაბულის კუთხეში უძრავად იჯდა. საიდანღაც საკუთარი ლეშის სუნი სცემდა. უხილავი, გაუცხადებელი, ველურად ნოტიო, გამოქვაბულში ჩაბუდებული ჰაერის მსგავსი ირგვლივ დამაშრული სიცხე მძვინვარებდა. გარინდულ ლაზარეს სუნთქვაც ენესტებოდა ოდეს საკუთარ მკვდრეთით აღდგომას იხსენებდა. ხეირიანად აზრის მოკრება უჭირდა. მეხსიერებამ გარკვევით ერთადერთი მონაკვეთი აღიდგინა, როცა სახვევებშემოხვეული და სუდარაშემპალი გამოქვაბულიდან აჩრდილივით გამოაფარფატეს. ფეხს ძლივს აკარებდა მიწას, მაგრამ იესოს მზერას შეასწრო თუ არა, მყისვე მომჯობინდა„.

– ლაზარე აღდგა, დიდება უფალს! – მოგუგუნე შეძახილი ზედ ჩაგუბებულ ყურთან ჩამოუშვავდა.

ასეთი ზედმიწევნით სრული წარმოდგენა, ფანტაზია ლაზარეს მკვდრეთით აღდგენისა, იშვიათია მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში და ეს შექმნა მან და არა მარტო ეს, კიდევ სხვა ბრწყინვალე ფსიქოლოგიური სცენები, რაც არც თუ ისე იშვიათია რომანში. საინტერესოა ისიც, რომ ლაზარემ იცის, იუდა ისკარიოტელი იესო ქრისტეს გასცემს, მაგრამ დები მას არ უჯერებენ... ისე, კაცმა რომ თქვას, იესო ქრისტემაც იცოდა, რომ მის მოწაფეებში გამცემი იუდა რომ იყო, „ზეთისხილის ბაღში მოუთმენლად ელოდებოდა მის დასაპატიმრებლად გამოგზავნილ ჯარის-

კაცებს. ისრაელი ბაღია, ჩემი ბაღი, სადაც დავიბადე და სადაც სულ მალე აღესრულება. დურგალი უკვე ეფერება ჯვარს, რომელზეც ჩემი სისხლი დაიღვრება„.

ეს არის ამონარიდი ფრანგი მწერლის ერიკ-ემანუიელ შმიტის რომანიდან „პილატეს სახარებიდან„. მასში ორიგინალურად არის გადაწყვეტილი პილატეს ბედი: იესო ქრისტეს წამებიდან სამი დღის შემდეგ, ქრისტე გაქრება და რამდენიმე დღეში მკვდრეთით აღმდგარი გამოეცხადება ხალხს. მართალია პოლატეს მკვდრეთით აღმდგარი იესო არ უნახავს, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილი შეუსვენებლივ ცდილობს გამოიძიოს გვამის გაქრობის საკითხი. ამავე დროს მის სულში, ეჭვის პარალელურად, მესიის არსებობამ გაიკაფა გზა – „იქნებ პირველი ქრისტიანი სულაც შენ ხარ, პილატე„? – ამგვარი კითხვით მთავრდება ეს რომანი.

ფრანგი მწერლის ამ რომანიდან ეს ამონარიდი მოვიხმე იმის ნიმუშად, რომ ბიბლიური თემების სხვადასხვა რაკურსით დამუშავება ხდება და ქართველმა მწერალმა ორიგინალურად გაიაზრა ლაზარეს მხატვრული სახე. მან ლაზარე დაუკავშირა მეორე გმირს – გოლიათური ღონის პატრონს, გლადიატორს იბერიოსს, რომელმაც გლადიატორთან არენაზე შერკინების დროს დაინდო. იესო ქრისტეს შთაგონებით არ მოკლა. აქ მწერალმა კვანძი ნელ-ნელა გახსნა. ლაზარე იბერიოსს დაამეგობრა. ლაზარემ იოანე მოციქული გააცნო იბერიოსს რომში და მონათლა ტიბრისში. იოანემ რომში დარჩენა შესთავაზა იბერიოსს, მაგრამ მან დარჩენაზე უარი განაცხადა: „რომში თუ ჩავრჩი, ჩემს მონათვლას რა ფასი აქვს? სამშობლოში უნდა დავბრუნდე. ქრისტეს მოძღვრებას ჩემს მიწა-წყალზე მეტი სიყვარულით და მონდომებით ვიქადაგებ“, – ამბობს ქართველი გმირი.

იკა ქადაგიძე პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ბიბლიურ

სამყაროში მხატვრულ გმირად ქართველი გამოიყვანა, მაგრამ ამაზე არ გაჩერდა და კოლხი ქალის – მედეას და ბერძენი იაზონის რომანი ქრისტიანულ ეპოქაში გადმოიტანა. მოღალატე იაზონი, ვის სიყვარულსაც მედეამ ყველაფერი შესწირა – სამშობლო, მშობლები, ძმა, იაზონი შვილების წართმევას დაუპირებს იმიტომ, რომ „აქ ჩემ მიწა-წყალზე ახალი კოლხეთის დაარსების საფრთხეს მიქმნიდა. იქიდან იმიტომ არ გამოვქცეულვარ, საკუთარ ფუძეზე მტრის თესლი მეხარებინა, შენთან არასდროს არაფერი მქონია საერთო„.

იაზონმა ნიღაბი ჩამოიხსნა და ჭეშმარიტი ბუნება გამოამჟღავნა: გულცივი ავანტურისტი, გაიძვერა – მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წამსვლელი რომ არის. მედეას შვილები არ დაუხოცია. „შვილები ნამდვილად არ მომიკლავს. ძალიან კარგად იცი, რომ შენმა ყოფილმა თუ მომავალმა ქვეშევრდომებმა პირდაპირ აქ ჩახოცეს. აქ, წმინდათა ადგილას, დაღვარეს უცოდველი ბავშვების სისხლი. მზის სისხლი დაღვარეს. თქვენ დაწყევლილები ხართ, რადგან მზე მოკალით! ქალი მუხლებზე დაეცა... მზე, მზე მოკალით, ადრე თუ გვიან პასუხს მოგკითხავთ„.

ეს სცენა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დამაჯერებელია. დამაჯერებელია აგრეთვე სასახლეში მარტო დარჩენილი იაზონი თავს რომ იკლავს.

მედეას ბედს კი მწერალი განგებას ანდობს...

მხატვრული პროზის ნიმუშად გამოდგება იესო ქრისტეს მიერ ლაზარეს ნათლობის სურათი. მათ შორის გამართული დიალოგი... ბერძენ პრომეთეოსად ქცეული ქართველი ამირანის სახე ქართულ მწერლობაში პირველად გამოჩნდა იკა ქადაგიძის ამ რომანში. მწერლის ერთ-ერთ უეჭველ გამარჯვებად მიმაჩნია ზღაპრულად ლამაზი, შიშველი სალომეს მიერ ლაზარეს ცდუნების ამაო ცდა. ეს აღწერა არ არის, ეს მაღალი ტალანტის მქონე მხატვრის ხელით ნაძერწი კლასიკური სურათია. სალომემ ვერ აცდუნა ლაზარე. ამ უკანასკნელმა რწმენის გამო კაიაფას ჯარისკაცების ხელით გვემა არჩია ამ ქალთან სარეცელის გაზიარებას. ლაზარე უნდა ჩაქოლონ: „ერთად, ყველამ ერთდროულად ჩავქოლოთ! ხალხის სიღრმიდან ვიღაცამ იბღავლა.

– ხალხის გადაწყვეტილება კანონია! – კმაყოფილი ფარისეველი კაიაფა, თვითონაც ქვის ძებნას შეუდგა.

– სიკვდილმისჯილს ხელი არ ახლოთ! ლაზარე უდანაშაულოა. და ვინც მის მოკვლას გაბედავს, თვითონ განიგმირება“! გაისმა ღვთის ხმა. ხალხი შეყოვნდა, მაგრამ კაიაფამ ვიღაც კაცს ხელიდან გამოგლიჯა მოზრდილი ქვა, ახლოს მივიდა ლაზარესთან და ესროლა. ქვა ასხლტა ლაზარეს და მთელი ძალით მოხვდა კაიაფას და სისხლიან ცხედრად აქცია... ეს ხმა იესოს ხმას არა ჰგავდა! – ლაზარემ ხელმეორედ განიცადა ცეცხლის უნაპირობა.

– თვით მამაღმერთმა დაგიცვა. ღმერთი შენს სიკვდილს არ ინებებს. გავიგე, ტაძრის აგება განგიზრახავს, ჩემი იმედი გქონდეს, რასაც შევძლებ, დაგეხმარები – უთხრა იოსებ არიმათიელმა„.

რომანში გაკვრით არის ნათქვამი მარიამ მაგდალინელის ლაზარესადმი სიყვარულზე, მაგრამ ეს მინიშნებაც ნათლად გვიხატავს ამ წმინდანი ქალის მიმტევებლურ, კეთილშობილურ ბუნებას.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი სალომეს ბედი: რომში მორიგე სიგიჟემ იბარტყა. შუაგულ ქალაქში ახალგაზრდა მდიდარი პატრიციები, ხალხის თვალწინ სქესობრივ აქტს ამყარებენ ენითაუწერელ ლამაზ ქალთან, რის შემდეგაც მათ ხოცავენ. მიუხედავად ასეთი ტრაგიკული ფინალისა, „მზისფერი თმით და ხვლიკისფერ თვალებიან ქალთან მის მსურველ მამაკაცთა რიგი იდგა. ბოლოს მასთან თანაყოფის სურვილი გამოთქვა რომში ცნობილმა გავლენიანმა მამათმავალმა. ქალი გამოწვევას იღებს. ქალთმოძულე ქონდაქარმა სანადელს მიაღწია თუ არა, ქალი იქვე განგმირა. მართალია მამაკაცური ღირსების შემარცხვენელი ადგილზე მოკლეს, მაგრამ ქალს ამით რა ეშველა?.. ასე დასრულდა სალომეს გალაშქრება რომზე. ამ ამბავს მარიამ მაგდალინელი უყვება ლაზარეს და მის დებს. ლაზარე უკვე განკურნებულია სალომეს სიყვარულისგან... იგი უფლის ტაძარს აშენებს. წმინდა ტაძარი ადამიანმა საკუთარ სულში უნდა ააგოს... მზე არ უნდა ჩავიდეს ადამიანში, გაყინული გული და უფალი უმალ ამომზეურდება...

მთავრდება რომანი და ქრისტეს სიწმინდის მარადიულობის გრძნობით კიდევ უფრო იმსჭვალება ადამიანი... მკითხველი.

მართალი წიგნი

ვაჟა სამსონიძე

მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა აგრესიული ირანისა და ოსმალეთის ურთიერთბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული. ქართველი ხალხი თავგამოდებით ებრძოდა ორივე დამპყრობელს, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო.

და აი, დასაღუპავად განწირულ პატარა საქრიასტიანოს ბედმა თუ განგებამ მხსნელად გიორგი სააკაძე მოუვლინა. სააკაძის საგმირო საქმეებმა ერთბაშად აალაპარაკა მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის მემატიანენი. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანის გამონათქვამს: იტალიელი პატრი ქრისტეფორე კასტელი: „დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი; მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსთა მეფობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს„.

თურქი მემატიანე მუსტაფა ნაიმა: „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი იყო და დევის ღონე ჰქონდა„.

სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელის გადმოცემით, გიორგი სააკაძე ყოფილა „გონიერი, მჭერმეტყველი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი, ამასთან, ტანადი, ძლიერი, მამაცი მეომარი და უძლეველი მებრძოლი„.

მემატიანეთა ეს სიტყვები მოტანილია მწერლისა და კრიტიკოსის ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნიდან „გიორგი სააკაძის პიროვნება“, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1980 წელს.

სააკაძის დიდ მხედართმთავრულ ნიჭსა და შესაძლებლობებზე ბევრს წერდნენ ქართველი ისტორიკოსებიც: „მოურავის ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს“, – ერთხმად აღიარებენ ისინი.

მრავალი ისტორიული ნარკვევი, რომანი და ლექსია დაწერილი გიორგი სააკაძის შესახებ, თეატრებში იდგმებოდა სპექტაკლები, დიდ სამამულო

ომში სტალინის მითითებით გადაღებული იქნა ორსერიანი მხატვრული ფილმი. უკანასკნელ წლებში კიდევ რამდენიმე ნაშრომი გამოიცა, სადაც დიდი მოურავი, რომ იტყვიან, წარმოდგენილია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, ბრწყინვალებით, მაგრამ მკითხველის თვალში ის მაინც რთულ, გაორებულ პიროვნებად რჩება. ზოგიერთ ქართველს ვერ გაუცნობიერებია ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ომების გმირს, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრის, შაჰ-აბასის სამსახურში ხედავდეს, კახეთის აოხრების მიზეზად და ბაზალეთის ძმათაშორისი ომის წამომწყებად მიიჩნევდეს.

ზემოხსენებული წიგნი აქარწყლებს ყველა ეჭვსა და ბრალდებას სააკაძის მიმართ: „შევეცადე, – წერს წიგნის ავტორი, – კიდევ ერთხელ გამეანალიზებინა, როგორც ბოლო ხანებში, ასევე წარსულში, გიორგი სააკაძის შესახებ გამოთქმული მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, ასე რომ აღელვებს დიდი მოურავის შთამომავლობას„.

აქ უადგილო არ იქნება უმნიშვნელოვანესი თარიღებიც გავიხსენოთ: 1608 წელს გიორგი სააკაძე თბილისის მოურავი ხდება. 1609 წელს იგი სასტიკად ამარცხებს ყირიმელ თათართაგან შემდგარ ოსმალთა მრავალრიცხოვან ლაშქარს ტაშისკართან. სულ მალე ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე ცოლად ირთავს სააკაძის დას. დიდგვაროვანი ერისთავები აღშფოთებული არიან: „მოურავი კაცი დიდად კარგი არის, მაგრამ ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გუარითაო. ჩუენ იმათ ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად რად მივსცეთო და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავისა„.????????? დიდგვაროვნებმა იმასაც მიაღწიეს, რომ მეფე დაარწმუნეს სააკაძის ორგულობაში და ცოლი გააშვებინეს, თვითონ სააკაძეს თავს დაესხნენ, ოჯახი აუწიოკეს და აიძულეს ირანში გადახვენილიყო (1612 წ.).

ირანის შაჰმა აბას პირველმა, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით მიიღო სახელოვანი სარდალი და გადაწყვიტა მისით ვერაგული განზრახვის აღსრულება – ქართლ-კახეთის ამოწყვეტა და იქ ყიზილბაშური სახანოების დაარსება. თავის მხრივ, სააკაძეც ცდილობდა შაჰის გამოყენებას – მისი ძალებით უნდა აელაგმა თავისი პოლიტიკური მონინააღმდეგენი ქართლში, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის გაერთიანებას.

1614-1616 წლებში შაჰ-აბასის შემოსევებს თან ახლავს გიორგი სააკაძე, მაგრამ ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი მისი ავკაცობის შესახებ. მოურავს ვნება არ მიუყენებია თავისი ხალხისთვის, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ მტრის ჯარში ყოფნა აუცილებელი იყო, რადგან სხვა გზა მას არ ჰქონდა!

1612 წლიდან 1625 წლამდე შაჰ-აბასსა და გიორგი სააკაძეს შორის ფარული, შინაგანი ომი მიმდინარეობდა, ისინი ერთმანეთს ზვერავდნენ, ზომავდნენ, ვინ ვის გამოყენებას შესძლებდა უკეთესად. სააკაძე გულის სიღრმეში ინახავდა თავის განზრახვას. არც შაჰი ამჟღავნებდა თავის ხვაშიადს, შემდეგში კი გამოირკვა, რომ მას სააკაძის მოკვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი.

1625 წელს მარტყოფის ველზე მათი მიზნები საბოლოოდ შეეჯახნენ ერთმანეთს. სააკაძემ მუსრი გაავლო სპარსელებს: 30 ათასი კაციდან 3 ათასმა ძლივს უშველა თავს მარდი ცხენების წყალობით. ბრწყინვალე გამარჯვებაა! „ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ამდენი ზარალი არ მოსვლიაო„ – წერდა იმდროინდელი თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი.

განრისხებულმა შაჰმა უსაყვარლესი შვილის მოჭრილი თავი გამოუგზავნა მოურავს და იმავე წლის ივლისში უზარმაზარი ჯარით კვლავ შემოესია საქართველოს. ომი მოხდა მარაბდასთან. ისევ იჩინა თავი თავადების შურმა და გაუტანლობამ. მათ აღარ ისურვეს სააკაძის წინამძღოლობა და არც მისი ბრძოლის გეგმა მიიღეს. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერსაც ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება – 14 ათასი ყიზილბაში გაწყდა. სააკაძის იქ ყოფნა მაინც ბევრს ნიშნავდა, მან პარტიზანული ბრძოლები გააჩაღა, შეკრიბა გაბნეული ნაწილები და მდინარე ქსანთან ერთხელ კიდევ სასტიკად დაამარცხა სპარსელები. ქსნის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდში სააკაძემ 60 კაცით 700 ყიზილბაში გაისტუმრა იმქვეყნად.

დაბოლოს. 1626 წელი. ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი, რომლის მიზეზი კვლავ დიდგვაროვნები იყვნენ. მათ ერთმანეთს წაჰკიდეს გიორგი სააკაძე და კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი – სამცხე-იმერეთის ლაშქარი ებრძოდა ქართლ-კახეთისას. სააკაძე დამარცხდა. მან არც იომა მისთვის ჩვეული „გულისხმიერებით“, მოერიდა ქართველთა შორის სისხლის ღვრას. სააკაძემ არც თეიმურაზი გაიმეტა სასიკვდილოდ, მხოლოდ „ჰკრა.., ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და წარვიდა„. ე.ი. გაეცალა ბრძოლის ველს.

სააკაძე კვლავ უცხოეთში ეძებს თავშესაფარს, ამჯერად, თურქეთში. და ისევ... ღალატი! 1629 წელს ის შურისა და მტრობის მსხვერპლი ხდება. იმავე წელს აღესრულა ქართველთა სისხლის მსმელი შაჰ-აბასიც.

მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია თავის წიგნში ღრმა ცოდნით და ფსიქოლოგიური ალღო-ანალიზით აღწერს დიდი მოურავის ბრძოლისა და ცხოვრების ეპიზოდებს. განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის მიერ გადახდილი ომების დიდ მნიშვნელობას. მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის სახელოვანმა ბრძოლებმა თვალნათლივ დაანახა ყველას – მტერსაც და მოყვარესაც, სააკაძის უდიდესი გონებრივი ძალა და ფიზიკური შესაძლებლობები, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი. ამ ბრძოლებმა ირანის რჩეული შეიარაღებული ძალების ნახევარზე მეტი შეიწირა, რითაც, საბოლოოდ, დასამარდა „ირანის ლომის„ ბოროტი განზრახვა ქართლ-კახეთის ამოგდების შესახებ. დიდმა სარდალმა და მამულიშვილმა, უსაყვარლესი შვილის სიცოცხლის ფასად, იხსნა ნახევარი საქართველო. „პაატას შეწირვა მოურავის მხრივ, – წერს ჯ.ღვინჯილია, – ქართველი კაცის დიდი მამულიშვილობის უიშვიათესი საბუთი იყო... სააკაძემ შეიძლო ასეთი თვითგაღება... არა არის რა იმაზე დიდი გმირობა, ვიდრე უსაყვარლესი შვილის გაწირვა სამშობლოსათვის„.

წიგნის ავტორი უდიდესი სიმპათიით და თანაგრძნობით არის განმსჭვალული თავისი სახელოვანი წინაპრისადმი: „იმდენად დიდია სიყვარული და რწმენა სააკაძისადმი, რომ შიგადაშიგ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრებანი ამის გამო უფრო აღშფოთებს ქართველი კაცის სულს! მას არ უნდა პატარა ლაქაც კი ეცხოს საკაძის სახელს„.

ჩვენ კიდევ დავამატებდით: ვისაც გულდასმით აქვს წაკითხული ჯ.ღვინჯილიას წიგნი „გიორგი სააკაძის პიროვნება“, დაგვეთანხმება, რომ ასეთი ლაქისთვის ადგილი აღარც რჩება...

რეალობა თუ ლეგენდა

მერაბ ხურციძე

(დასასრ. გაგრძ. იხ.№5-6. 2015)

რწმენა და საქციელი

ოციანი წლების დასასრულს, იმ ეკლესიას, სადაც მამა მსახურობდა, ერთი პიანისტი შემოეჩვია. მას საკუთარი ხელით გადატანილი ჰქონდა ზაქარია ფალიაშვილის ქმნილებები, ქართული საეკლესიო საგალობელნი, უკრავდა ივლიტის ეკლესიისთვის გარმონს და მშვენიერი ტენორით გუნდიც მიჰყავდა.

თავის გარმონს, მის ტენორს და ლამაზი ქალბატონებისაგან შედგენილი გუნდის საგალობელს, დამსწრენი ღვთისმოსაობის ექსტაზში შეჰყავდა და კვირა დღის, ვნების კვირის, ჯვარის გზის თუ საშობაო ნანის ცერემონიალის შესრულებისას, დარბაზში ხალხის ტევა არ იყო.

სანამ გუნდი ოფიციალურად წარსდგებოდა საზოგადოების წინაშე, ეს პიანისტი _ ხელმძღვანელი, დიდის შეუპოვრობით, დროისა და ენერგიის დაუზოგავად, ატარებდა მეცადინეობას, ამ თავშეყრის დროთა განმავლობაში ის მოჰყვა, რომ მან უპრეცედენტო მორწმუნის სახელი დაიმსახურა ხალხის და, განსაკუთრებით მამაჩვენის თვალში, თვით გახდა მონა ჩვენი უმცროსი დის _ მაროს სილამაზისა და ამ შუახანს გადაცილებულმა შინაბერამ ჩემი დის ხელი სთხოვა მამას.

ნაცნობ-მეგობრების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამამ 22 წლის უმწიკვლო ქალიშვილი, არც თუ სილამაზეს მოკლებული, ახალგაზრდა და პერსპექტიული თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, ქალიშვილის საქმროდ არჩევანში უპირატესობა მამისტოლა კაცს მისცა, ახალგაზრდების ათეიზმი საკმაო აღმოჩნდა ამ მკაცრი განაჩენის გამოტანისათვის.

1943 წელს ორი ვაჟი _ ერთი 9 წლის, მეორე 12-ის, დაობლდა. მაშინ ჩემი და 35 წლის იყო, მას შემდეგ 31 წელი გავიდა, ამ შეუსაბამო ქორწინებამ დაჩაგრა ჩემი და, მაგრამ რა შეედრება მამაჩემის ერთ გამონათქვამს, რომლის მოწმე მე გავხდი ჩემი სტუდენტობის დროს, როცა სრულიად შემთხვევით მას ხელში ჩავარდნოდა მესამე სიძის დაბადების მოწმობა:

_ ეს არის ბედის ირონია, _ მითხრა მამამ, _ ეს ქაღალდი, ან სულ არ უნდა მენახა, და თუ უნდა მენახა, ეს მაშინ, სანამ გამოუსწორებელ მცდარ ნაბიჯს გადავდგამდიო.

ჩემი ძმის _ იოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წლების მანძილზე, სანამ ეს საჭირო იყო, ბევრი მოაკლო საკუთარ თავს თუ ოჯახს, რომ ქვრივ დას პატარა ობლების გამოზრდაში დახმარებოდა.

ყველაფერს ეშველა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა მამაჩემის სინანულით დამწუხრებული სახე, საბედისწერო შეცდომის, ალბათ, რაც მას ათეიზმის სიძულვილმა ჩაადენინა.

სანამ ამ პატარა სოფელ ივლიტაში გამოჩნდებოდა ეს უზადოდ და გემოვნებით ჩაცმულ-დახურული, დაბანილ-გაპარსული ინტელიგენტი, მოასწრო, მიეღო საკმაო განათლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც ისე მაღალი შთამომავლობითი თუ ეკონომიკური მდგომარეობის კაცი იყო (მის ნათესავებიდან ისტორიას შემოუნახავს მისი ბიძის _ დედის მხრიდან, პავლე კალაიჯიშვილის, როგორც მწიგნობრის, მთხზველის და გამომცემლის სახელი).

მღეროდა თბილისის, პეტერბურგის და ლონდონის საოპერო თეატრების გუნდში, თარჯიმნობდა ინგლისის ჩაის სააქციო საზოგადოების გამგეობას შანხაიში და თარგმნიდა ინგლისურიდან ქართულად დიდაქტიკურ მასალებს. სიბერეში იგი დაუბრუნდა მშობლიურ ახალციხეს, მოეკიდა ცოლშვილს და აქვე განისვენა რაბათის სასაფლაოზე.

ახლა ჩემი და 74 წლის არის, დიაბეტმა თავისი გაიტანა და ძლივს დაბანცალებს, ჩამოდის ჩემთან. თავისი რძალი _ ნატო მას გაგიჟებით უყვარს (აბა, ვის არ უყვარს ნატო), მოადუღებენ ერთად თურქულ ყავას და მარო ჰყვება ამ მთის თუ იმ მთის ამბებს, მარო ბაბო ყველა ნათესავ-მეგობრის გულშემატკივარია.

ცგიერი და ვერაგი

იაპონია და პრუსია, თქვენ არ იფიქროთ აზია-ევროპის ეს დიდი სახელმწიფოები მყავდეს მხედველობაში, არა! მე მხოლოდ ორი ჩვეულებრივი მომაკვდავის შესახებ მოგახსენებთ.

იაპონია ვალელია (სოფელი ახალციხის რაიონში), პრუსია კი _ უდელი (ადიგენის რაიონი).

ამათგან რომელში მეტია ცბიერება და რომელში ვერაგი, ძალიან ძნელი გამოსაცნობია, რაღაც, უცნაურია, მაგრამ, ფაქტია, მაშინ არ იყო კინო (მით უფრო ტელევიზია), არ იყო რადიო, არც გაზეთები გამოდიოდა დიდი ტირაჟით, მაგრამ იმდენს სწერდნენ მაშინ პრუსიის აგრესიულობაზე და იაპონიის ვერაგობაზე, რომ ჩვენში ხალხმა (უდის და ვალის გლეხობამ) მათი მსგავსნი თავისავე წრეში გამონახეს და ეს დამახასიათებელი ზედმეტი სახელი დამსახურებისამებრ შეარქვა თანასოფლელებს.

მე ისინი ორივე მახსოვს, ორივეს წითური წვერ-ულვაში ჰქონდა. იაპონია უსწავლელი კაცი იყო, ხელისუფლებასთან შერიგებამდე, ტყეს შეფარებული, შარაგზის ყაჩაღი და მკვლელი, პრუსია კი სულ სხვა იყო _ ფეტრია შლიაპა, ხავერდის ჟილეტი, გრძელი ფრჩხილები, ვაქსით გაპრიალებული ჩექმები ეცვა ამ ნახევრად გლეხს თუ ნახევრად ინტელიგენტს, კონსტანტინეპოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტერთან არსებული სასწავლებლის კურსდამთავრებული, რექტორ პატრი იოსების და აბისინიის მეფის კარის ექიმ-ფარმაცევტის დოქტორ მერაბის (პეტრეს) ძმა, თანასოფლელების მიერ პრუსიად წოდებული ამავე სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლობას არ გასცდენია.



ახალციხის ძველი უბანი

თუ დავუჯერებთ მისივე თანაკლასელის, სემინარიელი სიმონის თხრობას, მის წახდენაში სწორედ ამ პრუსიას მიუძღვის დიდი ბრალი.

ასეა, ერთი ჰკლავდა დანით და ტყვიით, მეორე _ ენით და კალმით, მაგრამ ხალხის რისხვას ვერც ერთი გადაუჩა _ იაპონია და პრუსია. ასეთია ხალხის მიერ მათთვის გამოტანილი განაჩენი.

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი„

გურამიშვილი

მამამ ყველაფერი ერთად დაკარგა, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა.

ეს მოხდა 1919 წელს. მას 45 წლის ასაკში, მაშინ შვიდი შვილი ჰყავდა და დედაჩვენი მე-8-ზე იყო ფეხმძიმედ.

მას შემდეგ 62 წელი გავიდა, ჩვენ ახლა 8 და-ძმა ვართ. ესაა აღარ გვყავს დედ-მამა, მამა 107 წლის არის, დედა 104-ის, წყვილად განისვენებენ ურთიერთ გვერდით, თითქოს ეს მშრალი მიწა საქორწინო სარეცელი იყოს მათთვის.

ეს ამბავი ასე მოხდა:

ფრონტის ხაზის გადაადგილებამ, უდესა და ვალეს მოსახლეობას, მოულოდნელად მოუსწრო, ვერ მოახერხეს რამდენადმე მაინც გადაერჩინათ პროდუქტი თუ ბარგი, ხელცარიელებმა თავი შეაფარეს თავის ნაცნობ მეგობრებს _ ვინ კახეთს, ვინ ქარელს, ჩვენ კი _ ვალედან და ჩვენი მამა-ბიძები _ უდედან ახალციხეში გავჩერდით.

რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ შეიცვალა სიტუაცია ფრონტზე და დაბრუნდა სერგო თავისი ოჯახით ვალეში, თომა და პეტრე ასევე თავისი ოჯახებით _ უდეში.

უდეში თომა და პეტრე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, რადგან გიქრო პაპას სახლი თათრებს გაძარცვის შემდეგ დაეწვათ, სერგო ვალეში ადრეც ნაქირავებ სახლში ცხოვრობდა და ევაკუაციიდან დაბრუნებული, ისევ იმ სახლში მოთავსდა, იმ განსხვავებით, რომ მძარცველებს პირწმინდად წაეღოთ ყველაფერი და ქვეშაგების გარეშე იატაკზე მოგვიწია დაძინებამ _ რა თქმა უნდა, უვახშმოდ.

ახლა შებრუნდა მდგომარეობა, ქართველმა მოსახლეობამ რევანში აიღო გაძარცვისთვის, ბევრმა შესძლო ცოტა რამის დაბრუნება, ჩვენ კი უიმედობის წყვდიადმა გვშთანთქა, მორალურად აძლევდა მამაჩემს უფლებას მაროდიორობისას? ამ გზით, ცოტა რამ მაინც აუნაზღაურებია დაკარგულიდან,

რაც შეეხება ანაბრებს, იგი ინფლაციამ მოინელა.

ყოველი ომის თანამგზავრია ათასგვარი ავადმყოფობა. არც ეს ყოფილა გამონაკლისი _ ტიფი, ანთება, ათასი უსაშველო მძვინვარებდა სოფელში და განა მარტო ჩვენს სოფელში? სამედიცინო პერსონალის და მედიკამენტების სიმცირე კიდევ უფრო ეფექტურს ხდიდა ეპიდემიის ძლევამოსილებას.

მამა ნაკითხი ადამიანი იყო, არც მედიცინა და ფარმაცევტია იყო მისთვის უცხო, თვით ავადმყოფის და მახლობლების მონაყოლით ეცნობოდა დაავადებულის ისტორიას და შეუცდომლად სვამდა დიაგნოზს, მერე მკაცრად მოითხოვდა დაავადებულის მხრიდან თერაპიის ყველა აუცილებელი პირობის შესრულებას. ფეხით ან ცხენით ჩადიოდა ახალციხეში მის უახლოეს მეგობარ ქრისტესია გვარამაძესთან _ მეაფთიაქესთან და ამოჰქონდა წამლები, საზღვრავდა წამლის დოზას თუ ხმარების წესს და, საჭიროების შემთხვევაში, მთელ დღე-ღამეს არ სცილდებოდა გადამდები სენით დაავადებულს ეს წვრიშვილის პატრონი კაცი.

ზრუნვას და მკურნალობას თავისი გაჰქონდა, იშვიათი იყო კატასტროფა.

მადლიერი მრევლი, შრომას მადლობით უხდიდა, მის გამოჩენაზე მოხუცებიც კი ქუდს იხდიდნენ, მსხდომნი ფეხზე წამოდგებოდნენ, შრომა-ჯაფაში შველოდნენ და ლხინში თუ ჭირის სუფრაზე ტახტის თავში სვამდნენ.

წამალს თავის ფულით ყიდულობდა, პაციენტს კი უფასოდ აძლევდა, ღირებულებას ყველა იხდიდა _ ვინ სიტყვით, ვინ საქმით, ვისაც რისი შეძლება ჰქონდა.

განსაკუთრებულ უნარს ავლენდა მამა კანის დაავადების მკურნალობაში, საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი სახელი გასცდა ჩვენი მაზრის საზღვრებს, ჩვენი სახლის წინ, ხეზე ყოველთვის იყო გამობმული 2-3 ცხენი, ეს შორით მოსული პაციენტების ტრანსპორტი იყო. მოდიოდნენ აჭარიდან, ჯავახეთიდან, ართვინის თუ არტაანის ოლქიდან, ქირაობდნენ ჩვენს მეზობლებში ბინას და მოთმინებით ელოდნენ განკურნებას. და, მართლაც, ჰკურნავდა მამა. ციების წამალი იყო ქინაქინა, ტიფის _ დიეტა და ყინვის ბუშტი თავზე, ანთების _ კომპრესი და კოტოშები, ჭრილობის _ იოდისა და ბრომის ხსნარი, ეგზემის _ ლიაპისზე დაყენებული თაფლის სანთლის ბალზამი, ხველების _ დათვისყურას გამონახარში, ჭლექის _ ნოყიერი, გაძლიერებული კვება და მზიანი ჟანგბადით მდიდარი ჰავა, იზოლაცია, კანის დამწვრობის _ კანის შემცვლელში შეფუთვა. ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ავადმყოფობის ყოველ შემთხვევაში მისგან ერთი და იგივე რჩევა იყო _ მიმართეთ კვალიფიციურ ექიმს.

მახსოვს, მამას გავყავდით ოჯახის ყველა წევრი მინდორსა და ტყეში, ვკრეფდით, ვრეცხავდით, ვაშრობდით მცენარეულს და კენკრას.

ჩვენს სახლში ყოველთვის იყო საკმაოდ დიდი მარაგი ასკილის, მშრალი თუ დაშაქრული ვარდი, ასკილის მწიფე წითელი გამშრალი ნაყოფი, მოცვის გამშრალი ნაყოფი, ჟოლოს მურაბა თუ მშრალი, ქონდრის თუ პიტნის ნაყენი, ან, უბრალოდ, მწვანედ, ჩრდილში გამშრალი კონა. მამა წამლად თვლიდა გოგრის თესლს, თვით გოგრას, საზამთროს, ყურძენს, ყველა სახის კენკრას, ხილს, განსაკუთრებით თხილს, კაკალს, სტაფილოს, ნიორს, კომბოსტოს, ხახვს, სასტიკი მტერი იყო ნიკოტინის, ალკოჰოლის, ნაყროვნების დახშულ ოთახში ჯდომას, უყვარდა ყოფნა ღია ცის ქვეშ ზაფხულსა თუ ზამთარში, დღისით თუ ღამით, ძილის წინ აუცილებლად ორ საათს დაჰყოფდა სუფთა ჰაერზე ზამთრის ყინვიან ღამესაც კი. წყალში აბაზანების მიღება და ცურვა მისი სტიქია იყო, შეარჩევდა მყუდრო ადგილს და საათობით ჭყუმპულაობდა სამოც წელს მიღწეული კაცი.

ჩვენ, მის შვილებს (და მგონია არც არავის) არ გვინახავს იგი ნასვამი, ან თუთუნის _ თამბაქოს მწეველი.

თვით უდიდესი ეკონომიკური გაჭირვების დროსაც კი ოჯახში დამკვიდრებული ჰქონდა სიმღერა-გალობის ტრადიციები, საღამოს, როცა ოჯახის ყველა წევრი თავს მოვიყრიდით, ჩამოვსხდებოდით დიდი მაგიდის ირგვლივ და იწყებოდა ხმაშეწყობილი სიმღერა, როგორც წესი, სიმღერას დები წამოიწყებდნენ, მამა ბანს ეუბნებოდა, მშვენიერი ხმა ჰქონდა, იყო ტენორი, ოჯახში კი ბანს ამბობდა.

რეპერტუარში ერთნაირად შედიოდა საერო და საეკლესიო საგალობლები, მღეროდა „მარსელიოზას„, „ძველ ადათ-წესებს„ და სხვ.

დიდი მოწონება ჰქონდა აკაკის ლექსებზე, ან საიათნოვას ქმნილებებზე მღერას. ერთნაირად ვმღეროდით ქართულ თუ რუსულ (ალბათ გიმნაზიიდან ახსოვდა), სომხურ თუ თათრულ სიმღერებს, არიებს თუ გუნდურს ოპერებიდან.

რით ვცხოვრობდით? რით ვიკვებებოდით? მამა ამ საკითხში მისდევდა პრინციპს _ „ნუ ზრუნავთ იმაზე, თუ რა სვათ და რა ჭამოთ, შეხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ, არცა სთესენ და არცა მკიან, მამა ზეცათა კი გამოზრდის მათ„.

ზემოთ ვთქვი, რომ მამა უფასოდ მკურნალობდა. წამალს, რომელშიც ფული ჰქონდა გადახდილი, პაციენტს უფასოდ აძლევდა, მაშ რით ცხოვრობდა ამდენი წვრიშვილის პატრონი, სანამ 1922 წლის მიწის რეფორმის შედეგად მამაპაპური მამულიდან ორიოდე ჰექტარ მიწას მიიღებდა? პასუხი ერთია _ მადლიერი მრევლი მას მატერიალურად უზრუნველყოფდა.

ევაკუაციიდან დაბრუნებულმა გლეხობამ, მიწიდან ამოთხარა გადამალული ხორბალი და სხვა სურსათი, მორეკა გადამალული, ან მიბარებული ნახირი და თანდათან გამართა ცხოვრება, მის კეთილისმყოფელს სოფელი მშიერს არ სტოვებდა და არა მარტო სოფელი.

ერთხელ, ერთმა აჭარელმა, ჩემი ტოლი ბიჭი ჩვენს კარზე ცხენიდან ჩამოსვა და მამას შველა სთხოვა. ბავშვი თმიდან ფეხის ფრჩხილებამდე ჩირქიანი წყლულით იყო დაფარული. უმწვავეს ეგზემას სიკვდილის პირას მიეყვანა საწყალი. კი არ ტიროდა, კნაოდა, კანის ქავილს, დაკაწრულის წვას, უძილობას და უმადობას თავისი გაეტანა.

მამამ, როგორც ყოველთვის, კვალიფიციური ექიმის მისამართი და რჩევა მისცა, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, აზიზის მამამ ყველა გამოჩენილი ექიმის სახელი ჩამოთვალა, რომელნიც აზიზს თვეობით ბათუმსა თუ თბილისში უშედეგოდ მკურნალობდნენ.

_ თქვენ უკანასკნელი იმედი ხართ და, _ ვაჟიკაცი მუხლებზე დავარდა.

მამამ აზიზი ჩვენი თანდასწრებით გააშიშვლა, სახვევი თუ ტანსაცმელი მაკრატლით შეჭრა, კარბოლის მჟავის 2%-იანი ხსნარით დაალბო, პინცეტით ააცალა საფენსახვევის, პერანგის თუ შარვლის ნარჩენები. ამასთან, მუდმივად აწვეთებდა მიმხმარ ადგილებზე თბილ ხსნარს და ასე დინჯად და მოთმინებით ააცალა სახვევი და კანის თუ ხორცის უკვე მკვდარი ნაწილები.

მარლის დიდ საფენზე წააცხო ლიაპისის სანთელზე (და სხვა ნაზავზე) დაყენებული მალამო, დააფინა წყლულოვან სხეულზე, შეფუთა გოგროსკოპიული ბამბით, დაბინტა, ჩააგო ლეიბი ჰამაკში და ჩააწვინა.

გამოჰკითხა ავადმყოფის მამას, თუ რითი ჰკვებავდა ბავშვს და დიამეტრიულად შეუცვალა საკვები.

სახვევები 24 საათის შემდეგ მოხსნა იმავე წესით, როგორც გუშინ, კვლავ შეახვია და ასე ორი თვის განმავლობაში მკურნალობდა.

დადგა განშორების დღე, კვლავ დავარდა მუხლებზე ვაჟკაცი კაცი და მუსლიმანმა მღვდლის ხელებს ცრემლები დაადინა, დაუკოცნა ხელის თითები.

გამგზავრებიდან ათი დღის თავზე კვლავ გამოცხადდა აზიზის მამა, ერთი წლის სამყოფი ერბო და ყველი მიართვა მამას, იქვე მიგვიბა ხეზე ნასუქი ძროხა, ის იყო და ქირვა გახდა ჩვენი.

რამდენიმე შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო

ალექსანდრე ბელეცკი

აკადემიკოსი

წინათქმა

ქვემოთ მოყვანილი წერილი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც მოწმობს რუსი მეცნიერების ბრძოლას ჭეშმარიტებისათვის ეკლესიის ხრუშოვის-დროინდელი დევნულების დროს. ალექსანდრე ივანეს ძე ბელეცკი (1984-1961) უძველესი ენებისა და კულტურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიაში. იგი არის ავტორი შესანიშნავი წერილისა: „ზოგიერთი შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო“, რომელსაც აქ გთავაზობთ:

„უკრაინის კომპარტიის ცკ-ის დავალებით მე განვიხილე ანტირელიგიური პროპაგანდის შემცველი წიგნები, ბროშურები და წერილები, სულ 18 წიგნი, 41 ბროშურა და 62 საგაზეთო წერილი. ამასთან, მე დაჟინებით მომთხოვეს მთელი სიცხადითა და გადაჭრით გამომეთქვა ჩემი აზრი ჩვენი ანტირელიგიური ლიტერატურის შესახებ. უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანტირელიგიური შრომის ყურადღებით გაცნობამ შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა:

1. ეს ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გვაოცებს თავისი დაუჯერებელი ჩამორჩენილობით. აქ შეიძლება შეხვდეთ ბევრ ისეთ დებულებას, რომელიც 100-150 წლის წინათ გამოითქვა მეცნიერებაში და მას შემდეგ უკვე დიდი ხანია უარყოფილია.

2. ბევრ შემთხვევაში, საქმე გაცილებით უარესადაა, რადგან ვხვდებით ფაქტების უამრავ, ძალზე უხეშ დამახინჯებას და სრულიად აშკარა გამონაგონს.

3. ბევრი ანტირელიგიური ნაშრომის ავტორი თავზარდამცემ უმეცრებას ამჟღავნებს, ხშირად ყველაზე ელემენტარულ საკითხებშიც კი! ეს, კერძოდ, იმით აიხსნება, რომ ანტირელიგიურ თემაზე მომუშავე აურაცხელ ადამიანთა შორის ერთიც კი არ არის, არა თუ გამოჩენილი, უბრალოდ, რიგითი მეცნიერიც კი!

როგორც ვთქვი, მე დავამუშავე ათეისტური პროპაგანდის შემცველი 120-ზე მეტი წიგნი და წერილი. მიუხედავად ლიტერატურის ასეთი სიმრავლისა, მის მიმართ წარმოშობილი შენიშვნები შეიძლება გაუჭიანურებლად დავიყვანოთ რამდენიმე პუნქტამდე, რადგან ამ ბროშურებისა და წერილების უდიდესი უმრავლესობა კეთილსინდისიერად იმეორებს ერთმანეთს...

თავს ნებას მივცემ ჩემი ძირითადი შენიშვნები შემდეგი სახით დავაჯგუფო:

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისათვის

ეს მთელი რელიგიის, მთელი ფილოსოფიის, ყველა იმ მეცნიერების ძირითადი საკითხია, რომლებიც კაცობრივ მსოფლმხედველობებს შეეხება, რამეთუ, მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. მაშასადამე, საკითხი მკვდრეთით აღდგომის შესახებ, არის საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ღმერთი. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ანტირელიგიური ლიტერატურის თითქმის ყველა ნაწარმოები ეფუძნება საკითხს მკვდრეთით აღდგომის შესახებ და ყველა ისინი, როგორც ვიცით, ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემენ. ისინი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შემდეგ (მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი), ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ფაქტი თავისი სიცოცხლის ბოლოს თვით **ფრიდრიხ ენგელსმაც** კი აღიარა. კერძოდ, თავისი თხზულებების ხელახალი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: **„უახლესი კაბადოკიური აღმოჩენები გვაიძულებენ შევიცვალოთ შეხედულება მსოფლიო ისტორიის ზოგიერთ მცირერიცხოვან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, და იმან, რასაც ადრე მხოლოდ მითოლოგების ყურადღების ღირსად გვეჩვენებოდა, ამიერიდან ისტორიკოსების ყურადღება უნდა მიიპყროს. ახალი დოკუმენტები, რომლებიც იმორჩილებენ სკეპტიკოსებს თავიანთი დამაჯერებლობით, ღაღადებენ ისტორიის სასწაულთაგან უდიდესი სასწაულის სასარგებლოდ: სიცოცხლედ მობრუნების შესახებ იმისა, ვისაც ის გოლგოთაზე წაართვეს.“**

ენგელსის ეს სიტყვები უცნობი რჩებოდა ჩვენში იმიტომ, რომ ისინი არასოდეს არ უთარგმნიათ რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის გამოცემებში. კაპადოკიურ აღმოჩენებს, რომლებმაც თვით ენგელსი დაარწმუნეს, მოჰყვა მთელი რიგი სხვა აღმოჩენები, ამასთან მათზე არა ნაკლებ, არამედ უფრო მეტად მნიშვნელოვანი. ამაზეც ქვემოთ ვიტყვი. ახლა კი მივუბრუნდეთ საბჭოთა ათეისტურ ლიტერატურას. რელიგიის მოწინააღმდეგეთა, კერძოდ, მკვდრეთით აღდგომის უარმყოფელთა საფუძველთ-საფუძველი, არის, როგორც ისინი გვარწმუნებენ, სიცრუე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

მაშ, როგორია საქმის გარემოება სინამდვილეში? ნამდვილად ასეა – არ არსებობს ასეთი მოწმობები? ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამომსვლელი ავტორი, ვინმე **დულუმანი**, აცხადებს: **„იმ დროს, როცა საეკლესიო სწავლებით, დედამიწაზე ქრისტეს უნდა ეარსება, ბევრი მეცნიერი და მწერალი ცხოვრობდა: იოსებ ფლავიოსი, ოსტინე ტიბერიადელი, პლექსიტუსი, სენეკა და სხვები, მაგრამ არც ერთ მათგანს სიტყვაც არა აქვს ნათქვამი ქრისტეზე“.**

მე ეს ციტატა იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ ამ დულუმანს აღნიშნული საკითხის ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევრად ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ ზუსტად იგივეს იმეორებს ჩვენი ყველა ათეისტი. თუმცა, ზოგან მცირედი ვარიაციებიც გვხვდება: მაგალითად, დულუმანის მიერ ჩამოთვლილ მწერლებს ზოგნი უმატებენ კიდევ **ლიბერიუს სუმიუს, ტაციტუსს** და **ბალანდიუსს**. ამით ამოიწურება ძველი დროის მწერალთა ჩამონათვალი, რომლებიც, ჩვენი ათეისტების მტკიცებით, იმ პერიოდში ცხოვრობდნენ და არაფერი დაუწერიათ ქრისტეს შესახებ. ასეა კი ეს?

აქ ჭეშმარიტებას მხოლოდ ერთი რამ შეესიტყვება. ქრისტეზე მართლაც არ წერდნენ არც **ოსტინე ტიბერიადელი**, არც **ლიბერუს სემიუსი** და არც **ბალანდიუსი**, მაგრამ არ წერდნენ იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ეს „ძველი დროის მწერლები“ (როგორც მათ ანტირელიგიური ლიტერატურა უწოდებს) ბუნებაში არასდროს არ არსებულან! არანაირი **ლიბერიუს სემიუსი** არ არსებულა არც ძველ დროში და არც გვიანდელ პერიოდში. არსებობდა **ლავრენტიუს სურიუსი**, მაგრამ ის ქრისტეს დროს კი არ ცხოვრობდა, არამედ ზუსტად ათი საუკუნის შემდეგ. კიდევ უფრო დიდი გაუგებრობაა „ძველი დროის მწერალ“ **ბალანდიოსთან** დაკავშირებით: არც იგი არსებულა როდისმე, არამედ იყო მონაზონი **ბოლანი**, მაგრამ ის 1500 წლით გვიან ცხოვრობდა ქრისტეს შემდგომ, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თავისი თანადროული მოვლენების აღწერისას, შეიძლებოდა არ შეხებოდა საკუთრივ აღდგომას ქრისტესი. ამგვარადვე მოგონილია **ოსტინ ტიბერიადელი**. ლიტერატურაში ცნობილია **ოსია მტკიცე**, რომელიც პალესტინის მოვლენების დროს ცხოვრობდა, მაგრამ იგი მწერალი კი არა, ლიტერატურული პერსონაჟია – ძველი ბიზანტიური თქმულების გმირი!

ამრიგად, ეს „ძველი დროის მწერლები“ ანგარიშში ჩასათვლელნი არ არიან. მაგრამ მათ გარდა ჩვენი ათეისტები ახსენებენ კიდევ **იოსებ ფლავიოსს, პლინიუს უფროსს, ტაციტუსს**. მათაც, როგორც ათეისტები ამბობენ, არანაირი მოწმობა არ დაუტოვებიათ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

დავიწყოთ იოსებ ფლავიოსით. როგორც ცნობილია, იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ისტორიული მოწმეა. კარლ მარქსმა თქვა: „უტყუარი ისტორია შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა იოსებ ფლავიოსის ნაწარმოებები და მათი ტოლფასნი“. გარდა ამისა, ფლავიოსი თავის ცხოვრების დროით ასევე შეიძლებოდა სახარებაში აღწერილი მოვლენების კურსში ყოფილიყო. და ბოლოს, ფლავიოსი არ იყო იესო ქრისტეს მიმდევარი, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი მისგან რაიმე ისეთ გაზვიადებას ველოდოთ, რაც ქრისტიანებისთვის იქნება სასარგებლო. მაშ, მართლაც არაფერს ამბობს ფლავიოსი იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ?

ვინც ამას აცხადებს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თუნდაც, ცალი თვალით ჩაიხედოს მისი თხზულებების ფრაგმენტების კრებულში, რომელიც სულ რაღაც სამი წლის წინ გამოვიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საბჭოურ გამოცემაში. იქ შავით თეთრზე წერია:

„ამ დროს აღმატებული იყო იესო ქრისტე, მაღალი სიბრძნის კაცი, თუკი შეიძლება მას ადამიანი ვუწოდოთ, სასწაულებრივ საქმეთა აღმსრულებელი. როცა ჩვენში უპირატესთა დასმენით პილატემ ჯვარს აცვა იგი, ისინიც დაბრკოლდნენ, რომელთაც პირველად შეიყვარეს იგი. მესამე დღეს იგი კვლავ გამოეცხადა მათ ცოცხალი“.

მაშ, როგორ შევუთავსოთ ამას ის განცხადებანი და მტკიცებანი, რომ იოსებ ფლავიოსი, თითქოსდა, სრულიად არ ახსენებს ქრისტეს? გავაკეთოთ მცირე ექსკურსი: ასი წლის წინათ ფლავიოსის ეს მოწმობა ეჭვქვეშ დააყენეს. საქმე შემდეგში იყო: თავიდან ცნობილი იყო ფლავიოსის ხელნაწერის მხოლოდ ორი ვარიანტი. ერთში ეს სიტყვები – **„მესამე დღეს იგი გამოეცხადა მათ ცოცხალი“** – იყო, მეორეში კი – არა. ამის საფუძველზე **ბაუერმა**, შემდეგ კი მისმა მიმდევრებმა, გადაწყვიტეს, რომ პირველ ვარიანტში ეს სიტყვები, ალბათ, უბრალოდ, მოგვიანებით იქნა ჩამატებული ქრისტიანთა მიერ. ასე წარმოიშვა ლეგენდა ინტერპოლაციის შესახებ **იოსებ ფლავიოსთან**. მაგრამ, მოგვიანებით ნაპოვნი იქნა კიდევ სამი ვარიანტი, და ამ გვიანდელმა აღმოჩენებმა სრულიად სხვა დასკვნამდე მიგვიყვანეს: განსხვავება პირველსა და მეორე ვარიანტებს შორის აიხსნება არა გვიანდელი ჩანამატით, მინაწერით პირველ ვარიანტში, არამედ გვერდების ნაწილის დაკარგვით მეორე ვარიანტში, რომელშიც არ აღმოჩნდა მთელი ორი თავი, რაც ცხადი გახდა მოგვიანებით ნაპოვნი სამი ვარიანტიდან: მათში ფლავიოსის სტრიქონები იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ სამივეშია. ამის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. მსოფლიო დონის მეცნიერმა ველზაიზენმა, ასევე უდიდეს ფილოლოგ **დე სესსონისთან** ერთად, კიდევ ერთი უდავო მტკიცებულება წარმოადგინა იმისა, რომ ფლავიოსის აღნიშნული სტრიქონები დაწერილია თავად ავტორის მიერ და სულაც არ არის ქრისტიანთაგან გაკეთებული შემდგომდროინდელი ჩანამატი. საქმე იმაშია, რომ იოსებ ფლავიოსი ძალზე თავისებური ენით წერდა, ყველა იმ განსაკუთრებული განმასხვავებელი, დამახასიათებელი ნიშნების დაცვით, რომელთა გაყალბებაც შეუძლებელია. მაგრამ, რა თქმა უნდა, საბოლოო დარტყმა ამ ეჭვებს მის ხელნაწერის ნამდვილობაში მიაყენა მისი ნაწარმოებების სწორედ ხსენებული სამი ვარიანტის აღმოჩენამ. ამგვარად, გაირკვა, რომ ყველა ისინი შეიცავენ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ მტკიცებულებას; რომ ყველა ისინი დაწერილია თავად იოსებ ფლავიოსის ხელით და რომ პირველი ნაპოვნი ვარიანტი, რომელიც ასევე მოწმობდა ამას, იყო უძველესი მათ შორის.

ამჟამად აღარავინ იმეორებს გამონაგონს ჩანამატების შესახებ ფლავიოსთან. ასე, რომ ვინც განაგრძობს ამის გაკეთებას, წარმოაჩენს, რომ მთელი ოთხმოცდაათი წლით ჩამორჩენილა დროს!

ბერძენი გარმიზიოსი

ბერძენ გარმიზიოსს იუდეის მემატიანის ოფიციალური თანამდებობა ეკავა პონტოელი პილატეს დროს. მისი ცნობები ორი მიზეზის გამო იმსახურებენ ყურადღებას:

1. ისინი შეიცავენ ცნობებს იუდეის ისტორიის შესახებ;

2. გარმიზიოსი მკვეთრად გამოირჩევა თავისი გადმოცემის მანერით. „თითქოსდა, ამ ადამიანს არა აქვს უნარი დაჰყვეს რაღაც შთაბეჭდილებებს, გაოცებას, გატაცებას; იგი ყველაფერს ფოტოგრაფიული სიზუსტით მოგვითხრობს“, – ასე ახასიათებს მას ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ს. ა. ჟებელევი (1867-1941). გარმიზიოსის მოწმობები იმითაცაა ღირებული, რომ იესო ქრისტეს აღდგომის დროს იგი იმ ადგილთან ახლოს იმყოფებოდა, თან ახლდა რა პილატეს ერთ-ერთ თანაშემწეს. გარდა ამისა, გარმიზიოსი ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და, როგორც თვითონ ამბობს, არწმუნებდა პილატეს ცოლს, რომ არ შეეკავებინა ქმარი იესო ქრისტესათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანისაგან. თვით ჯვარცმამდე გარმიზიოსი მას მატყუარად თვლიდა. ამიტომ, შაბათ ღამით, კვირის დადგომისას, საკუთარი ინიციატივით გაემართა უფლის საფლავისკენ, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ მისი ჩვენებები ცრუ იყო, რომ მომკვდარი არასდროს არ აღდგება მკვდრეთით. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად გამოვიდა.

გარმიზიოსი წერს: **„მივუახლოვდით რა საფლავს ასორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, ჩვენ გარიჟრაჟის სუსტ ნათელში დავინახეთ საფლავთან მყოფი მცველები: ორი კაცი იჯდა, დანარჩენები კი მიწაზე იწვნენ. დიდი სიჩუმე იდგა, ჩვენ ნელა მივდიოდით და მალე, საფლავისკენ მიმავალმა მცველებმა, გადაგვისწრეს, რომელთაც უნდა შეეცვალათ იქ მყოფნი. ანაზდად ძალზე განათდა, (...) ჩვენ არ შეგვეძლო გაგება, თუ საიდან იყო ეს ნათელი; შორს დავინახეთ, რომ იგი მომდინარეობდა მოძრავი მბრწყინავი ღრუბლისაგან. იგი საფლავისკენ დაეშვა და ჰაერში, მიწის ზემოთ ადამიანი გამოჩნდა, თითქოსდა მთლიანად სინათლისაგან შემდგარი. შემდეგ ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა, ოღონდ ცაში კი არა, არამედ მიწაზე. შეშინებული მცველები ზე წამოცვივდნენ და მაშინვე მიწაზე დაემხვნენ. ამ დროს საფლავისკენ, ჩვენგან მარჯვნივ, ბილიკზე, ქალი მიდიოდა, რომელმაც უცებ ყვირილი დაიწყო: „გაიხსნა! გაიხსნა!“ და ახლა უკვე ჩვენც დავინახეთ, რომ, მართლაც, მღვიმის შესასვლელზე აფარებული ვეება ლოდი, თითქოსდა, თავისით გადაიხარა და საფლავის მღვიმეში შესასვლელი გახსნა. ჩვენ ძალზე შეგვეშინდა, მერმე, გარკვეული ხნის შემდეგ, სინათლე საფლავის თავზე გაქრა და ყველაფერი ისეთივე გახდა, როგორიც ჩვეულებრივ იყო. როცა ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ აკლდამას (საფლავს) მივუახლოვ-**

გაგრძელება მე-7 გვ.

რამდენიმე შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო

◀ დასაწყისი გვ. 5

დით, აღმოჩნდა, რომ მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული“.

გარმიზიოსის ჩვენებები კიდევ ერთის მხრივ არის საინტერესო: იგი წერს, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯამდე, მცირე ხნით ადრე, იუდეაში მოჭრეს მონეტა ერთ მხარეზე კეისრის (ტიბერიოსის) დიდი გამოსახულებით და მეორე მხარეზე – პილატეს მცირე გამოსახულებით.

იესო ქრისტეს გასამართლების დღეს, როცა პილატეს ცოლმა მსახურნი გაგზავნა ქმართან, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი, რომელთა მეშვეობით არწმუნებდა მას, არ გამოეტანა ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი, თავის ბოლო წერილში კი იგი ეკითხება ქმარს:

„რით გამოისყიდი დანაშაულს, თუკი შენს მიერ განსჯილი მართლაც ღმერთის ძეა და არა ბოროტმოქმედი„?

პილატემ ასე უპასუხა: **„თუ ის ღმერთის ძეა, მართლაც აღდგება მკვდრეთით, და მაშინ მე ავკრძალავ ჩემი გამოსახულების გაკეთებას მონეტებზე“.**

უნდა აღინიშნოს, რომ მონეტაზე გამოსახულების გაკეთება უდიდესი პატივი იყო ზედ გამოსახულისთვის. და თავისი დაპირება პილატემ შეასრულა! – მან აკრძალა თავისი გამოსახულების აღბეჭდვა იუდეაში მოჭრილ მონეტებზე! გარმიზიოსის ეს ცნობა დასტურდება იმ დროის ნივთიერი მტკიცებულებებით: რომაულ ნუმიზმატიკაში ცნობილია, რომ იერუსალიმში იმ დროს მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ კეისრის გამოსახულებით.



ეიშუ სირიელის მონმობა

სირიელი **ეიშუ,** ცნობილი მკურნალი, პილატესთან დაახლოებული, ვისაც მკურნალობდა კიდეც, იმ დროის გამოჩენილი მედიკოსი იყო – ნატურალისტი, სახელგანთქმული აღმოსავლეთშიც და რომშიც. მან დატოვა ნაწარმოები, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მეცნიერებაში. ტყუილად როდი თვლიან მსოფლიოს ისტორიკოსები და მეცნიერები, მათ შორის ამერიკელი მკვლევრები, მაგალითად, **კიგერისტი**, რომ ეიშუ, როგორც ექიმი, შეგვიძლია დავაყენოთ ერთ რიგში **ჰიპოკრატესთან, ცელსუსთან, გალენთან,** ხოლო, როგორც ანატომი **– ლეონარდო და ვინჩისთან და ვეზალთან**. მხოლოდ მისმა ნაკლებ ცნობილმა ენამ ხელი შეუშალა მას, რომ სიცოცხლეშივე ყოფილიყო აღიარებული. პილატეს დავალებით, შაბათ დღეს, მან ორჯერ დაათვალიერა უფლის საფლავი და ისურვა თავის თანაშემწეებთან, ასევე მედიკოსებთან ერთად, ღამეც იქ გაეტარებინა. ყველა ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ქრისტეს მოვლენით საბუნებისმეტყველო და მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, და ამიტომ ყველაფერს, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ცხოველი ძალით აკვირდებოდნენ, რადგან ბუნებაში მომხდარ და მიმდინარე მოვლენებს შეისწავლიდნენ.

„ჩვენ ყველანი, მკურნალნიც და საფლავის მცველებიც, – წერს ეიშუ **– ჯანმრთელნი, მხნენი ვიყავით, და არანაირი წინათგრძნობა არ გვქონდა. ამასთან, რა თქმა უნდა, სრულიად არ გვჯეროდა რომ მკვდარი ადამიანი შეიძლება აღდგეს. მაგრამ იგი მართლაც აღდგა და ჩვენ ეს საკუთარი თვალით ვიხილეთ“.** შემდეგ იგი ისევე აღწერს მოვლენას, როგორც სხვები. საერთოდ, ეიშუ სკეპტიკოსი იყო. თავის შრომებში იგი გამუდმებით იმეორებდა გამოთქმას, რომელიც შემდგომში, მისი წყალობით, მოარულ ანდაზად იქცა აღმოსავლეთში: **„რაც მე თავად არ მინახავს, იმას ზღაპრად ვთვლი“.**

ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ანტირელიგიურ მწერალთა მტკიცების საპირისპიროდ – რომ თითქოსდა არ არსებობს მონმობები იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, ასეთი მოწმობები ბევრია. ტყუილად როდი ამბობდა ანტიკურობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მკვლევარი, აკადემიკოსი **ვ. პ. ბუზესკული** (1858-1931): **„ქრისტეს აღდგომას ადასტურებენ ისტორიული და არქეოლოგიური აღმოჩენები ისეთივე უტყუარობით, როგორადაც დადასტურებულია იოანე მრისხანისა და პეტრე დიდის არსებობა“.**

ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს აღდგომის დამოწმებისათვის ჩვენ იმ დროის ებრაელ მწერლებთანაც ვპოულობთ მონაცემებს, თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ის ებრაელები, რომლებიც ქრისტიანები არ გახდნენ, უფრო მიაჩუმათებდნენ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ფაქტს, ვიდრე რამეს დაწერდნენ მასზე. მაგრამ იმ დროის დიდ ებრაელ ავტორებთან ჩვენ ვხვდებით ისეთებს, რომლებიც პირდაპირ წერდნენ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ფაქტზე. ესენი არიან ქრისტე გალილეველი, მესოპოტამიელი, შაბრუნი-მამა, ფერნანდო სარეპტიდან, ნავინ ანტიოქიელი, მაფერკანტ იერუსალიმელი.

ებრაელ მაფერკანტის მონმობა

მაფერკანტის სახელთან დაკავშირებულია ერთი ანეკდოტური ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ანტირელიგიურ ლიტერატურაში. მაფერკანტი სინედრიონის (ებრაელთა მთავრობის) ერთ-ერთი წევრი იყო და მონაწილეობდა იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში. სინედრიონში იგი ხაზინადარი იყო და სწორედ მისი ხელიდან მიიღო იუდამ ფული თავის გამცემლობისთვის. მაგრამ როცა იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ იუდეველთა შორის განგაში ატყდა, მაფერკანტი სინედრიონის წევრთაგან პირველი მივიდა მოვლენების ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და დარწმუნდა, რომ მკვდრეთით აღდგომა ნამდვილად მოხდა. იგი კიდევ იმიტომაც დარწმუნდა ამაში, რომ იესო ქრისტეს აღდგომამდე მცირე ხნით ადრე თავად მივიდა ამ მოვლენის ადგილზე და თვით აღდგომისას შორს არ იყო წასული. იგი საფლავზე მივიდა იქ დაყენებული მცველებისთვის გასამრჯელოს გადასახდელად, რადგან მცველები დაქირავებულნი იყვნენ და ანაზღაურებას იღებდნენ მუშაობის შემდეგ. თვით საფლავთან ყოფნისას მაფერკანტმა ნახა, რომ ქრისტეს საფლავი საიმედოდაა დაცული, მაგრამ როცა მცირედით მოშორდა მას, იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რადგან ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. იგი მოტრიალდა და დაინახა სინათლით გაბრწყინებული საფლავი, და ისიც, როგორ გაქრა ეს სინათლე. მაფერკანტი მაშინვე დაბრუნდა. ყოველივე ეს აღწერილია მის მიერ თხზულებაში: „პალესტინის მმართველთათვის“, რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ ღირებულ და უტყუარ წყაროდ პალესტინის ისტორიისთვის.

ძნელად ასახსნელი მიზეზით, მაფერკანტი შემდეგი სახით ფიგურირებს ემელიანე იაროსლავსკისთან („უღმერთოთა კავშირის“ მეთაურთან): **„ქრისტეს აღდგომის შესახებ დუმს სენსაციების ეგზომ მოყვარული მეხალტურე მაიფერკანტი, წოდებული მაიოროტად“**. საჭირო იყო ჭეშმარიტად უდიდესი გამომგონებლობა, ერთ მომცრო მოხსენიებაში ამდენი სასაცილო დამახინჯება დაგეშვა.

ჯერ ერთი, მაიფერკანტი, ნაცვლად მაფერკანტისა, რომელსაც იაროსლავსკი ახსენებს, მწერალი კი არა, ქალაქია სირიაში – მეორეც, არანაირი მაფერკანტი, წოდებული „მაიოროტად“, არასდროს არ არსებულა, არამედ იყო მარუტა მაფარატელი (იმ ქალაქის მიხედვით, სადაც ის ცხოვრობდა); სხვათა შორის, იგი ხუთასზე მეტი წლის შემდეგ ცხოვრობდა. და, მესამეც, ეს მარუტა სულაც არ იყო მეხალტურე, როგორადაც აკვალიფიცირებს მას იაროსლავსკი, არამედ არის თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მწერალი, რომელსაც უაღრესად აფასებდნენ გოეთე, ბაირონი, ჰიუგო და სხვანი. მისი თხზულება „სირიის მონისტო“ ევროპის უმრავლეს ენებზე ითარგმნა, ხოლო ამჟამად, რუსულ ენაზეც ითარგმნება (ინგლისურიდან) და გამოიცემა სახელმწიფო პოლიტგამომცემლობის მიერ. საბედნიეროდ, ამ გამომცემლობის მუშაკებს, ეტყობა, არ წაუკითხავთ იაროსლავსკი.

ამრიგად, ჩვენი ერის პირველ საუკუნეში მცხოვრები ებრაელი მაფერკანტი ჩვენს ანტირელიგიურთა მიერ იქცა თითქმის იმის ნახევარი ათასწლეულის შემდეგ მცხოვრებ სირიელად და ამასთან თავისი ყოველგვარი ბრალეულობის გარეშე გამოცხადებულ იქნა მეხალტურედ.

თანამედროვე მეცნიერთა შეხედულება

რომის ისტორიული ლიტერატურის უდიდესი მკვლევარის, აკადემიკოს ი. ვ. ნეტუშილის (1850-1928) გამოთვლით, მთლიანობაში, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ სავსებით საიმედო მტკიცებულების რაოდენობა 200-ს აღემატება. ჩვენი გამოთვლით ეს რიცხვი კიდევ უფრო დიდია: იგი ორასოცდაათს აღემატება, რადგან ნეტუშილის მონაცემებს უნდა დავუმატოთ ის ისტორიული ძეგლები, რომლებიც მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იქნა აღმოჩენილი.

ღრმად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის წარმომადგენლები განუხრელად არიდებენ თავს დისპუტებს სერიოზულ მეცნიერებთან იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ლენინგრადში „უღმერთოთა კავშირმა“ ვერ გაბედა დისპუტი აკადემიკოსებთან: **ტარლესთან, როსტოვცევთან, კარეევთან, უსპენსკისთან,** აკადემიის წევრ-კორესპონდეტებთან – **ეგოროვთან** და **გოტიესთან**, ხოლო ოდესაში – პროფესორ **პარხომენკოსთან**.

ჩემს ხსოვნას ერთი სურათი შემორჩა. 1920-იან წლებში, ხარკოვში ცხოვრობდა მთელს მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ჟანრის ლიტერატურის მცოდნე, ანტიკური ეპოქის სახელგანთქმული მკვლევარი, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების წევრი **ვ. პ. ბუზესკული**. მან თითქმის ოთხ საათიანი ლექცია წაიკითხა თემაზე „აღდგომის შესახებ“. ლექცია განკუთვნილ იყო მეცნიერთათვის, მაგრამ შესვლა თავისუფალი იყო და ლექციაზე „უღმრთოთა კავშირის“ ყველა წამყვანი წევრი გამოცხადდა. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბუზესკული დიდხანს სკეპტიკურად იყო განწყობილი სახარების მონათხრობისადმი. თავის ხსენებულ ლექციაში მან უმცირეს წვრილმანებამდე ჩამოთვალა ყველა საფუძველი დაეჭვებისთვის. უნდა გენახათ, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ამ მოსაზრებებმა იქ მყოფ უღმერთოებზე; იგრძნობოდა, რომ ისინი ერთიანად „მგზნებარებდნენ“ და „ბრძოლაში ჩასაბმელად ინევდნენ“. მაგრამ, თანდათან განიარაღებულნი, სულ ახალ-ახალი არგუმენტებით, აღდგომის სასარგებლოდ, ისინი სრულიად მიყუჩდნენ. ხოლო როცა ლექტორმა დაასრულა გამოსვლა, არც ერთი მათგანი არ გამოსულა სიტყვით. რა თქმა უნდა, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა – უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომლის შემდეგაც ყოველივე დანარჩენს რელიგიაში თითქოსდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, თუკი იესო ქრისტე მკვდრეთით აღდგა, ეს ნიშნავს, რომ იგი – ღმერთია! ამჟამად თითოეული, თუნდაც რამდენადმე მაინც გაცნობიერებული ისტორიკოსისთვის, ქრისტეს აღდგომის ფაქტი, უდავოა. არამხოლოდ დიდი, არამედ, უბრალოდ, კეთილსინდისიერი ისტორიკოსებიც კი, უკვე აღარ გამოხატავენ არანაირ ეჭვს ამის თაობაზე, თუმცა, ამ თემამ თავის დროზე დიდი რყევების გზა გამოიარა.

ეჭვები იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის თაობაზე, განქარდა, უმთავრესად, მნიშვნელოვან აღმოჩენათა შედეგად, რომლებიც ბევრი იყო. მათგან პირველნი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეს განეკუთვნება, უკანასკნელნი – უახლოეს პერიოდს. ორი უკანასკნელი აღმოჩენის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ შესახებ ჩვენი პრესაც კი იუწყებოდა, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი მათი შემადგენელი ნანილის თაობაზე. ეს ძველებრაული ტექსტები იყო, რომლებმაც მათ პირდაპირ შესძრეს მთელი მსოფლიო.

ათეისტების მეცნიერული უსაფუძვლობა

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ ათეისტებს შორის არ არის არათუ არც ერთი დიდი მკვლევარი, არამედ, თუნდაც, ერთი, საშუალო დონის, რიგითი მეცნიერი. მაშ, საკუთრივ ვინ არიან ჩვენი წამყვანი ანტირელიგიური „მოღვაწენი„?

#1 – გუბელმანი (ფსევდონიმი – ემელიანე იაროსლავსკი).

#2 – შნეიდერი (ფსევდონიმი – რუმიანცევი).

#3 – ფრიდმანი (ფსევდონიმი – კანდიდოვი).

#4 – ედელშტეინი (ფსევდონიმი – ზახაროვი).

#5 – ეპშტეინი (ფსევდონიმი – იაკოვლევი), რომელიც ანტირელიგიური ლიტერატურის განყოფილების გამგე იყო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოში.

#6 – რაკოვიჩი.

#7 – შახნოვიჩი.

#8 – სკვორცოვ-სტეპანოვი და ამ კავშირის სხვა აქტიური ხელმძღვანელები: **ლ. მიხნევიჩი, მ. ისკინსკი, ი. კოგანი, გ. ეილდერმანი, ფ.საიფი, ი. ა. რანოვიჩი, ი. განფი, მ. შეინმანი, მ. ალტშულერი, ვ. დორფმანი, ი. ვერმელი, კ. ბერკოვსკი, მ. პე-როიცი, ს. ვოლფზონი, დ. ზილბერბერგი, ი. გრინბერგი, ა. შლიტერი.**

რა შეიძლება მათზე ითქვას?

პირველ ადგილზე, ჩვეულებრივ, აყენებენ იაროსლავსკის. ავიღოთ მისი თხზულებების მეორე გამოცემის პირველი ტომი, რომელიც ანტირელიგიურ პროპაგანდას ეძღვნება. გამოვტოვოთ პირველი სამი გვერდი – ბიოგრაფიული მონაცემები, მეოთხეზე კი ნათქვამია, რომ იესო ქრისტე შეუძლებელია შობილიყო, რადგან სახარების მიხედვით იგი ჰეროდე მეფის დროს იშვა, ეს მეფე კი 50 წლით ადრე, მანამდე უკვე გარდაცვლილი იყო. იაროსლავსკის ერთმანეთში აერია სხვადასხვა ჰეროდეები: ამ სახელს სამი მეფე ატარებდა! მეხუთე გვერდზე ნათქვამია, რომ ბიბლია წარმოადგენს სხვადასხვა გამონაგონთა ნაზავს, შეკრებილს იმ დროის სხვადასხვა ხალხებისაგან. ამის დასამტკიცებლად იგი იმოწმებს ოდესღაც მოარულ, მაგრამ მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხნის წინ უარყოფილ თეზისს „ორი ბიბლიის“ შესახებ, რადგან ერთში წერია სახელი **ელოჰიმ** – იეღოვა, მეორეში კი – **იაჰვე**. იმან, ვინც პირველმა მიაქცია ყურადღება ამ განსხვავებას, მისი კონსტატირება ძველი ებრაული ტექსტის საფუძველზე კი არ გააკეთა, არამედ – მხოლოდ მისგან შესრულებულ თარგმანთა საფუძველზე. მაგრამ სხვა თარგმანში, რომლებიც შესრულებულია უკვე უშუალოდ ძველი ებრაული ტექსტიდან, ასეთი განსხვავება სრულიად არ არის. ძველ ებრაულ ტექსტში სახელები – **ელოჰიმ, იაჰვე, იეღოვა** ყველგან ენაცვლებიან ერთმანეთს, არეულად, და არა – გაყოფილად ბიბლიის სხვადასხვა ნაკვეთებში. ხოლო მთავარი ისაა, რომ ისინი სინონიმები არიან, ისეთივენი, როგორიც რუსულ ენაშია – «Бог», «Господь», «Боже» (ქართულში: „ღმერთი“, „უფალი, „ღვთაება“ – მთარგმნელი). და თუკი სახარების ერთ ადგილას „ღმერთია“ ნათქვამი, მეორეგან – „უფალი“, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წიგნს ორი ავტორი წერდა! ასეა ოთხივე სახარებაში.

გადავდივარ იაროსლავსკის მომდევნო გვერდზე, სადაც ვკითხულობთ: „ყოველივე მიედინება, ყველაფერი იცვლება, – ამბობდნენ რომაელები“. სინამდვილეში ამას ბერძნები ამბობდნენ (ჰერაკლიტე).

მომდევნო გვერდზე წერია: „მოსეს დამ რეგინამ ჩააწვინა იგი კალათაში...“ და ა. შ. „რეგინა“ ქალის – მოსეს დის სახელი კი არ არის, არამედ „კალათას“ ნიშნავს ძველებრაულად!

მომდევნო გვერდი: „ებრაულ წიგნში – „კაბალა“-ში ნათქვამია, რომ **„ადამიანმა სახელები დაარქვა ცხოველებს“,** სინამდვილეში „კაბალაში“ სიტყვაც არ არის ამაზე ნათქვამი; ეს თავად ბიბლიაში წერია, რომლის მცოდნედაც იაროსლავსკი (იგივე გუბელმანი) ითვლება.

მომდევნო გვერდზე წერია: **„ავესტური ქურუმი როსსენაკი“...**

ამ სამ სიტყვაში უკვე სამი დამახინჯებაა. ჯერ-ერთი, „ავესტური“ ქურუმები არ არსებობდნენ, რადგან „ავესტა“ – ირანული წიგნია, მეორეც – როსსენაკი არასდროს არსებულა, არამედ იყო როსსიონა; და მესამეც: იგი ქურუმი კი არა, ბრამინი იყო, ამასთან იგი დაკავშირებული იყო არა ირანთან, არამედ ინდოეთთან.

შემდეგ გვერდზე წერია: **„ღმერთ ორმუზდის კომპანიონი – აპრემონი“.** აპრემონს არანაირად არ შეგვიძლია ვუწოდოთ ორმუზდის „კომპანიონი; პირიქით, ისინი წარმოსდგებიან რო-

გაგრძელება მე-8 გვ. ▶

◄ დასაწყისი გვ. 6,7

რამდენიმე შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო

გორც შეურიგებელი ანტიპოდები, მოწინააღმდეგეები.

ერთის სიტყვით, იაროსლავსკის შეცდომების ჩამონათვალი, ალბათ, დაახლოებით იმავე ზომის წიგნს შეადგენდა, როგორიც მისი თხზულებების ტომია; ამიტომ მოყვანილი მაგალითებით შემოვიფარგლეთ. მის გახმაურებულ წიგნში – „ბიბლია მორწმუნეთათვის და ურწმუნოთათვის“, – ჩვენ ვპოულობთ 197 შეცდომას, ის კი, ასე ვთქვათ, სპეციალისტი იყო ათეიზმში.

მაგრამ, იქნებ მისი მიმდევრები არიან უფრო იღბლიანები? ამ მიმდევართა დახასიათება ჩვენთვის გაადვილებულია იმით, რომ მათთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს ბეჭდით პროდუქციაში დაფიქსირებული გამოხმაურებანი, თუმცა, სულ სხვა საბაბით.

რუმიანცევი (შნეიდერი) – **„შარლატანი, რომელიც თავს მეცნიერად ასაღებდა, უმეცარია, ყველა მიმართებით უპატიოსნო ადამიანია“,** – ასე ახასიათებდა მას „პრავდა“. **„შემთხვევითი კაცი მეცნიერებაში, რომელიც თავს ნებას აძლევდა მეცნიერად წოდებულიყო, მატყუარა და ცილისმწამებელია“,** – წერდა მასზე **„ლიტერატურნაია გაზეტა“.**

კანდიდოვი (ფრიდმანი) – „ადამიანი, რომელიც თავს მეცნიერ-მუშაკად ხმობდა, სინამდვილეში კი უწიგნური და წვრილმანი თაღლითი აღმოჩნდა. კანდიდოვების ადგილი არ უნდა იყოს ჩვენს შორის“ – იუწყებოდა გაზეთი „პრავდა“.

ზახაროვი (ედელშტეინი): „ამ სუბიექტს, რომელიც წარმოადგენდა დამახინჯებულ ამონაწერთა გროვას, შეზავებულს მის საკუთარ უაზრო გამონაგონთან, მეცნიერულ ხარისხსზე ჰქონდა პრეტენზია“, – ვკითხულობთ გაზეთში „კულტურა ი ჟიზნ“.

რანოვიჩი – „შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ რანოვიჩის დისერტაცია, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, აღიარებულ იქნა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების ღირსად, მაგრამ, სინამდვილეში, აქ არაფერია უცნაური: მისი მსაჯულნი ხომ რანოვიჩის ნათესავები და ამფსონები არიან“, – წერდა გაზეთი „იზვესტია“.

შახნოვიჩი – „ძნელია სერიოზულად მოეკიდო შახნოვიჩის შრომას, რომელშიც საცნაურია ავტორის ელემენტარული უცოდინრობა მის მიერ არჩეულ დარგში“, – წერდა „ლიტერატურნაია გაზეტა“.

ერთი მაგალითი როჟიცინის შესახებაც. როცა მან თავისი დისერტაცია წარადგინა, ისეთმა რბილმა, კეთილგანწყობილმა, მაგრამ, იმავდროულად, მაღალავტორიტეტულმა მეცნიერმა, როგორც **ბუზესკული** იყო, ურჩია მოეხსნა იგი დაცვისაგან **„სრული ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად“. როჟიცინმა** იგი ლენინგრადში გადაიტანა, სადაც უდიდესმა ისტორიკოსებმა **ტარლემ, კარეევმა და გრევსმა** ასევე ურჩიეს, უკან წაეღოთ შრომა.

აღარ შევუდგებით უფრო თანამედროვე ავტორების – **ლენცმანისა და შენკმანის** ნაწარმოებების დაწვრილებით განხილვას, რომლებშიც უხვადაა ანეგდოტური ადგილები.

„მეცნიერული“ ათეიზმის მეთოდიკა

რამდენიმე სიტყვა ანტირელიგიური ლიტერატურის მეთოდების თაობაზეც უნდა ითქვას. როგორც ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, ფაქტები ხშირად ჩვენი ათეისტების მტკიცებათა საწინააღმდეგოდ ღაღადებენ. მიუხედავად ამისა, ათეისტები განაგრძობენ იმავე სულისკვეთებით გამოსვლას და მეტად ნაყოფიერადაც. მაინც რანაირად პოულობენ ისინი გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან? აი, მაგალითად, ერთი გზა: ერთი და იმავე პირის სხვადასხვა გამონათქვამებიდან ირჩევენ სწორედ იმას, რაც უფრო მისაღებია მათთვის, დაე, თუნდაც თვით ავტორს დიდი ხნის წინათ ჰქონდეს ეს უარყოფილი და დაგმობილი. ასე მოხდა, მაგალითად, **ენგელსის** შემთხვევაშიც, რომელმაც ახალი აღმოჩენების ზეგავლენით შესძლო თავის თხზულებაში ეღიარებინა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ფაქტი.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე სხვა მეცნიერებთან დაკავშირებით, რომელთა დამოწმებაც მიღებულია ათეისტებში. **რაკოვიჩს, შახნოვიჩს და ლენცმანს**, ასევე სხვა ათეისტებსაც უყვართ ცნობილი გერმანელი ისტორიკოსისა და ბიბლეისტის **ი. ველჰაუზენის** (1844-1918) თხზულებების დამოწმება. მაგრამ მათ მიერ არსად არ მოიხსენიება ველჰაუზენის გვიანდელი, ამასთან ყველაზე ფუნდამენტური, ორიათასზე მეტ გვერდიანი შრომა „იუდაიზმი“, რომლის დასკვნითი თავი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ბიბლიამ ყველაზე სასტიკ, ყველაზე ჩაკირკიტებულ, მეტიც – ყველაზე გაბორტებულ კრიტიკას გაუძლო და სამარადისოდ დარჩა იმ ძეგლად, რომელიც სრულ ნდობას იმსახურებს!“

ველჰაუზენი ამორჩევითი ციტირების მხოლოდ ერთი მაგალითია. არსებობს კიდევ ერთი გზა, მეტად საყვარელი ჩვენი ანტირელიგიური ავტორებისთვის: ციტატიდან ირჩევენ მხოლოდ იმას, რაც მათ აწყობთ, ანუ ციტატას თხზულებიდან თავიანთ გემოზე ჭკვეცენ, როგორც, მაგალითად, ცნობილი ბრესტერის შემთხვევაში მოხდა. **რაკოვიჩს** მოჰყავს მისი სიტყვები – **„გასაკვირი არ არის, რომ მრავალი საფუძველი წარმოიშვა ეჭვის შესატანად ბიბლიის უტყუარობაში“** – და მძიმეზე წყვეტს ციტატას, რადგან არ სურს ბრესტერის შემდგომი სიტყვები მოიყვანოს, რომლებიც პირდაპირ მოსდევენ ციტირებულთ: **„მაგრამ ეს საფუძვლები გაქრა ფაქტების დაგროვების კვალობაზე!“** ამგვარად გაწყვეტილი ციტატების ჩამონათვალი ერთ უზარმაზარ ტომს შეადგენდა.

მესამე გზას, **გორკის** ერთ ცნობილ გამონათქვამს თუ გამოვიყენებთ, შეიძლება **„ბოდვითი გზა“** ეწოდოს. იგი მდგომარეობს ყველაზე წარმოუდგენელ უაზრობათა დაზვინვაში. მაგალითად, მე არა ერთს, არამედ თერთმეტ სტატიაში ვნახე მტკიცება იმისა, თითქოს მღვდლები არწმუნებენ ადამიანებს, რომ დედამიწა სამ ვეშაპზე დგას, და ამას ასწავლიან ეკლესიაშიო. საინტერესო იქნებოდა თუნდაც ერთი მღვდლის ნახვა, რომელსაც მსგავსი უაზრობები სწამს. დაუდევრობა – ჩვენი ათეისტების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. მაგალითად, **კოლესნიკოვი** ინფორმაციას აწვდის მკითხველებს, რომ ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრებ რუსთაგან ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ბნელეთის მოციქულია მიტროპოლიტი **ანტონი ხრაპოვიცკი,** რომელიც მცირე ხნის შემდეგ იუწყებოდა, რომ ეს ხრაპოვიცკი ჯერ კიდევ ემიგრაციის პირველ წლებში გარდაიცვალაო. სინამდვილეში კი იგი 1936 წლის 11 აგვისტოს გარდაიცვალა. ვინმე სინკომ ღირშესანიშნავი აღმოჩენა გააკეთა: ჟურნალ „რადიანსკა ლიტერატურაში“ იგი იუწყება **ჟუკოვსკის** ანტირელიგიური სატირის შესახებ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს ჟუკოვსკის კი არა, გოეთეს ნაწარმოება, და მასში ვერაფერს ანტირელიგიურს ვერ აღმოვაჩენთ. ამასთან, ეს სულაც არ არის სატირა. მაგრამ თანამოძმეებს ვინმე **ავერკიევმა** გადაამეტა გამომგონებლობაში „გაბედულებით“, – ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ ქრისტიანული შეხედულებები წარმართული წარმოდგენებიდან აღმოცენდა, იგი სხვათა მსგავსად, ოპერირებს, ცამეტ რიცხვთან დაკავშირებული ცრურწმენებით და **„აცამტვერებს“ ამ ცრურწმენებს პირდაპირ და გადაჭრით. იგი წერს: „წარმართული წარმოდგენების საფუძველზე საბედისწერო რიცხვის – ცამეტის შესახებ წარმოიშვა თქმულება იუდაზე, რადგან იგი სწორედ მეცამეტე მოციქული იყო“** (??). უეჭველია, ავერკიევი პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც მეცამეტე მოციქული აღმოაჩინა. მაგრამ ეს „აღმოჩენა“ უკვე შევიდა ანტირელიგიური ლიტერატურის „რკინის ფონდში„: ეს გამონაგონი უკვე ხალისით გაიმეორეს ბეჭდით ორგანოში **პაველკინმა, ტურომა, ბაიკოვსკიმ** და სხვებმა.

საერთოდ, ჩვენი ანტირელიგიური ლიტერატურის გაცნობისას სულ უფრო დაჟინებით წარმოიშვება კითხვა: რა შეხედულება აქვთ თავიანთ მკითხველებზე ამ ავტორებს? ისინი, აშკარად, ფიქრობენ, რომ მათი მკითხველები სრულიად მოკლებულნი არიან შესაძლებლობებსაც და სურვილებსაც, წაიკითხონ სხვა რამ, გარდა მათი შრომებისა. მაგალითისთვის ავიღოთ გრიშინის წერილი ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრება“-ში. იგი წერს, რედაქცია კი ბეჭდავს, რომ, თითქოსდა, ბიბლია შეცდომით მოგვითხრობს ებრაელთა ყოფნის შესახებ ეგვიპტეში, რაც, გრიშინის შეხედულებით, აშკარა აბსურდია. გრიშინის, და რაც მთავარია, საკავშირო ჟურნალის რედაქციის საყურადღებოდ, რომელსაც, ცხადია, პრეტენზია აქვს ავტორიტეტულობაზე, შემიძლია ვაუწყო მათ, რომ ეგვიპტეში ებრაელთა ყოფნა სავსებით უტყუარი ფაქტია. ამ ისტორიული ფაქტის შესახებ აბსოლუტურად ყველა ავტორიტეტული გამოკვლევიდან შეგიძლიათ შეიტყოთ, რომლებიც ეძღვნება როგორც ეგვიპტის, ასევე იუდეის ისტორიას. ამის შესახებ ცხადად მეტყველებენ ძველი ეგვიპტის ძეგლები. მაგალითად, სუხაპეტი: „ჩვენ ტყვედ იმდენი ისრაიტელი გვყავს, რამდენიც ქვიშაა ნილოსის ნაპირზე“.

და კიდევ:

„წავიდნენ ჩვენი ტყვეობიდან ისრაელიანნი“

ხოლო ეგვიპტელი სეფის ეპიტაფიაში ნათქვამია:

„შენ იყავი იუდეველი ხალხის მდევარი, რომელიც მოსეს წინამძღოლობით მიდიოდა ჩვენი ტყვეობიდან“.

ეს მსგავსი მოწმობების მხოლოდ მცრედი ნაწილია.

სადუკეველთა უღელი

აუცილებელია დავაზუსტოთ: მაინც, საერთოდ, ვის ეომებოდა აკადემიკოსი ბელეცკი სამეცნიერო ფრონტზე და, საკუთრივ, სად უნდა ვეძიოთ, ამ „მებრძოლი“ ტომის – ათეისტების ისტორიული ფესვები?

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ებრაელი ერი ორი ძირითადი, ერთმანეთთან მტრული კასტის, ორი შეურიგებელი იუდაური სექტის – ფარისევლებისა და სადუკეველების უძლიერესი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რომელთა შორისაც დღემდე გრძელდება კონკურენცია.

დღეს, როცა უკვე შორს აღარ არის ანტიქრისტეს გამეფება (რომელსაც ისინი თავიანთ ტავს „მესიად“ მიიჩნევენ) ქრისტესაგან და მისი ეკლესიისაგან განდგომილ მთელს კაცობრიობაზე, მსოფლიო ამ ორ, ძალაუფლებას მოწყურებულ, სექტას აქვს დაპყრობილი და განაწილებული.

იესო ქრისტეს არაერთგზის გაუფრთხილებია თავისი მიმდევრები მათში ამ ღვთისსაწინააღმდეგო და დამღუპველი სწავლებების დანერგვის საშიშროებაზე: **„ჭრქუა მათ კრძალვად... მოძღურებისაგან ფარისეველთაისა და სადუკეველთაისა“** (მათე 16, 12). ახლა კი, მეორედ მოსვლის წინ, ჩვენ ვხედავთ ფარისეველთა უღელს დასავლეთში და სადუკეველთა უღელს – აღმოსავლეთში.

სადუკეველური – სახარების ტერმინოლოგიით, ანუ ათეისტური ცრუმეცნიერულით, უღმერთო ძალაუფლება რუსეთში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველევი ღმერთის ბევრი სათნომყოფელის მიერ. მაგალითად, **სქემ-მონაზონმა აბელ ვასილიევმა** იმპერატორ **პავლე პირველს** გამოუცხადა დინასტიისა და მისი მეფობის ბედ-იღბალი თვით ქვეყნის დასასრულამდე და უთხრა: **„ხოლო რუსეთის სახელმწიფო ბედ-იღბალზე მე ლოცვაში მქონდა გამოცხადებული სამი სასტიკი უღლის შესახებ: თათართა, პოლონელთა და ჯერეთ მომავალ – უღმერთო ურიათა... და სადღა არიან თათრები, თქვენო უდიდებულესობავ? სადღა არიან პოლონელები? უღმერთო ურიათა უღელსაც იგივე მოელის. ამაზე ნუ დაღონდები, მეფევ ბატონო: ქრისტეს მკვლელები თავისას მიიღებენ“.**

მაგრამ გადავშალოთ წმიდა წერილი და უფრო დაკვირვებით განვიხილოთ ეს მებრძოლი იუდაური სექტა ღვთის შუქზე, რათა უკეთესად გავიგოთ მისი თანამედროვე მიმდევრების მოქმედებები, სიტყვები და გეგმები. ახალ აღთქმაში ნათქვამია: **„იყო შფოთი სადუკეველთა და ფარისეველთა და განივლთა სიმრავლე იგი. რამეთუ სადუკეველნი იტყვიან, არა არს აღდგომაი, არცა ანგელოზნი, არცა სული, ხოლო ფარისეველნი აღიარებენ ამას ყოველსა“** (საქმე მოციქ. 23, 7-8); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესქატოლოგიის სფეროში, როცა სადუკეველები ამბობენ, რომ არ არის მკვდართა აღდგომა (მათე 22,23; მარკოზი 12,18; ლუკა 20,27), ამით უარყოფენ არა მხოლოდ სულის უკვდავებას და ანგელოზთა არსებობას, როგორც ღმერთის ერთგულთა, ასევე დაცემულთა, არამედ, საერთოდ, არაფრის გაგონება არ სურთ საუკუნო ცხოვრების შესახებ ღმერთთან.

ამიტომაც ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სფეროში სადუკეველები ადამიანის შეუზღუდავი თავისუფლების დამცველები და მომხრეები არიან, ფიქრობენ რა, რომ ყველაფერი მის „თავისუფალ ნებაზეა“ დამოკიდებული და არა – ღმერთის განგებულებაზე.

რუსეთის დამპყრობი სადუკეველებისა უკვე მესამე თაობა თავს გვახვევს სწავლებას უანგარო სამსახურის შესახებ არა ღმერთის, არამედ – ადამიანისადმი და არა სამარადისო სიკვდილის შიშით ცოდვილთათვის და საუკუნო ნეტარების აღთქმით მართალთათვის, არამედ ერთადერთი ქვეყნიური ჯილდოს – ცოდვიანი თვითნებობის სიტკბოების დაპირებით, რომელიც პრაქტიკულად განდევნის ღმერთს სადუკეველთა მონის ცხოვრებიდან.

იმის გამო, რომ მოციქულები ქადაგებდნენ „იესუის მიერ აღდგომისათვის მკვდრეთით“ (საქმე მოციქ. 4, 2), რითაც მომაკვდინებელ დარტყმას აყენებდნენ სადუკეველთა ცრუ სწავლებას, ადვილი გასაგებია, თუ რატომ სდევნიდნენ და საპყრობილეში რატომ აგდებდნენ მოციქულებს სწორედ ის „მღვდელთ-მოძღვარი იგი და ყოველნი მისთანანი, რომელ იგი იყო წვალებაი სადუკეველთაი“ (საქმე მოციქ. 5, 17-18), და არა სხვა ვინმე. ამგვარად, საღმრთო წერილი ჩვენც განგვიცხადებს: „რუსეთის მართლმადიდებელი სამეფო, რომელიც მოციქულთა მსგავსად განადიდებდა მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს სახელს სწორედ ამის გამო იქცა მებრძოლი სადუკეველობისათვის განსაკუთრებული „ყურადღებისა“ და „ზრუნვის საგნად“.

ახალი აღთქმის არაერთი მითითებიდანაც ცხადად ზდება სადუკეველთა სექტის, ანუ ჩვენებურად თუ ვიტყვით, „სამართლიანთა პარტიის“ სულისკვეთება და ხასიათი: მათი სწავლება მეტისმეტად მიმზიდველია ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელსაც ქედმაღლური და თვითნებური აზროვნებისკენ აქვს მიდრეკილება მინიერი „ტკბობა“ სწყურია და რომელიც წარმართულ „სამართლიანობას“ ეძიებს.

როგორც ვხედავთ, ღვთის სიტყვის თანახმად, ფარისევლობა, რომელსაც დასავლეთის მთელი სამყარო უპყრია ხელთ, არის იუდაური სჯულისმიერი ნაციონალიზმის მახინჯი გამოხატულება, სადუკეველობა კი, რომელმაც აღმოსავლეთის ხალხები დაიმონა და, რომელიც ფარისევლობის სრული ანტიპოდია, – წარმოადგენს კოსმოპოლიტური უსჯულო ინტერნაციონალიზმის წარმართულ გამოვლინებას.

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

არდაგანი თუ არდახანი? – არცერთი!

საქართველოდან ვალესკენ მიმავალ ავტომაგისტრალზე ქართული და სომხური გზის მაჩვენებლები იუწყება – არდაგანამდე ამდენი და ამდენი კილომეტრია დარჩენილიო. თურქული წარწერით, იმავე დასახლებულ პუნქტად დასახელებულია არდახანი. რომელია სწორი?

ლაპარაკია ტაო-კლარჯეთის ქალაქზე, რომელიც, ლეონტი მროველის ცნობით (XI ს.), მცხეთოსის ძმამ, ჯავახოსმა ააშენა და, რომელსაც, მაშინ, ქაჯთა ქალაქი რქმევია. მროველი მას ჰურის უწოდებს. მერე გვატყობინებს: „ფარნავაზ I-მა (ძვ.წ.აღ.-ით III საუკუნე), შექმნა წუნდის საერისთავო, რომელშიც შედიოდა ა, ჯავახეთი და კოლა. ვახტანგ გორგასალმა (V ს.) ა-ში საეპისკოპოსო გახსნა და კათედრა ერუშეთში დააწესა. თამარის ეპოქაში (XII-XIII ს.ს.) ა სანაპირო საერისთავო იყო. შემდეგ სამცხის ათაბაგთა სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნეში დაიპყრეს თურქებმა და ეწოდა დამპყრობელის მიერ არდახანი. მაგრამ მისი ნამდვილი სახელწოდება არც სომხური არდაგანია და არც თურქული – არდახანი. ბედკრული საქართველოს – ციხე-ქალაქი მშობლიური სახელი არტაანია. არადა, ჩვენში, ყველა არდაგანად მოიხსენიებს.

ბორჯომში, ბაკურიანის მიმართულებით, დასახლებულ პუნქტსაც არდაგანი ჰქვია. ქალაქის ავტობუსებზეც გამოკრულია აბრები – „ცენტრი – არდაგანი„. ესეც სომეხი ლტოლვილების „ნამოქმედარია„ და ჩვენც, ნებით ვივიწყებთ ჩვენსავე „სისხლსა და ხორცს„ და გაუაზრებლად ვუწყობთ ხელს სომხური ტერმინის დამკვიდრებას.

ასე რომ, მივმართავთ, ვისაც არს! – საქართველოს ტერიტორიაზე ყველგან წაიშალოს სახელწოდება – „არდაგანი„ და აღდგენილი იქნას აღნიშნული ქართული ციხე-ქალაქის მშობლიური სახელი – „არტაანი“!

ომარ ჩხეიძე

,,აივანი„ კომედიის ფესტივალზე

2015 წლის 8 ივნისი, ქ. გორი. ხალხი წყება-წყება, ხალისით მიემართება გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრისკენ, რომელიც დღეს მასპინძლობს მესხეთის (ახალციხის) პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს. დარბაზში სრული ანშლაგია.

ზოგჯერ ცხოვრებაში ხდება სასწაულები, მაგრამ სასწაული ხელოვნებაშია! ეს ხომ სულის ზეიმია, როცა ოცნებასთან შერწყმული სინამდვილე, სიამოვნების ზენიტს აღწევს, მსახიობები თავისი როლის საუკეთესო შესრულებით თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ხელოვნების სიყვარულში.

გორის თეატრი ყოველთვის განებივრებულია ადგილობრივი თუ სტუმრად მობრძანებული ხელოვნების ნიჭიერი შემოქმედებით, მაგრამ, ამჯერად, უნდა ითქვას, რომ მესხეთის თეატრმა სულ სხვა ხიბლი შემოიტანა ჩვენი ქალაქის სინამდვილეში. დრამატურგ ოთარ ქათამაძის სპექტაკლმა ,,აივანი„ (დამდგმელი რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი), მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. თითოეულმა მსახიობმა თავისი უზადო ნიჭი და პროფესიონალიზმი გამოავლინა და ერთხელ კიდევ მოხიბლა საზოგადოება.

სპექტაკლში ერთი ჩვეულებრივი ოჯახის (ვაი, რომ საქართველოს!) ისტორიაა გადმოცემული. ახალგაზრდები აივანს შემღერიან, სადაც ლამაზი გოგონა ცხოვრობს. ისინი მშვენივრად ასახიერებენ შეყვარებული ვაჟების როლს, – ხან თამამნი, ხან მორცხვნი და ოჯახის ქალბატონის შეძახილით დამფრთხალნიც.

ლია სულუაშვილი -- ეს არის ჭეშმარიტი რეჟისორიული მიგნება და როლის მთელი სიზუსტით მორგება. მან შესანიშნავად წარმოადგინა სკლეროზიანი მოხუცის სახე (ფერმონია), რომელიც შვილის შეუმჩნევლად აივანზე გამოდის და წარსულს მისტირის, გარდაცვლილ მეუღლეს ხშირად ესაუბრება და ეფერება.

აივანი საცხოვრებელი ბინის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც, მობინადრეების დაუკითხავად, იყიდება აუქციონზე. ეს ხომ დუხჭირი საქართველოს ტირილია, თანამედროვე საქართველოს დღევანდელი პრობლემებია, უცხო ტომელზე გაყიდული აივანი ჩვენი მიწა-წყლის სიმბოლური ნაწილია.

გაუნათლებელი, მოძალადე ჩინოვნიკის უზადო სახეები შექმნეს მსახიობებმა ბაქარ ალავიძემ, რაულ ბარბაქაძემ და იური სუდაძემ, რომლებიც ავტომატურად ასრულებენ ზემდგომი ორგანოს დავალებას და, ბინის მეპატრონეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, აივანს უცხო ტომელზე ყიდიან. ბინის მეპატრონის – ფერმონიას შვილი -- (მსახიობი მანუჩარ გოგოლაური) სანდრო, მის ხელთარსებული დოკუმენტებით ცდილობს, დაიცვას საკუთარი ქონება, მაგრამ ქალაქის არქიტექტორის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, უძლური აღმოჩნდება.

აივნის გაყიდვა იწვევს უკმაყოფილებას, არეულობას. ხალხი კეთილი საქმის მოლოდინშია -- იქნებ მისი დაბრუნების იმედიც აქვთ, მაგრამ აივანი საბოლოოდ დაკარგულია.

მესხეთის თეატრმა ერთხელ კიდევ დაგვანახა დაჩაგრული, ტერიტორიაწართმეული ხალხის ბედი, მათი კვნესა.

სპექტაკლი დასრულდა. ხალხის ოვაციები და აპლოდისმენტები დიდხანს არ წყდება.

მადლობა ახალციხის მუნიციპალიტეტს თეატრის ფინანსური მხარდაჭერისთვის. უღრმესი მადლობა დამდგმელ რეჟისორს – გიორგი შალუტაშვილს. ქალაქი გორი მომავალშიც სიყვარულით შეხვდება თქვენს სტუმრობას.

მობრძანდით, გელით!

სოფიო მექვაბიშვილი,
ქ. გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის წევრი

P.S. როგორც ცნობილი გახდა, 21 ივნისს, ქ. გორში, კომედიური ჟანრის სპექტაკლების ფესტივალი, რომელშიც, ორი კვირის განმავლობაში, 30-მდე თეატრალური კოლექტივი მონაწილეობდა, წარმატებით დამთავრდა.

წარმატებული აღმოჩნდა იგი მესხეთის თეატრისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ქ-ნ ლია სულუაშვილისთვისაც -- მას ჟიურიმ ერთხმად მიანიჭა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი და სპეციალური დიპლომი გადასცა, რაც, ცხადია, როგორც მისი, ისე მესხეთის თეატრის მთელი დასის დიდ შემოქმედებით წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის„ რედაქციაც უერთდება ამ სასიხარულო მოვლენას. ულოცავს ქალბატონ ლია სულუაშვილს ამ დიდ გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

შეხვედრა ასპინძაში

– ,,სტუმარი ღვთისააო“! მე არ ვიცი ყველგან ასეა თუ არა, მაგრამ მე ის ვიცი, რომ ვარ იმ ქვეყნის შვილი, სადაც „სტუმარს ღვთის კაცად თვლიან“, – კარგი სტუმარი მუდამ სასურველია, თუ იმის ღირსეულად დახვედრის უნარიც შეგწევს. ასპინძის რაიონს სტუმარი იმდენი უნახავს პოეტის, მწერლის, სახალხო მთქმელის, მხატვრის თუ კულტურის სხვა დარგის ცნობილი მოღვაწის სახით, ბევრი სხვა რაიონი ვერ დაიკვეხნის...

18 ივნისი კი, ჩვენთვის, ერთ-ერთი გამორჩეული დღეთაგანი იყო. ,,ცოცხალი წიგნის„ ეგიდით, რომელიც ქალბატონ ქეთევან დუმბაძის პროექტის ფარგლებში ტარდება, რაიონს ეწვია ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი ცნობილი პოეტის მარიამ წიკლაურის ხელმძღვანელობით.

წიგნის, ქართული პოეზიის მოყვარულებმა, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე ცოტა იყო, გაიხარეს და ეს სიხარული გადამდები იყო ყველასათვის.

ღონისძიებას უძღვებოდა ქალბატონი მარიამ წიკლაური, რომელმაც მსმენელს ისეთი კუთხით წარმოგვიდგინა და გაგვაცნო ჯგუფის წევრები, რომ ყველა უკვე ჩვენს შინაურად ჩავთვალეთ – რობერტ მესხი – მრავალმხრივი მიმართულების მწერალი - პოეტი; ნატა ვარადა (ვარადაშვილი) – პოეტი, პროზაიკოსი, ლელა ცუცქირიძე – პოეტი, პროზაიკოსი, საბავშო მწერალი, არაერთ ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებული; ირმა მალაციძე – საბავშო მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ 2014 წლის პრემიის ლაურიატი; გოჩა სხილაძე – პოეტი, ესეისტი.

პოეტები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და დამსწრე საზოგადოებას მადლობას ლამაზი ლექსებითა და ჩანახატებით უხდიდნენ.

სტუმრებმა რაიონულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს საკუთარი წიგნები, ალბომები, წიგნის მოყვარულებს დაურიგეს ჟურნალ ,,OKI„ -ს ნომრები, აქვე გაათამაშეს, სიმბოლურად, ორი დისკი ახალგაზრდა მწერალ-შემოქმედთა ჩანაწერებით. შეხვედრას ესწრებოდნენ: რაიონის პედაგოგები, კულტურის სამსახურის მუშაკები, ბიბლიოთეკარები, სამუსიკო სკოლის პედაგოგები, წიგნის მოყვარულები.

საღამო ლამაზი ლექსის, ფრთიანი ფრაზის და ახალი სიტყვის ქარბორბალაში მიმდინარეობდა. სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთი არ ეთმობოდა. ლექსის ზეიმი იყო ასპინძაში და მარიამ წიკლაურის ერთ-ერთი ლექსის ფრაზის არ იყოს, დავინახეთ გზა, „რომელსაც შინ მივყავართ„.

დამსწრეთა სახელით სტუმრებს მადლობა გადაუხადა გაზეთ ,, ლიტერტურული მესხეთის„ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ, მოიწონა პროექტ ,,ცოცხალი წიგნი„-ს იდეა, რომ რაიონებში ნაკლებად იცნობენ რესპუბლიკის ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას და ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს მკითხველთან ავტორის დაახლოებას. ფაქტია, ყველას არ აქვს საშუალება ტელე-ეკრანიდან გააგონოს თავისი ხმა მსმენელს. კარგი იქნება თუ მსგავსი აქციები სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს მთავარი და საბავშო ბიბლიოთეკების ფონდები და დახმარება აღუთქვეს ახალი ლიტერატურის შეძენაში, თავის მხრივ კი ბიბლიოთეკის დირექტორი ნინო ბერიძე დაპირდა, რომ ანალოგიურ შეხვედრებს სისტემატიური ხასიათი ექნება.

ნუნუ ბუჩუკური

P.S. პროექტის ფარგლებში ანალოგიური ღონისძიება გაიმართა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში.

მილოცვა

აკაკი ბრეგაძე – ვისაც ოდნავ მაინც სტკივა ჩვენი გუშინდელ-დღევანდელობა, მისთვის იგი არის კაცი, ჭეშმარიტი ადამიანი!

კაცი, რომელიც სამშობლოსთვის იღწვის და დღესდღეობით, სამწუხაროდ, იმ ერთადერთის გადარჩენას ლამობს, რასაც ჩვენი მომავალი თაობის სულიერება, ადამიანობა ჰქვია.

ოთხმოცმა წელმა მამულის სიყვარულში მუხლჩაუხრელ-დაუღლელად გაიქროლა, რადგან თქვენნაირი ადამიანები სიყვარულით არ ილლებიან!

სიკეთით გევლოთ კიდევ დიდხანს ჩვენო უფროსო მეგობარო და დიდო ადამიანო!

უღრმესი სიყვარულით და პატივისცემით:

ეთერ ზაზაძე, მარინა თექთუმანიძე, ქეთი დოლიძე, თამარ ლომიძე, თეიმურაზ ცერცვაძე, მერაბ სადღობელაშვილი, რევაზ აბზიანიძე, რამაზ ბერაძე, ავთანდილ ბერიძე

ჯივანი



ჯივანი ცნობილი ჯავახი აშუღის სირობე ბანგოიანის აშუღური ფსევდონიმია. მისი წინაპრები ისტორიული ბასენიდან (ბასიანიდან) ყოფილან, რომლებიც, ჟამთასიავის გამო, 1829 წელს გადმოსახლებულან ჯავახეთში და დასახლებულან სოფელ კარწახში. აქ სტეფანე ბანგოიანის მრავალშვილიან ოჯახში 1846 წელს დაიბადა ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვეს სერობე. იგი შემდგომ სომხურ მწერლობაში ცნობილი გახდა ჯივანის სახელით.

გაუხარელი ბავშვობა და არც თუ სახარბიელო ჭაბუკობა და ცხოვრება ჰქონდა ჯივანს.

– „ბედის წილსაყრიდან ავიღო წილი,

ამომყვა ოხვრა და წუხილი, ვიში...“

ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში აშუღი. ჯივანი ექვსი წლისაც არ იყო, როცა მამა გარდაეცვალა და ხუთი და-ძმა და დედა ფაქტიურად დარჩნენ ბიძის ამარა. პატარა სერობეს მამა ძალიან უყვარდა, რის გამოც ვერ ურიგდებოდა მის ასე უდროო სიკვდილს. მამის დაკარგვის შემდეგ, პატარამ, მთელი სიყვარული დედაზე გადაიტანა.

მამის სიკვდილით გამოწვეული წუხილი ჯერ არ შემსუბუქებოდა, როცა ბიძამისმა, დაქვრივებული რძალი გაათხოვა მეზობელ სოფელში. პატარებმა ტირილითა და მოთქმით გააცილეს დედა და დიდხანს გაჰყურებდნენ გზას, მანამ სერს მოეფარებოდა გულმდუღარე დედის დათალხული მანდილი. ამის შემდეგ, ყოველ სისხამ დილით, ფეხშიშველი, ერთი პატარა ბიჭი, მიირბენდა ხოლმე იმ სერთან, ხელს თვალებზე მოიჩრდილებდა და, თვალცრემლიანი, დიდხანს გასცქეროდა გზას გულისფანცქალით – იქნებ გამოჩნდესო დედის მანდილი. მას დიდხანს გულში უღვივოდა დედის დაბრუნების იმედი, მაგრამ ამაოდ. ეს ბავშვი ჯივანი იყო.

ბიძამ დაკვირვებული და ცნობისმოყვარე ჯივანი მიაბარა სოფლის სკოლაში, სადაც ბავშვმა ძლივს მოასწრო წერა-კითხვის სწავლა, რომ ბიძამისმა გამოიყვანა სკოლიდან და გაამწესა სოფლის მეხბორედ, რის შესახებაც შემდეგ აშუღი ამბობს: „ჩემი გონებრივი სამყაროს მეტი წილი მრუმედ დარჩა“-ო. რაც, ცხადია, თავმდაბლობითაც არის განპირობებული...

ჯივანი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო აშუღური პოეზიით, რაც, თანდათან, უფრო გაუღვივდა. სოფელში, ზამთრობით, სასიმღეროდ მოსული სხვა აშუღების გავლენით, მტკიცედ გადაწყვიტა, აშული გამხდარიყო. დაიწყო ჰანგებისა და სიმღერების შესწავლა და სულ მალე თავად დაიწყო ლექსების თხზვა. იგი აკვირდებოდა სოფელში მოსული აშუღების გამოსვლებსა და პაექრობას, იმახსოვრებდა და შემდეგ იმეორებდა მათ, ხბორებსაც აძოვებდა და თან კარწახის წარმტაც ბუნებაში სასიამოვნო ჰანგებად იღვრებოდა მისი წკრიალა ხმა.

სოფლის ცნობილმა აშუღმა სიამ (ყაზაროს კარაპეტიანმა) შენიშნა რა ჯივანის მიდრეკილება და უნარი, იგი შეგირდად აიყვანა. ჯივანი სიასთან სწავლობდა ხუთ წელიწადს, რის შემდეგ სიამ მას გზა დაულოცა, როგორც დამოუკიდებელ აშუღს. უნდა ითქვას, რომ, ჯერ კიდევ შეგირდობისას, იგი ბევრ რამეში უკვე სჭარბობდა თავის ოსტატს, საუკეთესოდ უკრავდა ქამანჩაზე და მის აკომპონიმენტზე წარმტაცად მღეროდა სხვისა და საკუთარ სიმღერებს.

კარწახის მაშინდელი გარემო უკვე ევიწროვებოდა ჯივანს. ახალგაზრდა აშუღი გაცილებით ფართო ასპარეზზე ოცნებობდა და, აი, მის ცხოვრებაში, ამ დროს, მოხდა საბედნიერო შემთხვევა: 1864 წელს კარწახის ყრუ და ერთფეროვანი ცხოვრებიდან 18 წლის ჭაბუკი მოხვდა ჯერ თბილისში და შემდეგ – ძველ ალექსანდროპოლში, ბიძასთან ერთად. თბილისმა გამაბრუებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკზე თავისი მრავალერიანობითა და ხმაურით. იგი მოიხიბლა თბილისის ენით, ადათ-წესებით, პურ-მარილითა და ადამიანთა გაცხოველებული ურთიერთობით. ჯივანის წარმოუდგა, „თითქოს თბილისი იყო ერთი დიდი საქორწინო სახლი, სადაც სალხინოდ იყვნენ მოწვეული კავკასიის ყველა ერები და ტომები“ (პროფ. გ.ლეონიანი).

მართალია თბილისმა მოხიბლა ჯივანი, მაგრამ მას მაინც გული მიუწევდა ალექსანდრეპოლისკენ (დღევანდელი გიუმრი), სადაც მაშინ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი აშუღები. ეს სურვილიც მალე აუხდა ჯივანს. ურმების ქარავანი თბილისიდან დაიძრა ალექსანდრეპოლისკენ. აქ მეურმეებმა დაიწყეს წამოღებული ტვირთის ჩაბარება კუთვნილებისამებრ. ამასობაში, ჯივანმა დრო იხელთა, გაეპარა ბიძას და კითხვა-კითხვით მიაგნო მაშინ ალექსანდრეპოლისში განთქმულ ტალიანობის (შემდეგ ტალიანების) ყავახანას, სადაც მღეროდნენ სახელგანთქმული აშუღები ჯამალი, ფირზაი და სხვები.

ახალგაზრდა ჯივანი მორწმუნის მოწიწებით შევიდა ყავახანაში და მორიდებით მიესალმა იქ მყოფთ. უბრალოდ, სოფლურად ჩაცმულმა, 17-18 წლის ახალგაზრდამ, ქალამნებითა და ქამანჯით იქ მყოფთა საერთო ყურადღება მიიპყრო... სთხოვეს, ემღერა რამე. ჯივანი უცხო გარემოში ჯერ შეცბა, მაგრამ მალე დაეუფლა თავს და შეასრულა ერთ-ერთი თავისი სიმღერა და შემდეგ სხვისი. ის იყო ჭაბუკი აშუღის პირველი საჯარო გამოსვლა ცნობილი აშუღების წინაშე. აქ მან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ყავახანის აშუღებმა ერთხმად სთხოვეს – დარჩენილიყო მათთან. მათ აქვე მოინდომეს ცერემონიალის შესრულება და მისთვის აშუღური ზედწოდების შერქმევა, რაზედაც ჯივანმა უარი უთხრა და აუხსნა, რომ მას აქვს ასეთი სახელი, რომლითაც ჯერ კიდევ ბავშვობაში შეარქვა მამამ (ჯივანიკ)... ამჯერად, ჯივანის ბედმა არ გაუღიმა, – ბიძამ იგი კვლავ კარწახში დააბრუნა. ჯივანს თავისი ხანმოკლე მოგზაურობის შთაბეჭდილებები არ განელებოდა, როცა გვიანი შემოდგომის ერთ დღეს, კარწახს ეწვია ასპარეზზე ახლად გამოსული ბაიაზეთელი აშუღი სადაი. სადაიმ გაიცნო ჯივანი და, მთელი ზამთრის განმავლობაში, ჯავახეთში ყოფნის შემდეგ, შესთავაზა, წასულიყვნენ თბილისში... თბილისში ახალგაზრდა აშუღები მოთავსდნენ ერთ-ერთ ცნობილ ყავახანაში და სულ მალე გაითქვეს სახელი. ჯივანი დაეწაფა თვითგანვითარებას და კითხვითა და იმ დროის თბილისის მოწინავე ინტელიგენციასთან საქმიანი ურთიერთობით დიდად განვითარა გონებრივი ჰორიზონტი. თბილისმა იგი საბოლოოდ მჭიდროდ დააკავშირა თავის ერთან და ეროვნულ ჭირვარამთან. აქ აშუღის შემოქმედებაში იძალა სოციალ-პოლიტიკურმა, პატრიოტულმა და ხალხთა მეგობრობის თემატიკამ.

მართალია თბილისი ვრცელი და მიმზიდველი იყო, მაგრამ ჯივანს, როგორც ზემოთაც ითქვა, უფრო ალექსანდროპოლი იზიდავდა, რომელიც მაშინ წარმოადგენდა აშუღური პოეზიის ცენტრს ამიერკავკასიაში. აქ იყრიდნენ თავს გამოჩენილი აშუღები თავიანთი ხელოვნებისა და ნიჭიერების გამოსაჩენად.

თბილისში მოპოვებულმა წარმატებებმა ჯივანს შორს გაუთქვა სახელი, რამაც ალექსანდროპოლიც აალაპარაკა და, აი, ძმებმა ტალიანებმაც აღარ დააყოვნეს და იგი მიიწვიეს თავიანთ ყავახანაში.

1868 წელს ჯივანი დიდი მადლიერების გრძნობით გამოეთხოვა თბილისს და გადავიდა ალექსანდროპოლში, სადაც მაშინ მღეროდნენ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი აშუღები, როგორებიც იყვნენ: ჯამალი, ფირზაი, ჯაჰრეი, მაჰლული, ხათათი და სხვები. ამ აშუღების სახელები ძალიან იყო გავრცელებული ხალხში, მაგრამ ჯივანმა სულ მალე ახალი სინათლე და ფერები მოჰფინა ალექსანდროპოლის აშუღურ სამყაროს...

ალექსანდროპოლში, 1871 წელს, ჯივანმა მალევე შექმნა 25 აშუღისაგან შემდგარი საკუთარი ჯგუფი, რამაც მისი სახელი უფრო შორს გასტყორცნა. გაერთიანებამ მიზნად დაისახა შებრძოლებოდა მანამდე გაბატონებულ ტრადიციას, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ აშუღებს აუცილებლად უნდა ემღერათ სპარსულად, თურქულად და არაბულად, რაც განეპირობებინა უცხოთა ბატონობას ამიერკავკასიაში. „დამპყრობთა ენას, დროთა განმავლობაში, იმდენი გავლენა მოეხდინა ჩვენს ენაზე, რომ მისი გემო ტრიალებდა ჩვენი ხალხის პირში, რის გამოც სიმღერა, ზღაპარი და არაკი სრულდებოდა უცხოთა ენაზე“ („სომეხი აშუღები“, ერევანი, 1912წ.).

სპარსულენოვანი და თურქულენოვანი აშუღური სკოლები ქმნიდნენ და მღეროდნენ რა უცხო ენებზე, ფაქტიურად უპირისპირდებოდნენ კავკასიის ხალხთა ენებს, იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. ამ საკითხებზე დაფიქრებამ ამიერკავკასიის დიდი მომღერალი საიათნოვა იქამდე მიიყვანა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, მან თბილისში შექმნა ქართულ-სომხური აშუღური პოეზიის სკოლა, რომელმაც იარსება მეცხრამეტე საუკუნის განთიადამდე. ამის საალუსტრაციოდ კმარა საიათნოვას პირადი ნიჭიერება და მონაცემები. იგი თავისუფლად თხზავდა და მღეროდა ამიერკავკასიის სამივე ენაზე. მის მაგალითს მისდევდნენ თბილისში მისი მოწაფეები: შამჩი მელქო, ჰაზირა და სხვები.

სომხურ ენაზე თხზვასა და სიმღერის წინ წამოწევის პრიორიტეტი სამართლიანად ეკუთვნის საიათნოვასა და შირინის სკოლებს, ხოლო ახალ ვითარებაში, მათი დაწყებული საქმე ახალ სიმაღლემდე აიყვანა ჯივანმა, რომელმაც ასე გაამდიდრა აშუღური პოეზია სოციალური და პატრიოტული მოტივებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯივანმა შესანიშნავად იცოდა თურქული ენა და ადრე თვითონაც თხზავდა და მღეროდა ამ ენაზე, ამიერიდან დაიწყო თხზვა და მღერა მხოლოდ სომხურად, რითაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მშობლიურ ხალხში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებისა და განვითარების საქმეში.

ადვილი როდი იყო უცხოენოვანი აშუღური გაერთიანებების წინააღმდეგ ბრძოლა და ისიც გამარჯვება. მაგრამ მან ამ მიზანს ბრწყინვალედ მიაღწია.

ჯივანი თავისი „სკოლის“ აშუღებს ავალდებულებდა და ასწავლიდა სომხურად თხზვას, სატრფიალო ეპოსების სომხურად თხრობასა და წინამორბედი აშუღების საუკეთესო სიმღერების შესულებას. იგი დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა კლასიკოსების შემოქმედებასაც და ასრულებდა ნაწყვეტებსა და ცალკეულ სიმღერებს ო. თუმანიანის, ავ.ისააკიანისა და სხვათა შემოქმედებიდან.

ჯივანი ძალიან დააფიქრა იმან, თუ როგორ მოპყრობოდნენ აღმოსავლურ თურქულენოვან სატრფიალო ეპოსს, რაც კავკასიის ხალხებში ძალიან იყო გავრცელებული და ხალხსაც უყვარდა იგი. ჯივანმა იცოდა, რომ ამ ეპოსის უარყოფა, ხელის ერთი დაკვრით, შეუძლებელი იყო და ამიტომ გადაწყვიტა მათი თარგმნა სომხურ ენაზე. ის ძალიან დიდი და ძნელი საქმე იყო, მაგრამ ნიჭიერებამ, ენების ცოდნამ, მონდომებამ და ერუდიციამ თავისი გაიტანა, მან ბრწყინვალედ გადმოასომხურა (თავისუფლად თარგმნა) ცნობილი უცხოენოვანი ეპიური აშუღური თხზულებები: „ასლი-ქარამი“, „აშუღ ყარიბი“, „შაჰ-ისმაილი“, „მელიქ-შაჰი“, „ასმან-მეიჯანი“, „ასლან გვილბაჰარი“ და „ლეილი და მიჯნუნი“. გარდა ამისა, მან შექმნა საკუთარი ეპიური აშუღური თხზულებები მშობლიური ქვეყნის ისტორიული მასალის გამოყენებით. ასეთებია: „ჰამაიაკი და არუსიაკი“ (საგმირო ეპოსი ავარაირის ბრძოლებზე) და „არშალუისი და ლუსაბერი“, რომელშიც მხატვრულად არის გადმოცემული ცნობილი ზეითუნის ბრძოლების საგმირო ამბები... ორივე ზღაპრის დედააზრი პატრიოტიზმია – სამშობლოსა და ხალხის გარეშე არ არსებობს პირადი ბედნიერება, უკანასკნელს განაპირობებს საზოგადოებრივი თავისუფლება და ბედნიერება.

ჯერ კიდევ 1898 წელს გამოცემულ კრებულში – „ბრატსკაია პომოშჩ არმიანამ“, რომელშიც მოთავსებულ წერილში „შენიშვნები ახალი სომხური ლიტერატურის შესახებ“, ავტორი ეხება რა აშუღურ პოეზიას, წერს: „ჩვენ მათში (აშუღურ დავთრებში) ვნახულობთ არა ნაკლებ მარგალიტებს დამახასიათებელს აღმოსავლური პოეზიისთვის, რომელთა ავტორების სახელები თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში სპარს თუ, საერთოდ, აღმოსავლეთის მრავალ პოეტს... ამ მხრივ, საიათნოვას შემდეგ, პირველი ადგილი ეკუთვნის აშუღ ჯივანს... იგი სამართლიანადაა აღიარებული ისეთ ვარსკვლავად, რომელიც შედის თავისი ერის „უკვდავთა“ თანავარსკვლავედში“...

ცნობილია, რომ ჯივანის დიდ ხალხურობას, მის საყოველთაო ავტორიტეტს უდიდეს ანგარიშს უწევდნენ სომხური მხატვრული სიტყვის და აზროვნების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: რ.პატკანიანი, ჰოვ. ჰოვანესიანი, კომიტასი, ოვ.თუმანიანი, ავ. ისააკიანი და სხვები.

ბევრი ახალგაზრდა (შემდეგ ცნობილი) პოეტი თავის დროზე ჯივანს თვლიდნენ თავის მასწავლებლად.

ცნობილი რუსი მწერალი ვ.ბრიუსოვი თავის წერილში „პოეზია არმენიი“ ჯივანის შესახებ წერს: „ჯივანის შექმნილი მთელი რიგი ჭეშმარიტად მშვენიერი ლექსები სამუდამოდ დარჩებიან სომხურ პოეზიაში“.

ჯივანი უაღრესად მრავალმხრივი მომღერალია. მის შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერით არის წარმოდგენილი სატრფიალო, დიდაქტიკური, სოციალ-პოლიტიკური, პატრიოტული და ხალხთა მეგობრობის მოტივები, რომელთაგან აშუღი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ საკითხებს, თავისი ქვეყნისა და ხალხის დუხჭირ ბედსა და მის მომავალს. ამაზე მეტყველებენ მისი აღიარებული სიმღერებიც – „ჩემო ერო“ და სხ.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, შეიძლება ითქვას, დამთავრდა აშუღის შემოქმედებითი ძალებისა და ბუნებრივი ნიჭიერების სრული გამოცდა, რასაც იგი ალექსანდროპოლში აწარმოებდა მრავალ, მაშინ ცნობილ, აშუღთან სისტემატურ პაექრობასა და იდეურ წინააღმდეგობაში. ახლა აშუღს ესაჭიროებოდა კულტურულად უფრო ცენტრი ადგილი და, აი, ასეთ ადგილად მან კვლავ აირჩია თბილისი და 1895 წლიდან სამუდამოდ დასახლდა თბილისში. აშუღმა აქ შექმნა თავისი შემოქმედების ისეთი საუკეთესო ნიმუშები, როგორებიცაა: „ორპირ მეგობარს“, „ასე არ დარჩება“, „მოდით, ჯივანს დამიჯერეთ“, „გაზაფხული“ და სხვა მრავალი.

ჯივანი პრინციპული სიმკაცრით შეებრძოლა მე-19 საუკუნის რეალურ ვითარებას – დაუზოგავად გააკრიტიკა გამეფებული ჩაგვრა და წამება, აუტანელი და დუხჭირი ცხოვრება. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სიმღერებიც: „არ არის, არა“! „ალალი შრომით“, „მე ვიცინი, გული სტირის“, „ჭკუას უყურეთ“ და სხვ.

აშუღს სჯერა, რომ დღეს თუ ხვალ მოისპობა ქვეყნად არსებული უსამართლობა და განუკითხაობა, დამყარდება ხალხთა ძლევამოსილი ძმობა და მეგობრობა.

შავბნელი რეაქციის შემაძრწუნებელ წლებშიც კი, აშუღი იმედით შეჰყურებს მომავალს და გულს არ იტეხს არსებული ვითარებით.

ძალიან დიდია ჯივანის, დიდი პოეტის რანგამდე ასული აშუღის დამსახურება თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რის გამოც მადლიერმა სომეხმა ხალხმა ასე შეიყვარა მისი ჭირისა და სიხარულის მღაღადებელი უბადლო მომღერალი.

ჯივანი 1909 წელს მიიბარა თბილისის მიწამ. იგი განისვენებს ე.წ. ხოჯევანქის სომეხ მოღვაწეთა პანთეონში.

ჯივანისგან ქართულად, შეიძლება ითქვას, რომ ბევრი არაფერია თარგმნილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოციანი წლების დასაწყისში თარგმნილ მის ერთადერთ სიმღერას – „მარცხის დღეები“. ჩვენ შევეცადეთ ჯივანის დიდი მემკვიდრეობიდან შეგვერჩია ისეთი ნიმუშები, რომლებიც ქართველი მკითხველისთვის ინტერესსაც გამოხატავს და მის გემოვნებასაც მიესადაგება.

საქმეში ჩახედული მკითხველი დაგვერწმუნება, რომ აღმოსავლური აშუღური პოეზიის თარგმნა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული მისი თავისებური არქიტექტონიკისა და დერსიფიკაციის გამო. შევეცადეთ დაგვეძლია წამოჭრილი სიძნელეები და თუ როგორ შევძელი ეს, დაე, განსაჯოს მკითხველმა.

არსენ კარაპეტიანი
1969 წელი

ჯიკანი

ჭკუას უყურეთ

ქორსა კლანჭებიდან, – ბეღურას ნებავს, –
ნადავლი მოსტაცოს, – ჭკუას უყურეთ!
თითქოს დაუკარგავს გონება, ცნება,
ბრძოლა გაუმართავს, – ჭკუას უყურეთ!
სიმართლეს ქადაგებს ქურდი და ფლიდი,
რეგვენსაც ჰგონია – ბრძენია მშვიდი,
გამხდარ ქათამს მსუქან ბატივით დიდი
უნდა კვერცხი დადოს, – ჭკუას უყურეთ!
კაცური კაცი არაკაცთან მტყუნდება,
ბედაური ვირთან შრომას უნდება,
საწყალ ხბოს უღელი ადევს ხუნდებად,
კამეჩთან შეუბამთ, – ჭკუას უყურეთ!
მგელს ცხვრის ტყავი ტანზე ქურქად მოუსხამს,
და ბატკნები საძოვარზე წაუსხამს,
მამალი ყივილით მსმენელებს ნუსხავს,
კათედრას განაგებს, – ჭკუას უყურეთ!
ხარი მენავეა, დათვი მქსოველი,
მგელი კი მწყემსია, ცხვართა მდგომელი,
ქათმებს უდარაჯებს, – ჭკუას უყურეთ!
ბავშვს დამპალი ძვალი ძაფით, ლარითა,
სურს წისქვილის ქვა დააბას ძალითა,
თაგვსაც უნდა მთას ძვრა უყოს მხარითა,
აწვება-ექაჩება, – ჭკუას უყურეთ!
უწყალო ვინ ნახა ქვეყნად შემბრალი,
ურწმუნოსთან რას გააწყობს მღელვარი,
ბრმა ვერ ხედავს, მზე რომ ასე ელვარებს, –
უნდა ის უარყოს, – ამას უყურეთ!
მეტისდმეტი ზრუნვა ბევრს ავნებს
მზრუნველს,
გინდ ზედ გადაიდო, რას არგებ სულელს,
მგელს გადაუსანსლავს კაცთამოძულე,
გიჟს თალხი ჩაუცვამს, – ამას უყურე!
ბაყაყისთვის თბილ გუბეში ყოფნა სჯობს,
უხიფათოდ ვერ გასცურავს ზღვაში შორს,
ერთმანეთთან ცრუ ბრძოლა აქვს ცხენს
და ჯორს,
ვირი მათ აშველებს, – ამას უყურე!
ძუნწმა ქვეყანაზე მეტი რა ნახა,
ლუკმაზე კანკალით, გაუხმა ხახა,
საწყალს მძიმე შრომით აქვს მცირე თანხა,
იმასაც სხვა ფლანგავს, – ჭკუას უყურეთ!
არის კაცი, ცოლშვილი ჰყავს მშიერი,
გარეთ ამპარტავნობს, როგორც ძლიერი,
სხვისთვის წირვას იხდის, თავკადნიერი,
თვითონ კი არც ლოცულობს, – ჭკუას უყურეთ!
მე ქალაქი ვნახე, ცრურწმენის მცველი,
საყდრების მოყვარე, არც ისე ვრცელი,
ფეხდაფეხ რომ დასდევთ შიმშილი მწველი,
მონასტრებს აგებენ, – ამას უყურეთ!
თავგასული ვაცი თვალთა ფახულით,
თავის მწყემსს აწუხებს ჯოხზე ხახუნით,
კურდღელს კიდევ ლომთან ჯერ არნახული,
ბრძოლა გაუმართავს, – ჭკუას უყურეთ!
სხვა ვერ არის მაინც ისეთი ხასი,
დიკის პური როა, გინდ იყოს ნასი,
ფეტვის პურს ჰგონია, დაედო ფასი,
სუფრაზე გაშლილა, – ამას უყურეთ!
ჰა, განზე გამდგარან ჭკვათამყოფელნი,
უღურსთ დარჩენიათ წუთისოფელი,
ჯივანიც, კოჭლ ვირით ქარავანს მყოფელი,
პოეტი გამხდარა, – ამას უყურეთ!

ჩემთან იარე

მთის ირემო, შენი ქება მენება,
ჰე, ლამაზო ქალო, ჩემთან იარე,
ენატკბილო, ნაზფუნჩულა მშვენებავ,
კლდის კაკბების ცალო, ჩემთან იარე.
ტურფა ხარ, ცქრიალა, ბუნებით მშვიდი,
წამწამნი – ისრები, წარბები – მშვილდი,
ლურჯთვალას გამშვენებს ნაწნავთა ბინდი,
დარჩი, ქვეყნის თვალო, ჩემთან იარე.
გაზაფხულის ხატო, მზე ხარ თუ მთვარე,
გრთავს კდემაღირსება და სინარნარე,
მტრედი ხარ სულისა, ღმერთს შეგადარე,
შენ, ჩემო უფალო, ჩემთან იარე.
შენ ჯივანის გულის სასურველი ხარ,
ჩემი სულისთქმა და ფიქრთა მწველი ხარ,
სავსე ბაღი, გაფრენილი შველი ხარ,
სიცოცხლის მიზანო, ჩემთან იარე.

შვილი

შენ არ გესმის, რა ხიფათიც მოგელის,
უნდათ მოგსპონ ნორჩი, საბრალობელი,
მეძებრებით გდევენ ქვეყნის მპყრობელნი,
გასხლტი შვილო, გასხლტი, გასაჭირია,
საბრალო ნუკრები ცხარედ სტირიან!
მონადირე სანთლით გეძებს, წყეული,
მოსაკლავად ჰყავხარ ამორჩეული,
მთა და ბარიც სტირის – ეს შენეული,
გასხლტი შვილო, გასხლტი, გასაჭირია,
საბრალო ნუკრები ცხარედ სტირიან!
მონადირეს ვინ მისცა სიბრალული,
სულ მსხვერპლს უცდის, ბუჩქებში მიმალული,
ის შენც მოგკლავს, შენს ნუკრსაც, სიხარულით,
გასხლტი შვილო, გასხლტი, გასაჭირია,
საბრალო ნუკრები ცხარედ სტირიან!
ველს ერიდე, გინდაც ბედს ემდუროდე,
გინდ გშიოდეს, გინდ სასტიკად გწყუროდეს,
ნუ გამოხვალ უღრან ტყიდან ნუროდეს,
გასხლტი, შვილო, გასხლტი, გასაჭირია,
საბრალო ნუკრები ცხარედ სტირიან!
ხევს ერიდე, მფარველ ტყეს ნუ შორდები,
მონადირე გნახავს, შენ მოღორდები,
ქვაბულიდან გესვრის, გადაგორდები,
გასხლტი შვილო, გასხლტი, გასაჭირია,
საბრალო ნუკრები ცხარედ სტირიან!

ყალბ მეგობარს

კარგ ყოფაში მოლხენილო, დაგეძებ,
ახლა მიჭირს, მომეხმარე, სადა ხარ?!
ჩემს სუფრაზე სხვაზე მეტის მჭამელო,
მუდამ შენ გთარჯავდი, მოდი, სადა ხარ?!
როცა მქონდა მე ბრჭყვიალა ფულები,
მპირფერობდი: „ქვეყნად ძმად მეგულები“!
თუკი მართლაც ნაღდად მეერთგულები,
სად წახვედი, ახლა მოდი, სადა ხარ!
სანამ პური მქონდა, არ მაკლდებოდი,
წვევას არ უცდიდი, მეახლებოდი,
მომტაცე ქონება, ჯერ კიდევ როდის,
გავღარიბდი, მინახულე, სადა ხარ!
მარიგებდი: „არ შეშინდე, იბრძოლე,
საკუთარ თავს მირჩევნიხარ, იცოდე“!
თავის დროზე მეგობარი მიწოდე,
ცუდ დღეში ვარ, მიხსენ, მოდი, სადა ხარ!
ჯივანიმ შეიტყო ამბავი შენი,
ეგე ორპირობა არ ითქმის ენით,
მატყუე ლაქუცით, გატლეკილ ენით,
ახლა ვინ მონახე, მოდი, სადა ხარ!

თეთრო თმაო

ფერშეცვლილო შემოდგომის რთველივით,
საძრახისო, თეთრო თმაო, ვჩივი მე,
შენს სანაცვლოდ სული ამომხდომოდა,
უმაქნისო თეთრო თმაო, ვჩივი მე.
შენი ნახვა ქალებსაც კი სწყინდებათ,
ამის შემსწრეს გული დამებინდება,
შენ გამიქრე ყრმობის ხაფი, დიდება,
უვარგისო, თეთრო თმაო, ვჩივი მე.
თეთრი ღრუბლით გავხდი გათანგული მე,
მზე დამიცხრე, დამიმძიმე სული მე,
ჭაღარა თმით დავავლ დათალხული მე,
კიცხვის ღირსო, თეთრო თმაო, ვჩივი მე.
დიდი ვნება მიაყენე ჯივანის,
ლხინს მომწყვიტე, გავხდი ბედის მჩივანი,
სად მოვნახო სამართალი, დივანი,
რისხვავ ღვთისავ, თეთრო თმაო, ვჩივი მე.

მოდიხარ, მოდი

მითხარ, სადამდე გიცადო, კარგო,
შენ, ჩემო მწველო, მოდიხარ? – მოდი!
უსიხარულოდ ლამის დამკარგო,
შე ულმობელო, მოდიხარ? – მოდი!
შენი ნახვა მსურს, სხვა არაფერი,
ჩემი წამების დამდგარა ჯერი,
მზე არ მინათებს, დავკარგე ფერი,
ფიქრთამპყრობელო, მოდიხარ? – მოდი!
მოდი, ჯივანის მითხარ ნუგეში,
ლამის გავთავდე, მე შენი ეშხით,
თემაქე ვარ, კალიფსოს ხელში,
შენ, ჩემო მხსნელო, მოდიხარ? – მოდი!

მოითმინე

ნუ მღელვარებ ნება-ნება,
მოითმინე, გულო ჩემო,
გიმკურნალებს მოთმინება,
მოითმინე, გულო ჩემო.
ქვეყანა კაცთ საცხოვრისი
ღმერთმა შექმნა ძალით თვისით,
გვეშველება ერთ დღეს მზისით,
მოითმინე, გულო ჩემო.
იქონიე მოთმინება,
მუდამ ასე არ იქნება,
შვების კარი გაიხსნება,
მოითმინე, გულო ჩემო.
დამიჯერე, მიგდე ყური:
ბევრს ჰკლებია ლუკმა პური,
მრავლად იყო უბედური,
მოითმინე, გულო ჩემო.
დაჰბერს ქარი, გინდაც ნელა,
აღინთება მზე ნათელი,
დღე დადგება სანატრელი,
მოითმინე, გულო ჩემო.

ლამაზო

თითნი სანთელს, მკლავნი ბამბას მიგიგავს,
სავსე უბე – ედემის ბაღს, ლამაზო,
მოხრილ ხმალს ჰგავს ეგ წარბები სათისა,
თვალთა შუქი – ცაზე ელავს, ლამაზო.
ბაგეთაგან რძე მოგწვეთავს წკანწკარით,
ტკბილენა ხარ, ტანკენარი, მწყაზარი,
ზეციერი სახება ხარ, ნარნარი,
გშვენის ბროლის კბილთა ჩენა, ლამაზო.
მორონინე ალვა ხარ და არხევ ტანს,
მოციმციმე ვარსკვლავივით არცხვენ სხვას,
შენი ცეცხლი ქვეყანასაც გადასწვავს,
ხანძარი ხარ, ღველფის დენა, ლამაზო.
ჯივანია შენი მონა ყიდული,
გშვენის ფარჩა, წარბები მოზიდული,
ოქროს ნაწნავები მხრებზე კიდული,
ირხევიან ბევრის წყენად, ლამაზო.

აშუღი

უფრო ფრინველს ჰგავს აშუღი,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა,
აჰყოლია ქვეყნის დუღილს,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა.
ხან მშიერი, ხან მწყურვალი,
მარცხიანი და მაშვრალი,
ხეტიალობს, როგორც მთვრალი,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა.
ციცნათელას მოჰგავს შუქით,
ბევრს ანათებს მწირ პატრუქით,
ხანაც ღრუბელია მუქი,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა.
ხან იმედად დაიღვრება,
სოფლებს უვლის წყება-წყება,
ზოგჯერ კიდევ მეხად ტყვრება,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა.
ჯივანის ეს საქმე ანდეს,
ფუტკარივით დაფრენს ამდენს,
ასეც ივლის სიკვდილამდე,
დღეს აქ არის, ხვალ კი იქა.

გაზაფხული

ხეთა კოკორი რომ გაიშლება,
წვიმა რომ მორწყავს მინდორს ლულიანს,
მთა და ბარი რომ აყვავილდება,
იქნებ ვირწმუნო გაზაფხულია.
როცა გაქრება თოვლი და ძალით
ზეცა იგრგვინებს უფრო გულიან,
როცა გაძღება მიწა მწყურვალი,
იქნებ ვირწმუნო, გაზაფხულია.
როცა ბრდღვიალა მზის სხივით, ვფიცავ,
ხალხი გათბება დედაწულიან,
როცა ღიმილი მოქარგავს მიწას,
იქნებ ვირწმუნო, გაზაფხულია.
მარტის თვეა და ჯერ არ ჩანს ყანჩა,
არც შოშიები წრეს არ უვლიან,
როცა არცერთი მათგანი არ ჩანს,
ძნელად ვირწმუნო, გაზაფხულია!..

მოვლენ და წავლენ

მარცხი დღეები ზამთარივით მოვლენ
და წავლენ,
დროებითია, ბევრს ნუ ჩივი, მოვლენ და წავლენ,
მწვავე ტკივილი ადამიანს არ ახლავს დიდხანს, –
მოარულია, უწყვეტ მწკრივით მოვლენ
და წავლენ.
ტანჯვა-წამება და ხიფათი ერთა და ხალხთა,
ვით ქარავანი, გადაბმული, მოვლენ და წავლენ,
ქვეყანა ვარდნარია, კაცად-კაცნი – ყვავილნი,
რამდენი ია, ვარდ-სუმბული, მოვლენ
და წავლენ.
ნურც ძლიერმა დაიკვეხოს, ნურც უღონო
დაღონდეს,
დრო შეიცვლება, კვლავ ერთთავად მოვლენ
და წავლენ.
მზე უშურველად მიმოაბნევს ელვარე სხივებს,
ღრუბლები მთებზე სალოცავად მოვლენ
და წავლენ.
მზე გონიერ შვილებს დაჰფოფინებს,
ვით ღვიძლი დედა,
ბნელი ტომები ხეტიალით მოვლენ და წავლენ,
ქვეყანა სასტუმროა, ჯივან, კაცნი – სტუმრები,
ჯადო ბუნების ურყევ ძალით მოვლენ და
წავლენ!..

დედილო

შენი ძუძუს წყარომ მკვება, დედილო,
რძის მდინარის უწყვეტელი დენა ხარ,
მე შენს მკერდზე ბარტყად მიფრთხიალია,
უწმინდესი სალოცავი ზენა ხარ.
მე შემწირე აღნაგობა, ჯანია,
დამხაროდი, წუხდებოდი ძალიან,
ჩემს გაზრდაზე რა არ გადგიტანია,
უძილო და გატანჯული შენა ხარ.
სანაცვლოდ მე, აბა, რა მომიცია,
სულ უბრალო ნუგეშიც არ მიცია,
აღარ ვიცი თუ რა ცოდვამ მიწია,
ცის მანანის ჩემთვის ჩამოცვენა ხარ.
ჯივანი ვარ, ჩემი ცოდვა ვიცი მე,
შეუნდე შვილს, მწველ სირცხვილით ვიწვი მე.
შენ გლოცულობ, ვარსკვლავად რომ ციმციმებ,
ცისარტყელის ცაში გამოჩენა ხარ!

ჩემო ქნარო

მე უშენოდ სიცოცხლეც არ მჭირდება,
იმედი და სასოება შენა ხარ,
შენით არის, რომ ვიმაღლებ ქვეყნად ხმას,
ჩემი ყოფის, არსებობის რჩენა ხარ.
შენ მოწყენილ სახეს მოჰფენ ღიმილსა,
შენით ვიმსუბუქებ მე სიმძიმილსა,
ტკბილ ჰანგებით ჰკურნავ გულის ტკივილსა,
ყველასათვის გასაგები ენა ხარ.
ორფიოსის სახსოვარო გენია,
ძველი ხიბლი ახლაც შემოგრჩენია,
გუებს ჰკურნავ, მოედანი შენია,
კეთილ გრძნობის, სიბრალულის დენა ხარ.
ღვარძლიანი კაცი შენგან ფითრდება,
ავი კაცი ავი ცეცხლით ინთება,
ავადმყოფიც შენით მომჯობინდება,
სიცოცხლე ხარ, ნუგეში ხარ, შველა ხარ.
ჰერმესი ხარ, მომგვრელი სიყვარულის,
შენთან არის სიმღერა, სიხარული,
ქორწილი უშენოდ – ჩრდილი ფარული,
თავად საზეიმო გამოფენა ხარ!

სომხური ენა

მშობლიურო ჩემო ენავ,
შენს ტკბილ ბგერებს ვენაცვალე,
შენს ძველ-ახალ მსხმოიარე
დარგულ ხეებს ვენაცვალე.
თუმც ბევრისგან შეგხვდა წყენა,
სანაქებო შენ ხარ, შენა,
ეგუები ყველა ენას,
შენს სიმღერებს ვენაცვალე.
უკან რატომ დავიხიო,
დედის ენავ, სულზე ტკბილო,
მდიდარო და მრავალმხრივო,
მე შენს ფესვებს ვენაცვალე.
ძველისძველი ენა ხარ შენ,
მტრებისათვის წყენა ხარ შენ,
დიდ სინათლის დენა ხარ შენ,
შენს ძველ კერებს ვენაცვალე.
შვილები გყავს ნიჭიერი,
ხარ უბრალო, მშვენიერი,
ასახელე ჩვენი ერი,
შენს ნაწერებს ვენაცვალე.
ნარეკაცი, ფიქრთა დენით,
გამობრწყინდა გამოჩენით,
სადაც საუბრობენ შენით,
იმ მთებს, სერებს ვენაცვალე!

მატიანე

ჩვენი მთავრობა

„უნიათოა ჩვენი მთავრობა„
ყურმოკრული ფრაზა
ტელევიზიებიდან

ბაღში ხეებმა იწყეს გახმობა
და წამიქცია ქარმა ნალია, _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა,
ეს ყველაფერი მისი ბრალია“!

სასტიკად ცემა პეტრემ გიორგი,
ზაზამ ქუჩაში ლუდი დალია, _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა,
ცუდი რაც ხდება, მისი ბრალია“!

გვალვა დადგა და ველი გადახმა,
მთლად გადაჭამა ყანა კალიამ, _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა,
წვიმა არ მოდის, მისი ბრალია“!

სახლში იჩხუბა რძალ-დედამთილმა,
გამარჯვებული ახლაც რძალია, _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა,
იმათი ჩხუბიც მისი ბრალია“!

მიხომ დაუგო მახე ჩიტებს და
მათთვის სახლში აქვს ათი გალია, _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა,
მიხოს არ სჯიან, მისი ბრალია“!

გუშინ მიწისძვრა მოხდა ნეპალში
(რაც სამწუხარო არის ძალიან),_
უნიათოა ჩვენი მთავრობა,
და ეს მიწისძვრაც მისი ბრალია“!

მზეს მოეფარა შავი ღრუბელი,
ის ცაზე მხოლოდ ერთი ცალია,
რატომ არ არის ცაზე ორი მზე?! _
„უნიათოა ჩვენი მთავრობა
და ესეც ისევ მისი ბრალია“!

ROბერტ შეშაბერიძე

ივანე ყავრელიშვილი

ლონდარიძე წამოვიდა

ლონდარიძე წამოვიდა
სიმამრისკენ დარდიანი,
მაგრამ გზა ფინთი შეუხვდა,
იყო მეტად ნამქრიანი.

ამხანაგსაც შეეხვეწა, _
ამხანაგო ვანიჩკაო,
ცოტა ზურგზე მომიკიდე,
ხელი-ფეხი დამიჭკნდაო.

ვანიჩკამაც აიკიდა,
რაც შეეძლო, ისე ზიდა,
მაგრამ მალე დაიღალა,
გაუცურდა ფეხიც გზიდან.

ორღობიდან მელისორომდე
ჩემმა ზურგმა გატარაო,
არ გაზრდოდი დედაშენსა,
მოჰკდომოდი პატარაო.

როგორც იქნა ჩამოცურდა
ვანოს მხრიდან ნელა-ნელა,
ფუღუროში ისე მიწვა,
როგორც ზღვართან მკვდარი მელა.

რითმების გასამართავად
ვანოს ზოგ ლექსს მოვიხმარო,
მამაჩემს დავესესხები,
ლექსებად აქვს ბევრი წყარო.

ახლა რასაც გავიხსენებ,
აბულაძეს მოგახსენებთ,
დაგრეხილი გვარადაო,
ვაშლის ჩირი
ბევრი ჭამა,
გააგორა კალათაო.

გამოდის რომ ჩანგალ პაპას,
ჰყვარებია ძაან ხილი,
აღმა იმ ქვეყნას წასვლისას
გაატანეს ბევრი ჩირი.

მთქმელი ივანე ყავრელიშვილი (1909-1942). სოფ.კოთელია, ახალქალაქის რაიონი. რამდენიმე სტროფის ჩასწორება გააკეთა და მოგვაწოდა მისმა შვილმა ვალერიან ყავრელიშვილმა 2015წელს.

***

თათრებმა გზაში მიყელეს,
გული იჯერეს ცემითა,
ცხვარ-ძროხა გადაირეკეს,
მატირეს ცხარე ცრემლითა.

***

მადა მგლისა აქვს ბატონსა,
ღიპი მიუგავს ხაროსა,
სახნავ-სათესი წამართვა,
_ სიკვდილი შეეყაროსა.

***

მამამთილი დოს არ ჭამდა,
მაზლი კიდო _ ლახანასა,
ჩემ დედამთილს, სასიკვდილეს,
პირში ჩავჩრი ჭარხალასა.

ხალხური ჭიდეჭიდ

***

ბევრს არ ვიტყვი
წარა-მარა,
თითო სტროფსა
მოვიგონებ,
სანიმუშოდ იგიც კმარა.

იობ ძიას ვინ არ იცნობს
ჯერ ქუდზე და
მერე ფერზე,
ღარიბების ყანას
ხნავდა,
დესენტინას ერთ ფუთ
ყველზე.

გამოდის, რომ იობ პაპა
შეძლებული კაციაო,
სხვას შინელი ენატრება,
მას კი ჩოხა აცვიაო.

ტყნაჭი კოლა
გაგებარცოს,
ის არა გავს ლადესაო,
ტირილით ქვეყანა
ამოაგდო,
ოთხი ყანა დათესაო.

აქედან ჩანს კოლა ძია
არ ყოფილა ღატაკი,
ვანომ ასე შეაფასა,
აღარ უნდა ლაპარაკი.

***

ხორბალი კევრით გავლეწე,
მერმე, წისქვილში ჩამოვფქვი,
თათარო, თუ მაგარი ხარ,
ჭანჭახის ბოლოს დამიხვდი.

***

მღვდელო, შეგაჩვენოს ღმერთმა,
გონება გაქვს ნაკლებიო,
ფოფოდიას მოეწონა
ჩემი წყვილი კაკლებიო!

***

გადაიფურჩქნა ზამბახი,
თვალი დაჭყიტა იამა,
გოგოს უბეში ჩავხედე,
განა ეწყინა, _ ეამა!

***

ჯეელობას გავიხსენებ,
ის ამბები მაგონდება,
ქალი მყვანდა თქვენებური,
ჩემს მკლავებზე გორდებოდა.

***

აქეთ ჰყვავის ყვითლად შინდი,
იქით კიდევ _ თეთრად ნუში,
საცა კაი ქალი ვნახე,
უკოცნელი არ გავუშვი.

***

ქალს ჩაუცვამს მოკლე კაბა,
თავის შილის ნაყიდები,
ყელს შეუბამს ქარვის მძივი,
ძუძუს შუა საკიდები,
ნეტამც, ვიყო მისი ქმარი,
ყოველ ღამე გავსინჯემდი.

მთქმელი სიმონ კაჭკაჭიშვილი, 70 წლის, სოფელი არალი. ჩაიწერა სოსო გიძოშვილმა 2015 წელს

***

მღვდელო, მღვდელო, შენი ცხვირი
რატომა გაქვს უშნოდ დიდი?
სანთელი რომ ყოფილიყო,
ორ აბაზად გაჰყიდიდი.

***

ერთმა გოგომ შემიტყუა,
არვინ გვნახოს ყმაწვილოო,
_ რაც შენ გინდა, ის მიქენი,
არაფერი მატკინოო.

***

ქვრივ დედაკაცს შევუძვერი,
შევუხსენი მძივ-საყელო,
_ მიდი, კაცო, არ დამზოგო,
ხვალ წყაროზე გასახელო!

***

ქალო, მისმინე, ერთ ხანა,
შავთვალავ, თავსაფრიანო,
ადვილად დაგიყოლიებ,
იოსებს მეძახიანო.

***

ნათლია კარგად დაგვიხვდა,
ხინკალითა და ლუდითა,
უფალმა მადლი უკურთხოს,
თავის კეთილი გულითა,
ჩვენც მისი ნათლულები ვართ,
ქრისტესმიერი რჯულითა!

***

დავბერებულვართ, იობავ,
თმებს შეგვჩვევია ჭაღარა,
თათრები სულ დავაშინეთ,
ვეღარ გვებრძვიან, ვეღარა.

აგვიკანკალდა ხელები,
გზებმა მუხლები დაღალა,
აღარც ფარ-ხმალი გვახარებს,
არც ნაოჭი და ჭაღარა.

მთქმელი ოსიკო (იოსებ) გიძოშვილი, ახალციხე, სოფელი ივლიტა, 82 წლის.
მისივე ჩაწერილი

***

თას ვიყავ, თას გავიზარდე,
ახლა ჩამოველ ბარათა,
ღმერთმა გამარჯვება მოგცეთ,
თემისა ერთიანისა.

თიდან ურემი მამქონდა,
ზედ მედო სამი კალათა,
ყაჭ-აბრეშუმი მამქონდა,
მარწყვებში დასართავადა.

ორსიყმიენთ ღობეს ჩამოველ
გზიების სანახავათა,
ნათელღებული ელისაბედი
იქ დამხვდა თემის შარათა.

ბიჭო, ქალაქს წამიყვანე,
ძმა გაგხდენია ავათა...
ანტონი რისთვის შეირთე,
თუ არ წაგიყვანს ქალაქსა.

ანტონი გუთანზედ არის,
არ მომივიდა ჩქარათა,
უღელა კამეჩი ჰყავდა,
ისიც ნაყიდი ვალათა.

ერთი თათრებმა მოპარეს,
ის ერთი დარჩა ცალათა,
ისიც კლდეზე გადავარდა
(ე.ი. უდანოდ),
კისერი მოჰტყდა შრალათა.

დეთი, დეთი, არალეთი,
რუისი და შაქარშეთი,
ატენს წყალი, გორს წისქვილი,
ქალაქს სამი პირი ცხვარი.

სამუღელა სამი ხარი,
ყევარი და იმის ცალი.
კაია შვილო, გაათავე,
ღმერთმა დაგიწეროს ჯვარი.

მთქმელი არჩილ ჯვარიძე, ჩაიწერა ვაჟა სამსონიძემ 1978 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით ავთანდილ ბერიძე;
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com